პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრობის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76 } მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ. № 24, ტელეფონი № 8 81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განმცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- გაიხსნა იმპერიალიზმთან მებრძოლ ლიგის აღმასკომის სესია.
- გერმანიის სამხედრო მინისტრის მემორანდუმი ჯავშნოსნების აგების შესახებ.
- უმუშევართა დემონსტრაცია ჰინდენბურგში (ზემო სილეზია).
- რაკოშის წერილი საპატიმროდან.
- რუმინეთის პრესა ლიტვინოვის ნოტის შესახებ.
- რიგაში დახურეს სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის ორგანო.
- მასიური დაპატიმრება პოლონეთში.

პარასკევი, 18 იანვარი 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 14 (2360)

აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებათა გამგეების სრულიად საქართველოს თათბირი შესდგება ა/წ. 19 იანვარს

დღის წესრიგი და წარმომადგენლობის ნორმა რჩება იგივე

ავღანისტანის ამბების გაკვეთილები

ხანგრძლივი ბრძოლა აჯანყებულებსა და ამანულა ხანს შორის, ბოლოს, უკანასკნელის გადადგომით გათავდა. ამანულას რჩევით და რეაქციონერების ნაწილის დასტურით, ახალ მეფედ გამოცხადებულ იქნა მისი უფროსი ძმა ინაიატულა. მაგრამ მას ტახტზე ყოფნა „ბედმა" მხოლოდ ერთი დღით არგუნა. ავღანისტანის პარიზელი ელჩის განცხადების მიხედვით, „ინაიატულა სრულიად არ წარმოადგენს იარაღს ინგლისის ხელში, როგორადაც ცდილობენ იგი დასახონ. ის ისეთივე ავღანელი პატრიოტია, როგორც ამანულა ხანი, და ისწრაფვის ავღანისტანის დამოუკიდებლობისაკენ". ეს დახასიათება უეჭველად გადაჭარბებულია: ინაიატულა, რომელიც მისაღებია ავღანისტანის მნიშვნელოვან ფეოდალურ-კლერიკალურ ჯგუფებისათვის, არ შეიძლება მტკიცე მებრძოლი იყოს ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის. მაინც ლონდონმა არჩია მისი მოშორება და ის გადაყენებულ იქნა. ფადიშახად ნიშნავენ თვით აჯანყებულთა ბანდების წინამძღოლს ბაჩე-საკაოს—ინგლისის იმპერიალიზმის ყურმოჭრილ მონას.

ამნაირად, ლონდონის ზრახვები სავსებით და საბოლოოდ გამომჟღავნებულია. ხსენებული ელჩი პირდაპირ ამბობს, რომ აჯანყება ინგლისის ბნელი ინტრიგების შედეგია. ამას რომ თავი დავანებოთ, მარტო ის ფაქტი რათა ღირს, რომ ავღანელი ულემები (სასულიერო წოდების წარმომადგენლნი) ამანულასაგან მოითხოვდნენ, რომ ინგლისის მთავრობას ეკისრა იმ დათმობების გატარების გარანტია და კონტროლი, რომლებზედაც გადამდგარი ხანი აჯანყებულ რეაქციონერთა მიმართ წავიდა. ცნობილია, აგრეთვე ინგლისელ ოფიცერ ლოურენსის როლი აჯანყებაში და ინდოეთიდან აჯანყებულთათვის სამხედრო მასალების მიწოდება. საერთოდ ჩვენ მოწმენი ვართ ინგლისის იმპერიალიზმის უხეში და აშკარა ჩარევისა ავღანისტანის შინაურ საქმეებში.

ორი მოტივი ამოძრავებს ამ შემთხვევაში ლონდონის მთავრობას. პირველი: ავღანისტანის დამოუკიდებლობა, რომელიც მან მოიპოვა ინგლისთან მედგარ ბრძოლით, და ამ ქვეყნის განვითარების გზაზე დადგომა მძლავრი სტიმულია ინგლისის მონობის უღელ ქვეშ მოქცეულ ინდოეთის და სხვადასხვა ხალხების განმანთავისუფლებელ მოძრაობისათვის. მეორე,—და ეს უმთავრესია: ავღანისტანის დამორჩილება ინგლისს ესაჭიროება იმისათვის, რომ იგი ბაზად გადააქციოს საბჭოთა კავშირზე გალაშქრებისათვის და რაკი ლონდონმა „ნებაყოფლობითი" მეთოდებით ვერ შესძლო ავღანისტანის გატეხა, ის აჯანყებას აწყობს თავის მიზნის მისაღწევად.

მაგრამ რაც უნდა დიდი არ იყოს აჯანყებულთა მიმართ ინგლისის მიერ აღმოჩენილი დახმარება, რეაქცია მაინც ვერ გაიმარჯვებდა, რომ მისი მატარებელი ჯგუფები თავის თავად მძლავრი არ აღმოჩენილიყვნენ. და აქ ჩვენს წინაშე ისმება საკითხი იმ შინაურ პოლიტიკისა, რომელსაც დღემდე არსებული ხელისუფლება აწარმოებდა ავღანისტანში. ამანულა ხანის მთავრობა ქვეყანაში ატარებდა ყოფა-ცხოვრებისა და მართვა-გამგეობის რეორგანიზაციას, რომლის დანიშნულება იყო გზის გაკაფვა ახლად ფეხადგმულ სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის განვითარებისათვის. ეს კი პირველ ყოვლისა მოითხოვდა ცალკე ტომთა მეთაურების და ფეოდალების პოლიტიკურ უფლებების შეზღუდვას და ცენტრალისტური ძალა-უფლების განმტკიცებას. რეფორმებიც, სამღვდელოების გავლენის შესუსტების მიზნით მიღებულ ღონისძიებებთან ერთად, აქეთ იყო მიმართული. მაგრამ მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ის ძირითადი მასა, რომელსაც შეეძლო ფეოდალიზმთან წარმატებითი ბრძოლა, საზელდობრ გლეხობა. ძველი აგრარული ურთიერთობანი ხელუხლებლად იქნა დატოვებული. ამასთან, რეფორმების გასატარებლად საჭირო ხარჯები უმთავრესად გლეხობას დააწვა, მისი გადასახადები საგრძნობლად იქნა გადიდებული. ასეთმა მდგომარეობამ გადასწყვიტა აჯანყებასთან ბრძოლის ბედი, მით უფრო რომ სავაჭრო-სამრეწველო წრეები, გარდა იმისა, რომ ისინი მცირე რიცხოვანი არიან, შეუკავშირებელი აღმოჩნდნენ. გლეხობა, რომლის ეკონომიურ მონობის უღელი არ ყოფილა შემსუბუქებული და რომელიც ამავე დროს მოკლებულია პოლიტიკურ უფლებებს და დაურაზმავია, ვერ გამოდგებოდა ამანულას აქტიურ დამხმარე ძალად. კიდევ მეტი: მისი ბნელი მასები რეაქციამ თვითონ გამოიყენა თავის მიზნებისათვის.

ამგვარად, ავღანისტანში დატრიალებულ ამბებიდან შემდეგი გაკვეთილები გამომდინარეობენ. პირველი: ფეოდალურ - კლერიკალურ ჯგუფების დამარცხება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მათ ბატონობას ეკონომიურ საფუძველს გამოუცლიან, ე. ი. თუ არსებითი გარდატეხა მოხდება სადგილ-მამულო დამოკიდებულებაში გლეხობის სასარგებლოდ. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდება იგი პროგრესიულ ძალების (ავღანისტანის პირობების მიხედვით, რა თქმა უნდა) დასაყრდენი ეს ამავე დროს, (ცხადია, დაკავშირებულია, გლეხობის მიერ პოლიტიკურ უფლებების მოპოვების საკითხთან. მეორე: ავღანისტანის დამოუკიდებლობის შენარჩუნება - განმტკიცება გულისხმობს, როგორც აუცილებელ პირობას, ამით გლეხობის ცხოველ დაინტერესებას. ამნაირად, ეკონომიურ-სოციალურ და კულტურულ ხასიათის რეფორმების განხორციელების წარმატება განუყრელადაა გადაბმული ბრძოლასთან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან იმპერიალიზმი თავის ბატონობის დასამყარებლად ჩამორჩენილ ქვეყნებში უკანასკნელთა რეაქციულ ძალებს ემყარება. ავღანისტანის მაგალითზე ეს ზედმეტჯერ შეიქნა ცხადი

პროგრესიულ ელემენტების დამარცხება ავღანისტანში უეჭველად დროებითი ხასიათისაა. რამდენად ისინი ჩქარა და ღრმად შეიგნებენ ამ გაკვეთილებს, იმდენად მალე გამოეცლება ნიადაგი შინაურ რეაქციას და მის ზურგს უკან მდგომ იმპერიალიზმს.

თვითღირებულების შემცირებისათვის

მიმდინარე წლის უმნიშვნელოვანესი ამოცანა—სამრეწველო პროდუქციის შვიდი პროცენტით შემცირება წარმოადგენს „ძირითად პირობას არა მარტო კაპიტალური ხარჯების გეგმის, არამედ მიმდინარე წლის მთელი სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის" (ცეკას ნოემბრის პლენუმი). ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანა საკმაოდ ენერგიულად არ ხორციელდება, მის გარშემო სათანადოთ არ არის დარაზმული მუშათა ფართო მასების ყურადღება, ხოლო სამეურნეო მუშაობის ზოგიერთ დარგში მის განხორციელებას აშკარად უთავბოლოდ და უხეიროდ უდგებიან. თვითღირებულების შემცირების კამპანიას იმდენად დიდი დეფექტები ახლავს, რომ მათთვის გვერდის ავლა შეუძლებელია, ამიტომ ამ დეფექტების აღმოფხვრას მთელი ძალღონე უნდა მოახმარონ პარტიულმა, სამეურნეო, პროფესიონალურმა და სხვა ორგანიზაციებმა.

განვლილ სამეურნეო წლის პირველმა კვარტალმა, რომელიც ჩვეულებრივად წარმოადგენს წარმოების ენერგიულად გაშლისა და მრეწველობის მთელი თვისებრივი მუშაობის არსებითად გაუმჯობესების კვარტალს. სამწუხაროდ, მიმდინარე წლის შესახებ არ შეიძლება ითქვას, რომ მრეწველობის თვისებრივი მუშაობის გაუმჯობესების მხრივ პირველ კვარტალში თვალსაჩინო ნაბიჯი იყოს გადადგმული წინ. ჯერ კიდევ არა გვაქვს ცხადად თუ ბევრად სწორი ციფრები იმის შესახებ, თუ როგორ მცირდებოდა თვითღირებულება განვლილ თვეებში, მაგრამ ცალკე ცნობების და გამოქვეყნებული მასალების მიხედვით დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგში ადგილი აქვს დაგვიანებას და დასახული ამოცანების შეუსრულებლობას. ჩვენ აშკარად ჩამოვრჩებით დასახულ გეგმას. სამეურნეო მუშაკები მართალნი არიან, როდესაც აღნიშნავენ სხვადასხვა არახელსაყრელ პირობებს თვითღირებულების შემცირების საქმეში. აქ აღსანიშნავია გადასახადებისა და ბაჟების რამდენადმე გადიდება, ზოგიერთი ნედლეულის ფასების აწევა, ხელფასის მექანიური გადიდება, რისთვისაც 85 მილიონამდე მანეთია საჭირო და სხვ. მაგრამ მრეწველობის შინაგანი შესაძლებლობანი, მეურნეობის რაციონალიზაციისა და გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების აწევის შესაძლებლობა და სხვ. სავსებით საკმაოა იმისათვის, რომ მთელი ძალღონის დაჭიმვით ეს არახელსაყრელი პირობები გადაილახოს და დასახული გეგმა სავსებით შესრულდეს.

ჩვენ შევეხებით ამ საქმის უფრო არსებით მხარეებს. მრავალი საყვედური გაისმის იმის გამო, რომ ჩვენს წარმოებებში გაიზარდა დაწუნებული ნაწარმოების რიცხვი. დაწუნებული ნაწარმოების რიცხვი გაიზარდა როგორც ნედლი მასალის დაბალი ღირსების გამო, ისე შრომის ორგანიზაციის დეფექტების, მუშების დაუდევრობისა და უყურადღებობის, შრომის დისციპლინის შესუსტების გამო და სხვ. ლენინგრადელი სამეურნეო მუშაკების განცხადებით, მხოლოდ დაწუნებული ნაწარმოების გამო მრეწველობა 150 მილიონ მანეთს ჰკარგავს წელიწადში.

გაიზარდა აგრეთვე საწარმოთა გაცდენა და სამუშაოზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზებით. აქ თავს იჩენენ როგორც დეფექტები მიწოდების დარგში და მანქანების გაცვეთა, ისე შრომის დისციპლინის აშკარა დაცემა.

თვითღირებულების წარმატებით შესრულების მთავარ პირობას წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების ზრდა. სწორედ ამ დარგში ჩვენ იძულებულნი ვართ აღვნიშნოთ, რომ სათანადოთ ვერ ვასრულებთ დასახულ გეგმას. იმისათვის, რომ განხორციელდეს თვითღირებულების შემცირება შვიდი პროცენტით, წლის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდდეს 17,5 პროცენტით. მაგრამ განვლილ თვეებში შრომის ნაყოფიერების ზრდა, გასული წლის ამავე თვეებთან შედარებით, მხოლოდ 15,4 პროცენტს უდრის, გასული წლის საშუალო წლიურ ზრდასთან შედარებით კი მხოლოდ 12,2 პროცენტს. ამრიგად, ჩვენ აშკარად ჩამორჩენილნი ვართ იმ უმნიშვნელოვანესი ფაქტორის დარგში, რომელიც საგრძნობლად განსაზღვრავს სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულებას. ჩვენ ვაგვიანებთ შრომის ნაყოფიერების გაშლის ტემპს.

როდესაც შრომის ნაყოფიერების გადიდების პრობლემას ვარჩევთ, ფართო საბჭოთა საზოგადოებრიობის მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ საქმის ერთ მხარეს, რომელიც აფერხებს და ჩაშლას უქადის შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას. საქმე ეხება შრომის დისციპლინას. სწორედ უკანასკნელ დროს ადგილი აქვს მრავალ ისეთ შემთხვევას, რომელიც მოწმობს მოდუნებას შრომის დისციპლინის დარგში, მოწმობს იმას, რომ მომუშავენი დაუდევრობასა და უყურადღებობას იჩენენ მუშაობაში, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ უმსგავსოდაც ეკიდებიან საქმეს. შრომის დისციპლინის შესუსტება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს შრომის ნაყოფიერებაზე, მჭიდროდ არის დაკავშირებული იმასთან, რომ მრეწველობაში ჩაებნენ მუშათა ახალი ფენები, უმთავრესად სოფლიდან გამოსულნი. ამ ახალ ფენებს სახელმწიფო საწარმო ხშირად თავიანთ მახლობელ, სოციალისტურ წამოწყებად არ მიაჩნიათ, ფაბრიკაში ყოფნას ისინი დროებით მოვლენად სთვლიან და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი მიიღონ იქიდან. სოციალისტური წარმოებების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ყოვლად მიუღებელია და მუშების ამ ფენებში გაძლიერებული მუშაობის წარმოება პროფკავშირების მთავარ ამოცანას უნდა წარმოადგენდეს. მუშების ახალ ფენებთან მუშაობას პროფკავშირები დღემდე სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ. ამჟამად ეს რადიკალურად უნდა შეიცვალოს. წარმოებაში ახლად ჩაბმული მუშების აღზრდა, „სოფლური" განწყობილებების რაც შეიძლება სწრაფად დაძლევა, საწარმოსადმი ნამდვილი პროლეტარული დამოკიდებულების აღზრდა და სხვა უნდა შეადგენდეს პროფესიონალური კავშირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას ეხლანდელ ეტაპზე. თვითღირებულების შემცირებისათვის წარმოებულ ბრძოლაში უნდა გამოვიყენოთ ყველა ის საშუალება, რომელიც ჩვენს განკარგულებაშია. ყურადღება უნდა მივაქციოთ როგორც დიდ, ისე მეორეხარისხოვან მოვლენებს. რაციონალიზატორული მუშაობა ჯერ კიდევ მოისუსტებს. სოციალისტური რაციონალიზაციის ფრონტი აუცილებლად უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს.

საჭიროა უსასტიკესი ეკონომია ნედლეულის გამოყენებაში როგორც იმის გამო, რომ სასოფლო-სამეურნეო ნედლეული საერთოდ მინიმალური რაოდენობით მოგვეპოვება, ისე იმის გამოც, რომ ზოგიერთ ნედლეულზე ფასები იზრდება. საჭიროა ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მრეწველობის საორგანიზაციო სტრუქტურა, გაძლიერდეს ცალკე საწარმოთა თაოსნობა და დაინტერესება და მოეწყოს მათ შორის შეჯიბრება. უნდა გავაძლიეროთ პირადი პასუხისმგებლობა სამეურნეო ორგანოების მთელ სისტემაში, უნდა გავაძლიეროთ ოსტატის, ცეხის გამგის და დირექტორის პასუხისმგებლობა. ყოველმხრივ უნდა შეუწყოთ ხელი ინჟინერ-ტეხნიკოსთა თაოსნობას და ისინი ბევრად უფრო სრულად და უფრო ღრმად უნდა ჩავაბათ თვითღირებულების შემცირებისათვის წარმოებულ მუშაობაში, ვიდრე ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის დარგში არ შეიძლება იმით დავკმაყოფილდეთ, რომ ზევიდან გავცეთ დირექტივები.

სწორი დირექტივებისა და ბრძანებების გარდა, წარმოებებს კონკრეტული დირექტივები უნდა მივცეთ იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად როგორ განხორციელდეს თვითღირებულების შემცირება. საერთო დირექტივები—თვითღირებულების შემცირების შესახებ სავსებით საკმაოა, მხოლოდ წარმოებებს ტეხნიკურ ხელმძღვანელობას ვერ ვუწევთ თვითღირებულებისათვის წარმოებულ კონკრეტულ მუშაობაში. ამიტომ სავსებით მიზანშეწონილი და დროულია ს.მ.უ. საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ადგილებზე ავტორიტეტული კომისიების გაგზავნის შესახებ იმის შესამოწმებლად, თუ პრაქტიკულად როგორ უნდა განხორციელდეს ეს შემცირება.

მაგრამ თვითღირებულების შემცირების კამპანიის უმნიშვნელოვანეს და გადამწყვეტ ნაკლს ის წარმოადგენს, რომ იგი ჯერ კიდევ არ გადაქცეულა უფართოეს საზოგადოებრივ კამპანიად, რომ მუშათა კლასი მასიურად არ არის ჩაბმული ამ კამპანიაში. გადამწყვეტი წარმატების მიღწევა კი თვითღირებულების შემცირების საქმეში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კამპანიაში პირდაპირ და უშუალო მონაწილეობას მიიღებენ მუშების უფართოესი ფენები. ბრძოლა თვითღირებულების შემცირებისათვის ვიწრო ბიუროკრატიული კაბინეტებიდან უნდა გადავიდეს მუშათა მასებში და ეს საქმე საწარმოო თათბირების მთავარ მუშაობას უნდა შეადგენდეს. საწარმოო თათბირებმა გაცხოველებული ყურადღება უნდა მიაქციონ თვითღირებულების საკითხებს. რკინის ხელით უნდა განიდევნოს ადმინისტრაციის უყურადღებო დამოკიდებულება მუშების პრაქტიკულ წინადადებებისადმი. ამ ჩინოვნიკურ და უმსგავსო დამოკიდებულებას აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო.

„პრავდა", 17 იანვარი.

კელოგის პაქტი და შეიარაღების ზრდა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში

ავღანისტანის ფადიშაჰად ასახელებენ აჯანყებულთა წინამძღოლს ბაჩე საკაოს

ინაიატულა გადადგა.—პრესა ამხელს ინგლისის ბნელ როლს აჯანყებაში

პოლონეთში შესაძლებლად მიაჩნიათ სეიმის გარეკა

კელოგის პაქტის გარშემო

კელოგის პაქტის რატიფიკაცია ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატებში

ვაშინგტონი, 16 იანვარი. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სენატმა კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინა 85 ხმით წინააღმდეგ ერთი ხმისა (წინააღმდეგ ხმა მისცა სენატორმა ბლეინმა—ვისკონსინის შტატიდან). როცა გამოცხადდა კენჭის ყრის შედეგები, სენატორმა ბრუკხარტმა სენატს მიმართა სიტყვით: მან განაცხადა, რომ **შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ის პირველი დიდი სახელმწიფოები არიან, რომლებმაც კელოგის პაქტის რატიფიკაცია მოახდინეს.** ბრუკხარტმა იმედი გამოსთქვა, რომ ეს სახელმწიფოები შეეცდებიან მოსპონ ომი მთელ დედამიწაზე.

კონფლიქტი, რომელიც წარმოიშვა სენატში ერთის მხრით პრეზიდენტ კულიჯსა, საგარეო საქმეთა მინისტრს კელოგსა, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის ბორას შორის, ხოლო მეორეს მხრით უმცირესობის ბლოკს შორის (სენატორი რიდი და სხვ.), კომპრომისით დამთავრდა. კულიჯი, კელოგი და ბორა მოითხოვდნენ პაქტის რატიფიკაციას ყოველგვარი პირობების გარეშე. რიდი და მისი მომხრეები მოითხოვდნენ, რომ სენატს მიეღო პაქტის გარკვეული განმარტება.

ამ კომპრომისის თანახმად. სენატმა დაამტკიცა საგარეო საქმეთა კომისიის მოხსენება, რომელიც ხელშეკრულების განმარტებას შეიცავს. მაგრამ ამავე დროს აღნიშნულია. რომ ეს განმარტება არ წარმოადგენს შენიშვნებს. კომისიის მოხსენებაში აღნიშნული განმარტება ხაზს უსვამს, რომ კელოგის ხელშეკრულება არ ზღუდავს შეერთებული შტატების უფლებას თავდაცვის საკითხში, ეს ხელშეკრულება შეერთებულ შტატ. უნარჩუნებს მოქმედების სრულ თავისუფლებას მონროეს დოქტრინის ფარგლებში. რომელიც შეერთებული შტატების თავდაცვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საგარეო მინისტრი მოითხოვდა ხელშეკრულების რატიფიკაციას განმარტების გარეშე, მაგრამ კამპანიამ რომელსაც ამას წინად რიდი და მისი მომხრეები აწარმოებდნენ, აიძულა ბორა ნაწილობრივ დათმობებზე წასულიყო, განმარტება წარედგინა საგარეო საქმეთა კომისიის მოხსენების სახით.

კელოგის პაქტის რატიფიკაციის შემდეგ სენატის დღის წესრიგში პირველ საკითხად სდგას საზღვაო გემთშენების პროგრამის პროექტი რომელიც 15 კრეისერის აგებას ითვალისწინებს (ადს).

ლემერის შეკითხვა საფრანგეთის მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

პარიზი, 16 იანვარი. რადიკალებთან დაახლოვებულმა მემარცხენე დემოკრატმა დეპუტატმა ლემერიმ შეკითხვა შეიტანა სენატში მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან განაცხადა, რომ **კელოგის პაქტმა შეასუსტა ერთა ლიგის პრესტიჟი და განამტკიცა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების ავტორიტეტი.** პაქტის ერთ-ერთ უარყოფით შედეგად მას მიაჩნია პოლონეთისადმი მიმართული საბჭოთა წინადადება, რომელიც, ორატორის აზრით, „უაღრესად სახიფათო და მნიშვნელოვანი მოვლენაა" მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ფიქრობს—კელოგის პაქტზე ააგოს პროპაგანდის მთელი სისტემა, რომელიც მიმართული იქნება ერთა ლიგისა და მისი მეთოდების წინააღმდეგ.

ლემერის პასუხად ბრიანმა განაცხადა: „ლემერი ამბობს: „ხედავთ, რა სახიფათოდ გამოიყენეს პაქტი ზოგიერთმა ქვეყნებმა, ხედავთ, საბჭოთა კავშირმა როგორ ჩაიგდო ხელში პაქტი და ცდილობს ინტრიგები გააბას პოლონეთის წინააღმდეგო". მაგრამ დახეთ, რა პატივისცემას იჩენს პაქტის მიმართ ის ხალხი, რომელიც ესოდენის ირონიით ეკიდება ბურჟუაზიული საზოგადოების წიაღში წარმოშობილ მშვიდობიანობის ორგანოებს. ეს, ჭეშმარიტად, პატივისცემაა, თუ თვალთმაქცობა არ არის. ჩვენ განვიხილეთ საკითხი და იმ აზრს დავადექით, რომ ამ შემთხვევაში პაქტს შეუძლია მიიღოს ხასიათი თავდაუსხმელობის პაქტისა, რომელიც თვითონ პოლონეთმა შესთავაზა რუსეთს, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს აქტი არ განისაზღვროს პოლონეთისა და რუსეთის ფარგლებით, არამედ გავრცელდეს ევროპის იმ ქვეყნებზედაც, რომლებიც უშუალოდ საზღვრავენ რუსეთს, ე. ი. რუმინეთიდან დაწყებული და ბალტიის სახელმწიფოებით გათავებული. ვფიქრობ, რომ მოლაპარაკება რიგიანად დამთავრდება და ყველა ეს ქვეყანა ხელს მოაწერს შეთავაზებულ შეთანხმებას. მე არ მესმის, რატომ უნდა ვწუხდეთ ამაზე"? (ადს).

„ტან"-ი ესალმება

პარიზი, 16 იანვარი. „ტან"-ი ესალმება კელოგის პაქტის დამტკიცებას შეერთებული შტატების სენატის მიერ და სწერს:

„სასურველია, რომ პაქტის რატიფიკაციას სხვა სახელმწიფოებიც დაჩქარებით მოახდენდნენ. ეს საჭიროა პაქტის ძალაში შესვლისათვის. ამრიგად საბჭოთა მთავრობის მანევრს, რომლის მიზანია პოლონეთის განმარტოება, ნიადაგი გამოეცლება" (ადს).

რუმინეთი კმაყოფილია

ვენა, 16 იანვარი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სენატის მიერ კელოგის პაქტის რატიფიკაციის მოხდენამ კმაყოფილება გამოიწვია რუმინეთის მმართველ წრეებში, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ რატიფიკაცია გამოიწვევს საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის მიცემული წინადადების „უშედეგოდ დამთავრებას". მაგრამ მთავრობის ზოგიერთი წევრნი, კერძოდ მიწადმოქმედების მინისტრი მიხალაკე, იმ აზრისანი არიან, რომ „საჭიროა გამოყენებულ იქნას ყოველი შესაძლებლობა საბჭოთა კავშირთან შეთანხმების მისაღწევად, რათა ბოლო მოეღოს დაძაბულ მდგომარეობას დნესტრის რაიონში".

პოლონეთის პაციფისტური განცხადებები ეჭვებს იწვევს

პარიზი, 16 იანვარი. გაზეთი „სუარ"-ი კომენტარიებს უკეთებს ბრიანის განცხადებას საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის მიცემული წინადადების შესახებ და მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ბრიანი საბჭოთა წინადადებაში არ ხედავს სერიოზულ ღონისძიებას მშვიდობიანობის მისაღწევისათვის. გაზეთი აცხადებს:

„საბჭოთა წინადადება წარმოადგენს კონკრეტულ სერიოზულ აქტს და არა თვალთმაქცობას, როგორც ბრიანს ჰგონია. თუ პოლონეთმა უარჰყო ლიტვინოვის წინადადება, იგი მძიმე პასუხისმგებლობას იკისრებს. მისი პაციფისტური განცხადებები ეჭვებს გამოიწვევს" (ადს).

პატეკის თათბირი მთავრობასთან

ვარშავა, 16 იანვარი. პოლონეთის ელჩს მოსკოვში პატეკს 15 იანვარს თათბირი ჰქონდა მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრ კვიატკოვსკისთან. შემდეგ იგი მიიღო პრემიერ-მინისტრმა ბარტელმა და რესპუბლიკის პრეზიდენტმა.

„ექსპრეს პორანი" იუწყება. რომ ამ თათბირზე განხილულ იქნა პოლონეთ-საბჭოთა დამოკიდებულების საკითხი კერძოდ ეკონომიური ურთიერთობის პრობლემა. რადგან საკითხი თათბირზე არ ამოწურულა, პატეკმა თავისი დაბრუნება მოსკოვში 19 იანვრამდე გადასდო.

„იზვესტია" კელოგის პაქტის რატიფიკაციის შესახებ

მოსკოვი, 17 იანვარი. ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კელოგის პაქტის რატიფიკაციის შესახებ „იზვესტია" სწერს:

„საკითხის აღძვრის პირველ დღიდანვე საბჭოთა კავშირმა პაქტის მიმართ პატიოსანი და პირდაპირი პოზიცია დაიჭირა. პაქტის ვალდებულებანი ჩვენ არასოდეს არ მიგვაჩნდა ისეთ რამედ, რომლებიც კაცობრიობას იხსნიან მოსალოდნელი საომარი კატასტროფისაგან. ჩვენ სასტიკად ვაკრიტიკებდით პაქტის მორალურ ვალდებულების სისუსტეს და აღვნიშნავდით, რომ ეს ვალდებულებები ჭეშმარიტი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, თუ მათთან ერთად სისტემატიური განიარაღების განხორციელებას დაიწყებდნენ. ამას ჩვენ ვამბობდით აშკარად და პირდაპირ, მაგრამ, საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკასთან სრული შეფარდებით, საბჭოთა კავშირის მთავრობამ არ გაუშვა არც ერთი შემთხვევა, რომ საქვეყნოდ არ გამოემჟღავნებინა თავისი შეუდრეკელი, მშვიდობიანობისკენ მიმართული ნებისყოფა, მან არ გაუშვა არც ერთი შემთხვევა, რომ არ გადაედგა ამ მიმართულებით თუნდაც მცირე ნაბიჯი. საბჭოთა კავშირი არა თუ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა მოწოდებას პაქტისათვის შეერთების შესახებ, არამედ პირველმა მოახდინა პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების რატიფიკაცია. მეტიც—ჩვენ მეორე ნაბიჯიც გადავდგით იმ მიმართულებით, რომ განგვეხორციელებინა ამ პაქტით მიღებული ვალდებულებანი. ამხ. ლიტვინოვის წინადადება საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის დამოკიდებულებაში პაქტის ვალდებულებათა დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის შესახებ არ ნიშნავდა მარტო სამშვიდობო პოლიტიკის დემონსტრაციას, იგი ნიშნავდა იმასაც, რომ ჩვენ გვსურდა პაქტის ვალდებულებათა გამოყენება პაციფიკაციის საქმეში დედამიწის განსაზღვრულ ტერიტორიაზე. ამ საკითხში მეტად აშკარად იჩინა თავი არა მარტო ჩვენმა სამშვიდობო სურვილმა, არამედ იმ სპეკულიაციამ, რომელზედაც ჩვენ ზევით ვამბობდით და რომელიც შეეხება პაქტის რატიფიკაციის უარყოფის შესაძლებლობას. ჩვენი წინადადება ზედმეტად იქნა გამოცხადებული, როგორც იმ შემთხვევისთვის, თუ პაქტის რატიფიკაცია არ მოხდებოდა, ისე იმ შემთხვევისთვის, თუ მისი რატიფიკაცია მალე მოხდებოდა. პირველ შემთხვევაში ამბობდნენ: საბჭოთა კავშირის მთავრობის წინადადება არ არის საჭიროო, მეორე შემთხვევაში ის ზედმეტიაო. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კელოგის პაქტის რატიფიკაცია ლახვარს ჩასცემს ყველა იმას, ვინც ამ პაქტის ჩაშლის შესაძლებლობით სპეკულიაციას ეწეოდა. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რატიფიკაციის შემდეგ დასავლეთ ევროპის ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს პარიზის ხელშეკრულების უარის თქმას ასეთსავე რატიფიკაციაზე. მიუხედავად ამისა, ისიც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ რატიფიკაციას, რამდენადაც შესძლებენ, გააჭიანურებენ. ეს გარემოება საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლიტვინოვის 29 დეკემბრის წინადადება პაქტის ვალდებულებათა დაუყოვნებლივ ძალაში შესვლის შესახებ, ისევ აქტუალურ წინადადებად რჩება.

ჩვენ მივესალმებით სენატორ ბრუკხარტის განცხადებას, რომელიც შეეხება საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ღონისძიებებს, მიმართულს კელოგის პაქტის იდეათა განხორციელებისაკენ. მაგრამ ჩვენ დაულალავად ვიმეორებთ, რომ განიარაღების გარეშე კელოგის პაქტის ვალდებულებანი ადვილად შესაძლებელია მხოლოდ ქაღალდზე დარჩნენ".

რეაქციონური გადატრიალება ავღანისტანში

ქაბული აჯანყებულთა ხელშია

ქაბული, 16 იანვარი. 15 იანვარს, დილის 10 საათზე ქალაქი აჯანყებულთა ხელში გადავიდა. მთავრობის ჯარის უმეტესი ნაწილი აჯანყებულებს დანებდა და მან იარაღი დაჰყარა. მცირე რაზმები ჯერ კიდევ განაგრძობენ თავდაცვას რამდენიმე გამაგრებულ პუნქტში. ჰაეროდრომი, საარტილერიო მთავარი პოზიციები და მთელი არტილერია აჯანყებულთა ხელშია. არკი (ფადიშაჰის რეზიდენცია), სადაც ინაიატულა იმყოფება ჯარის მცირე რაზმთან, გარსშემორტყმულია. ქაბულის ქუჩებზე აჯანყებულთა რაზმები დადიან და წესრიგს იცავენ. რაზმების უფროსნი აცხადებენ, რომ უცხო მისიებსა და კოლონიებს არავითარი საფრთხე არ მოელითო. აჯანყებულთა სარდლობამ გამოაცხადა, რომ **ბაჩე-საკაო უმაღლეს ხელისუფლებას ღებულობს ფადიშაჰი ხაბიბულა-ხანი ღაზის სახელწოდებით.** ბაჩე საკაოს ქაბულში შესვლას 15 იანვარს მოელიან. ინაიატულასა და მთავრობის წევრებს, რომელნიც არკში იმყოფებიან, წინადადება მიეცათ დანებდნენ, იმ შემთხვევაში, თუ მათ უარი განაცხადეს. აჯანყებულებს განზრახვა აქვთ ძალით აიღონ არკი (ადს).

ინაიატულამ ტახტზე უარი განაცხადა

ქაბული, 17 იანვარი. 17 იანვარს, დილის 10 საათზე არკი აჯანყებულებს დანებდა. **ინაიატულამ ხელი აიღო ძალა-უფლებაზე და უარი განაცხადა ტახტზე** იმ პირობით, რომ მას და მასთან არკში მყოფთ მიეცემათ ხელშეუხლებლობის გარანტია. აჯანყებულთა სარდლობას არკი 17 იანვარს გადაეცემა. ქალაქში სრული სიმშვიდეა. ბაზრები ღიაა. დაწესებულებებსა და უცხოეთის მისიებს აჯანყებულთა რაზმები იცავენ. უცხოელებისადმი დამოკიდებულება სრულიად მეგობრულია. ქალაქში მომხდარი ბრძოლის დროს არც ერთი უცხოელი არ დაზარალებულა (ადს).

განცხადება ავღანისტანის მისიისა საფრანგეთში

პარიზი, 16 იანვარი. ავღანისტანის მისიამ პარიზში პრესას გადასცა განცხადება, რომელიც ეხება ზოგიერთ გაზეთების ცნობას იმის შესახებ, რომ ავღანისტანის ახალი მეფე ინაიატულა ინგლისის [illegible]. მისია აცხადებს, რომ ახალი მეფე მტკიცე ავღანელი ნაციონალისტია და მას სურვილი აქვს, საუკეთესო ურთიერთობა დაამყაროს უცხოეთის ყველა სახელმწიფოსთან და არავის უპირატესობა არ მისცეს დანარჩენების წინაშე.

„ჩიკაგო ტრიბუნ"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს ავღანისტანის ელჩმა პარიზში ხაბიბულა ტარზიმ განაცხადა:

„ინგლისის ბნელმა ინტრიგებმა ზოგიერთი ტომები აამხედრეს ამანულა-ხანის წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი პოლიტიკა წინდაწინვე განწირულია, ვინაიდან ინაიატულა სრულებითაც არ წარმოადგენს იარაღს ინგლისის ხელში, როგორც მას გვისახავენ. იგი ისეთივე პატრიოტია, როგორც ამანულა-ხანი, და მოწყურებულია ავღანისტანის დამოუკიდებლობას. ალბად, იგი ტახტზე ავიდა ამანულა-ხანთან მეგობრული შეთანხმების შემდეგ, იმ ვარაუდით, რომ ამით დამშვიდდება ქვეყანა და ჩაიშლება უცხოელთა შეთქმულებანი.

ამანულა ახალი ავღანისტანის ბელადად დარჩება, როგორც საძირკვლის ჩამყრელი უდიდესი რეფორმებისა, რომელთა შემდგომ განხორციელებას ვერავითარი შეაჩერებს. ავღანისტანზე ამბობდნენ, რომ იგი უპირატესობას რუსეთს აძლევსო. ეს ლეგენდაა. ნამდვილად კი ავღანისტანს მეგობრული ურთიერთობა აქვს საბჭოთა კავშირთან, ვინაიდან დღემდე ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან მხოლოდ კეთილ ნაყოფს გვაძლევდა. სხვის მხრით კი ჩვენ მუდამ ინტრიგებს ვხედავთ და არა მეგობრულ [illegible]. (ადს).

ოფიციალური ცნობა ამანულას გადადგომის შესახებ

ქაბული, 17 იანვარი. გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ 13 იანვარს ღამით ფადიშაჰმა ამანულამ იმ მიზნით, რომ შეეწყვიტა შემდგომი სისხლის ღვრა, დასთმო ხელისუფლება და ტახტიდან გადადგა თავისი უფროსი ძმის ინაიატულას სასარგებლოდ. ეს უკანასკნელი დასთანხმდა მიეღო ხელისუფლება და გამოცხადებულ იქნა ავღანისტანის ფადიშაჰად. ეს აქტი დაადასტურა სარდლობამ, სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეებმა და სასულიერო პირების კრებამ.

ამანულა ყანდაგარში გაემგზავრა

ქაბული, 16 იანვარი. 14 იანვარს ამანულა და რამდენიმე მასთან დაახლოვებული პირი ავტომობილებით ყანდაგარში გაემგზავრნენ. მთავრობის სხვა წევრები, კერძოდ. მუჰამედ ვალი ხანი რომელიც ფადიშაჰის მოადგილის თანამდებობაზე რჩება, ქაბულში დარჩნენ.

ჯარმა სცნო ახალი ფადიშაჰის ინაიატულას ხელისუფლება (ადს).

პრესა გადატრიალების შესახებ

ინგლისის პრესა

ლონდონი, 16 იანვარი. „მორნინგ პოსტ"-ი კომენტარიებს უკეთებს ამანულას გადადგომას და არც კი ცდილობს დაფაროს თავისი კმაყოფილება. გაზეთი იგონებს 1919 წლის ამბებს და აცხადებს, რომ მაშინ ამანულა თავს ესხმოდა ინგლისელებსო. გაზეთი ამტკიცებს, თითქოს ამანულას ცდა გაეტარებია რეფორმები, „თავიდანვე უიმედო საქმე იყო, რომელიც ეხლა ლოღიკურად დაბოლოვდაო".

გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ ახალი მეფე ინაიატულა ისეთსავე პოლიტიკას დაადგება, როგორც ემირი ხაბიბულა აწარმოებდა, და ამ შემთხვევაში მას შეუძლია იმედი ჰქონდეს ინგლისის მეგობრობისაო.

პირიქით, „ტაიმს"-ი ფიქრობს, რომ ამანულას დამარცხება ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ ჩაითვლება.

„ამანულამ,—სწერს გაზეთი,—ავღანელების ახალგაზრდა თაობაში ისეთი თესლი დათესა, რომელიც აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს. მოლებმა შეიძლება დაამარცხეს ამანულა, მაგრამ მისი რეფორმები კი ვერა".

დასასრულ გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ მშვიდობიანობა დაცული იქნება.

„დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს, რომ ამანულა ისეთი საქმისათვის იბრძოდა, რომელიც თავიდანვე წაგებული იყო, ვინაიდან „მოდერნიზმი და ცენტრალიზაცია შეუფერებელია ფანატიკური კლანებისათვისო" (ადს).

საფრანგეთის პრესა

პარიზი, 16 იანვარი. ფრანგული პრესა კომენტარიებს უკეთებს ამანულას გადადგომას და შესაძლებლად მიაჩნია, რომ ინგლისს კავშირი აქვს მეამბოხეთა მოძრაობასთან.

„ტან"-ი აღნიშნავს, რომ ინგლისელები შეშფოთებულნი იყვნენ იმის გამო, რომ ამანულა მეტისმეტად გულმოდგინედ ბაძავდა ქემალ-ფაშას და თანაგრძნობას იჩენდა საბჭოთა პოლიტიკისადმი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მოსკოვი ინახულა, ხოლო ამავე დროს უნდობლობით ეპყრობოდა ინგლის-ინდოეთის მთავრობის პოლიტიკას.

„ჟურნალ დე დება" ამანულას გადადგომის მთავარ მიზეზად სთვლის მეტად ნაჩქარევ რეფორმებს, ამავე დროს გაზეთი გადაკვრით აღნიშნავს ინგლისის როლს და სწერს: „როგორც საერთოდ ხდება, რუსები ბრალს სდებდნენ ინგლისელებს, ხოლო ინგლისელები—რუსებს. ყოველ შემთხვევაში ლოურენსის ავღანისტანში ყოფნა, ბაჩე საკაოს როლი და მოძრაობის სწრაფად ინდოეთ-ავღანისტანის საზღვარზე დაწყება ეჭვების აღმძვრელია".

„ეკო დე პარი" სწერს: „ინტელიჯანს სერვისის (ინგლისის კონტრდაზვერვა) მოღვაწეებს ბევრი რამეს თქმა შეუძლიათ იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა აჯანყება ავღანისტანში. ამ ორი წლის წინად, როდესაც ლოურენსი ავღანისტანში გაიგზავნა, მას დაევალა მოემზადებია აჯანყება ამანულას ჩამოსაგდებად და მის შესაცვლელად ისეთი პრინცით, რომელიც ინგლისისათვის მისაღები იქნებოდა. ინგლისი შეშფოთებული იყო იმის გამო. რომ ავღანისტანის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან თანდათან მტკიცდებოდა. ლოურენსმა შესძლო ტომების ამხედრება ამანულას წინააღმდეგ და შეასრულა დავალება". (ადს).

გერმანიის პრესა

ბერლინი, 16 იანვარი. გერმანიის პრესა კომენტარიებს უკეთებს ავღანისტანის ამბებს და ამანულას ჩამოგდებას ინგლისის დიდ გამარჯვებად სთვლის. „როტე ფანე" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამანულას ჩამოგდება ფართოდ უღებს კარებს ინგლისის გეგმას საბჭოთა კავშირის გარემოცვის შესახებ. ამასთან გაზეთი აღნიშნავს, რომ ისტორიის ბორბალი უკუღმა ვერ მოტრიალდება. უკანასკნელმა 10 წელმა ცხადჰყო ავღანისტანის [illegible], რომ ავღანისტანი თავისით დამოუკიდებლობის შენარჩუნებას მხოლოდ პროგრესისა და ბრძოლის გზით შესძლებს. „მთელი მსოფლიოს მუშებისათვის,—სწერს, დასასრულ, გაზეთი,—ამანულას ჩამოგდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომზადების ახალი მომასწავებელი გარემოებაა".

იმპერიალისტები აძლიერებენ შეიარაღებას

ახალი ჯავშნოსნების აგება საფრანგეთსა და ამერიკაში

პარიზი, 16 იანვარი. სენატმა განიხილა ლემერის შეკითხვა კელოგის პაქტის შესახებ. ლემერიმ, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ **ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების სენატი კელოგის პაქტის რატიფიკაციასთან ერთად ემზადება დიდი სამხედრო საზღვაო მშენებლობის პროგრამის განსახილველად.**

ამავე დროს პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ შემდეგ ამბავს: **15 იანვარს საფრანგეთის პალატამ განიხილა კანონპროექტი ახალი სამხედრო გემების აგების შესახებ.** პროექტით გათვალისწინებული გემების საერთო ღირებულება უდრის დაახლოებით 989 მილიონ ფრანკს, რომელიც დაიხარჯება 1929 წლიდან 1933 წლამდე. პროექტის წინააღმდეგ გამოვიდა სოციალისტი რენო. რენომ შიში გამოსთქვა, ვაი თუ ასეთი პროგრამის დადასტურებამ გამოიწვიოს სხვა სახელმწიფოების გაძლიერებული შეიარაღებაო.

ლემერის პასუხი გასცა საზღვაო მინისტრმა ლეიგმა. მან სთქვა: პროექტით გათვალისწინებული თანხა უკვე დაადასტურეს პალატამ და სენატმა, ვინაიდან იგი 1929 წლის ბიუჯეტში შეტანილი, ახლა ლაპარაკი შეეხება მხოლოდ ახალი გემების ტიპს (ადს).

პარიზი, 16 იანვარი. დეპუტატთა პალატამ ყველა პარტიის ხმებით, გარდა კომუნისტების და სოციალისტებისა, ნება დართო მთავრობას განახორციელოს გემთა მშენებლობის პროგრამის მეორე ნაწილი. ეს პროგრამა ითვალისწინებს ერთი კრეისერის, 6 კონტრნალმოსანის, 6 წყალქვეშა ნავის და სხვ. აგებას (ადს).

გერმანიის სამხედრო მინისტრის მემორანდუმი

ბერლინი, 16 იანვარი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში სენსაცია გამოიწვია ლონდონის ჟურნალ „რევიუ ოვ რევიუს"-ში გამოქვეყნებულმა გერმანიის სამხედრო მინისტრის გრენერის მემორანდუმმა ჯავშნოსნის აგების შესახებ. მემორანდუმი შემდეგ დებულებას ემყარება: გერმანიაზე თავდასხმის წინააღმდეგ ერთგვარ გარანტიას წარმოადგენს გერმანიის მწყობრად დარაზმული თავდამცველი ძალის არსებობა. განა აღმოსავლეთი პრუსია,—ნათქვამია მემორანდუმში,—პოლონელებს არ მიიზიდავდა, მათ რომ შიში არ ჰქონდეთ. რომ გერმანიის დამცველი ძალა გზას გადაუღობავს. მემორანდუმი აღნიშნავს: **გერმანიის სამხედრო ძალები შეიძლება გამოყენებულ იქნან როგორც გერმანიის ტერიტორიალური გაძარცვის ცდის წინააღმდეგ, რაც მემორანდუმს შესაძლებლად მიაჩნია პოლონეთის მხრით,** ისე გერმანიის ნეიტრალიტეტის დასაცავად იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონფლიქტები, რომლებშიაც მონაწილეობას მიიღებენ დასავლეთის სახელმწიფოები. მემორანდუმი ჯავშნოსნებს მიაკუთვნებს ბალტიის სანაპიროების დაცვის როლს. ამასთან ჯავშნოსნებმა „საბჭოთა კავშირის სამხედრო ფრონტის მეტი ძლიერების ნეიტრალიზაცია უნდა მოახდინონო".

რაკოშის წერილი საპატიმროდან

ვენა, 16 იანვარი. ვენაში მოვიდა ცნობა, ვითომ ბუდაპეშტის ცენტრალურ საპატიმრო დირექციას ხელში ჩაუვარდა რაკოშის წერილი. რომელშიაც აწერილია საპატიმროს რეჟიმის სისასტიკე. ამ ცოტა ხნის წინად რაკოში ერთი კვირით დაამწყვდიეს კარცერში. ამ სასჯელის მოხდის შემდეგ. რაკოშს სამი თვით წაერთვა მიწერ-მოწერის, წიგნების მიღებისა და გარედან მისულთა ნახვის უფლება. მისი ულუფა შემცირებულ იქნება ერთი მესამედით.

რაკოში სწერს, რომ წყლით სავსე კარცერში ჯდომამ ძალიან ცუდად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე (ადს).

უკანასკნელი ცნობები

რუმინეთის პრესა ლიტვინოვის ნოტის შესახებ

ვენა, 16 იანვარი, ბუქარესტიდან მიღებული ცნობით. რუმინეთის პრესამ გამოაქვეყნა [illegible] ადგილები ლიტვინოვის მეორე ნოტიდან.

მთავრობის მომხრე „ადევერულ"-ი და „დიმინეატა" აცხადებენ, რომ რუმინეთს საფუძველი არა აქვს ხელი არ მოაწეროს ოქმზე, თუ საბჭოთა კავშირი, ლიტვინოვის ნოტის თანახმად, მართლაც აილებს ხელს ბესარაბიის საკითხის გადაჭრაზე სამხედრო გზით.

რუმინეთის მუშურ-გლეხური ბლოკის ორგანო „ინაინტე" მოუწოდებს რუმინეთის რევოლუციონურ პროლეტარიატს— დაუზოგავად ამხილოს რუმინეთის ბურჟუაზიის ოინები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ებრძოლოს მის სამხედრო მზადებას (ადს).

გერმანელ სპეციალისტების გადასახლება ზემო-სილეზიიდან

ვარშავა, 17 იანვარი. ავტონომიური სილეზიის სავოევოდომ გუშინ მიიღო გლეხთა დემოკრატიული პარტიის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია, რომელშიაც ის მოითხოვს ზემო-სილეზიიდან საწარმოთა გერმანიის ქვეშევრდომ დირექტორების, ინჟინერებისა და ვაჭრების გადასახლებას გერმანიაში. ეს რეზოლიუცია მიღებული იქნა, როგორც პასუხი შტრეზემანის მიერ ლუგანოში გაკეთებული განცხადებისა, რომ პოლონეთი ზემო-სილეზიის რთულ ეკონომიკას მხოლოდ მრავალრიცხოვანი გერმანელი სპეციალისტების დახმარებით უძლებაო (ადს).

საიდუმლო დოკუმენტის გამოქვეყნების წინააღმდეგ

ბერლინი, 17 იანვარი. გერმანიის პრესა დაწვრილებით ეხება ინგლისის პრესაში ჯავშნოსნების შესახებ სამხედრო მინისტრის გრენერის მემორანდუმის გამოქვეყნებას. გაზეთები ერთხმად ჰგმობენ უცხოეთის ორგანოსთვის საიდუმლო დოკუმენტის გადაცემას და მოითხოვენ ამ საქმის გამოკვლევას. გუგენბერგის გაზეთი „ტაგ"-ი ფიქრობს, რომ ინგლისის გაზეთში მემორანდუმის დაბეჭდვა დასაწყისია იმ მანევრისა, რომლის მიზანს შეადგენს გერმანიასთან ამერიკის დამოკიდებულებაზე ზეგავლენის მოხდენა რეპარაციების შესახებ მომავალ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით (ადს).

სათადარიგო ჯარისკაცთა რამდენიმე გაწვევის მობილიზაცია პოლონეთში

ვარშავა, 17 იანვარი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ სამხედრო მინისტრის ბრძანებით, ამა წლის 15 იანვარს მოხდა რამდენიმე წლის გაწვევის სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია სტანისლავოვის, ტარნოპოლისა და ლვოვის ოლქების რამდენიმე მაზრაში (ადს).

მელიას მკვლელობის ხელმძღვანელის დათხოვნა სამსახურიდან

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. როგორც მექსიკოდან იუწყებიან, მთავრობამ სამსახურიდან დაითხოვა საიდუმლო პოლიციის უფროსი ვალენტე კვინტანა. რევოლიუციონური მოღვაწეები მოითხოვდნენ კვინტანას დათხოვნას, რადგან ფიქრობენ, რომ ის ხელმძღვანელობდა მექსიკის კომუნისტური პარტიის ცეკას წევრის მელიას მკვლელობას (ადს).

მუშათა შეტაკება შტრეიკბრეხერებთან

ლონდონი, 17 იანვარი, რეიტერის სააგენტო ადელაიდიდან (ავსტრალია) იუწყება: „ადელაიდის ნავთსადგურში მოხდა შეტაკება გაფიცულ მუშებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. 800 მუშა თავს დაესხა შტრეიკბრეხერებს, რომლებიც გემს ტვირთავდნენ. თავდამსხმელები გაჰფანტა 100 პოლიციელმა ჯარის დახმარებით. მუშებს შორის ბევრია დაჭრილი (ადს).

შეთანხმება ებრაელთა კოლონიზაციის შესახებ საბჭოთა კავშირში

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა და „აგრო ჯოინტმა" (საბჭოთა კავშირის ებრაელთა მიწადმოწყობის ამერიკული საზოგადოება) ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირში ებრაელთა კოლონიზაციისათვის ხელის შეწყობის შესახებ. შეთანხმება გაიგზავნა მოსკოვში საბოლოოდ დასამტკიცებლად. შეთანხმების თანახმად, ამერიკული საზოგადოება ებრაელთა მიწადმოწყობისათვის მახლობელ 10 წლის განმავლობაში გაიღებს 10 მილ. დოლარს. ასეთსავე თანხას გაიღებს საბჭოთა მთავრობა.

დირექტივა ენერგიულ ზომების მიღების შესახებ

შანხაი, 16 იანვარი. იაპონიის გაზეთები იუწყებიან, რომ იაპონიის სამხედრო ხელისუფლებამ ხანკოუში ტოკიოდან მიიღო დირექტივა—„მიიღოს ენერგიული ზომები", თუ ჩინეთის ხელისუფლება ბოლოს არ მოუღებს გაფიცულთა პიკეტების მოქმედებას (ადს).

ფრანგი პოლკოვნიკის მოკვლისათვის

პარიზი, 17 იანვარი. ჰავასის სააგენტოს კაზაბლანკიდან (მაროკო) ატყობინებენ:

„სასამართლომ დაასრულა საქმე ადგილობრივ მკვიდრთა, რომელთაც ფრანგი პოლკოვნიკის მოკვლა ბრალდებოდათ. ორს ბრალდებულს სიკვდილი მიუსაჯეს, ერთს—სამუდამო კატორღა, ერთს—კატორღა 10 წლით და მეორეს—8 წლით (ადს).

ბარონ პაკერმანის გაქცევა

პარიზი, 16 იანვარი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„გამომძიებელმა, რომელიც „გაზეტ დიუ ფრანკ"-ის საქმეს აწარმოებს, ბრძანება გასცა, ბარონ პაკერმანის დაპატიმრების შესახებ. პაკერმანს აბრალებენ აფერისტობას და ნდობის ბოროტად გამოყენებას. პაკერმანი გაიქცა" (ადს).

კომუნისტები საფრანგეთის საპარლამენტო კომისიებში

პარიზი, 16 იანვარი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, საფრანგეთის დეპუტატთა პალატის კომუნისტურ ფრაქციას 20 საპარლამენტო კომისიიდან 17 კომისიაში ეყოლება თავისი წარმომადგენლები (ადს).

„ვითომ გაქცევის ცდის დროს".

ვარშავა, 17 იანვარი. დომბროვის რაიონებიდან იუწყებიან, რომ იმ დაპატიმრებების დროს, რომლებსაც ამ რამდენიმე დღის წინედ იქ ჰქონდა ადგილი, პოლიციამ მოჰკლა ერთი კატორღარი—კომუნისტი ვითომ გაქცევის ცდის დროს (ადს).

პოლონეთის სეიმის ყოფნა-არყოფნის საკითხი

„პოლკოვნიკების ჯგუფი" სეიმს ლიკვიდაციას უპირებს

ვარშავა, 16 იანვარი. სეიმის სესია მეტად მძიმე პირობებში გაიხსნა. ამას, ერთის მხრით, ხელს უწყობდა ის, რომ პილსუდსკიმ დემონსტრატიულად უარი განაცხადა—გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები სეიმის კომისიაში სამხედრო ბიუჯეტის განხილვის დროს, მძიმე მდგომარეობის შექმნას, მეორეს მხრით, ხელი შეუწყო იმ ხმებმა, რომ **ეგრედ წოდებული „პოლკოვნიკთა ჯგუფი" ამზადებს სახელმწიფო გადატრიალებას იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ბიუჯეტის გადასინჯვა საპარლამენტო გზით ვერ მოხერხდა.**

15 იანვარს სეიმი ფორმალურად შეუდგა კონსტიტუციის გადასინჯვას. ჯერ არაფერი კონკრეტული პროექტი არ წარუდგენიათ. მემარცხენე ჯგუფები ჯერ-ჯერობით შეთანხმებულად გამოდიან კონსტიტუციის გაუარესების წინააღმდეგ. პილსუდსკის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ კონსტიტუციის გადასინჯვის საქმეში მათ მემარჯვენეები დაუჭერენ მხარს. დამახასიათებელი იყო პოლონეთის სოციალ. პარტიის ბელადის ლიბერმანის გამოსვლა სეიმის პლენუმზე. მან განაცხადა, რომ **სეიმის უფლება—კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო ბიუჯეტს ფაქტიურად დიდი ხანია გაუქმებულიაო. მთავრობა მრავალ მილიონებს ხარჯავს ბიუჯეტს გარეშე და არ ფიქრობს სთხოვოს სეიმს ამ ხარჯების დამტკიცებაო.**

შექმნილი მდგომარეობის გამო **სეიმის წრეებში შესაძლოდ სთვლიან ახალ მკაცრ შეტაკ. მთავრობასა და სეიმს შორის. ეს შეტაკება, მიუხედავად სეიმის დათმობისა, შეიძლება დამთავრდეს სეიმის დაცემით და ახალი კონსტიტუციის გამოცხადებით** (ადს).

დაპატიმრებანი პოლონეთში

ვარშავა, 16 იანვარი. გაზეთები იუწყებიან, რომ პოლონეთში მოხდა ახალი მასიური დაპატიმრებანი. უკანასკნელ დღეებში დააპატიმრეს 100-დე კაცი, რომელთაც ბრალდება ბათ კომუნისტობა (ადს).

გლეხების დახოცვა გალიციაში

ვარშავა, 16 იანვარი. ლვოვის მახლობლად სოფ. ბაციატიჩში გლეხების დახოცვის გამო. დეპუტატმა ვალნიცკიმ მოითხოვა სეიმის კომისიის შექმნა საქმის გამოსაძიებლად. სეიმმა უარჰყო ეს წინადადება და საქმე განსახილველად გადასცა სეიმის საადმინისტრაციო კომისიას. როგორც იუწყებიან სამი გლეხის გარდა, რომლებიც მაშინვე დაიხოცნენ, ჭრილობებისაგან მოკვდა კიდევ ერთი. დახოცილთა დასაფლავების დროს უკრაინელმა გლეხებმა უდიდესი დემონსტრაცია გამართეს. სასაფლაოზე სიტყვები წარმოსთქვეს დეპუტატებმა ვალნიცკიმ და ხამმა (ადს).

იმპერიალიზმთან მებრძოლი ლიგის აღმასკომის სესია

ბერლინი, 16 იანვარი. კელნში გაიხსნა იმპერიალიზმისა და კოლონიალური ხალხების ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის აღმასკომის სესია. სანამ აღმასკომის სესია დღის წესრიგზე გადავიდოდა ლიგის ცნობილი წევრი [illegible] აღმასკომის სახელით მიესალმა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას არა მარტო როგორც საბჭოთა კავშირის 12 მილიონი შეკავშირებული მშრომელის წარმომადგენელს, არამედ როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელთა წარმომადგენელს, იმ საბჭოთა კავშირის. რომელიც ერთად-ერთი ქვეყანაა, სადაც ეროვნული საკითხი სავსებით გადასწყვიტა რევოლიუციამ.

შემდეგ სესიამ მოისმინა პროფესორ გოლდშმიდტის მოხსენება ანტიიმპერიალისტური მოძრაობის შესახებ ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შეერთებული შტატების კაპიტალი მძლავრად ეკიდება ფეხს ლათინური ამერიკის ცალკე ქვეყნებში. მისი სიტყვით, ინგლისი ლათინური ამერიკის ქვეყნებში იძულებულია მოგერიებით პოზიციას დაადგეს. ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ლათინურ ამერიკაში უფრო და უფრო იკიდებს ფეხს.

შემდეგ სხდომაზე სესიამ მიიღო ადრესი, რომლითაც იგი საბჭოთა დელეგაციას ესალმება. შემდეგ კუკმა წაიკითხა მოხსენება: პროფკავშირების ამოცანები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. კუკმა აღნიშნა, რომ „საჭიროა უპირველეს ყოვლისა პროფკავშირების წევრებს შორის გავაღვივოთ ინტერნაციონალური სულისკვეთება და განუმარტოთ მათ იმპერიალიზმის რაობა". ამასთან კუკმა განაცხადა:

„მაგრამ მასების სულისკვეთების გარდაქმნა ყოველ ქვეყანაში უნდა სწარმოებდეს ამ ქვეყნის განვითარების პირობების მიხედვით. დაახლოვების საქმეში არავითარი შეუფერებელ ჩარევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი".

დასასრულ კუკმა განაცხადა: „მთავარ ამოცანას წარმოადგენს მხარი დავუჭიროთ ჩვენს ამხანაგებს საბჭოთა კავშირში მათი მშენებლობის საქმეში".

კუკმა მკაცრად გააკრიტიკა მონდთან მოლაპარაკება მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების შესახებ და გაილაშქრა ინგლისის მუშათა პარტიის ლიბერალური მიმდინარეობის წინააღმდეგ. მან მხარი დაუჭირა პროფკავშირთა მთლიანი ინტერნაციონალის შექმნას, რომელიც ანტიიმპერიალისტურ ლიგასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

კუკის სიტყვით პროფკავშირებმა იმპერიალიზმის წინააღმდეგ უნდა იბრძოლონ საყოველთაო გაფიცვის საშუალებით.

შემდეგ კუკმა გამოააშკარავა ერთა ლიგის იმპერიალისტური ხასიათი და მოუწოდა პროფკავშირების მეშვეობით მხარი დაუჭირონ საბჭოთა პროლეტარიატს.

კუკის მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში პირველად გამოვიდა საფრანგეთის შრომის უნიტარული კონფედერაციის წარმომადგენელი ერკლი. რომელმაც აღნიშნა, რომ ნამდვილ ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ საფრანგეთში აწარმოებენ მხოლოდ კომპარტია და უნიტარული კონფედერაციაო.

შემდეგ ერკლემ განაცხადა, რომ შრომის უნიტარულმა კონფედერაციამ გადასწყვიტა შეუერთდეს ლიგას (ადს).

ბერლინი, 16 იანვარი. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ლიგის აღმასკომის სესიის დილის სხდომაზე ცენტრალურ მომენტს წარმოადგენდა მელნიჩანსკის გამოსვლა კუკის მოხსენების („პროფკავშირების ამოცანები იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში") ირგვლივ გამართულ კამათში.

მელნიჩანსკიმ განაცხადა: „კაპიტალიზმი ისევ განმტკიცდა სოციალ-დემოკრატების აქტიური დახმარებით და ცდილობს დეზორგანიზაცია შეიტანოს მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში. მე არ ვეთანხმები კუკს, რომელსაც რეფორმისტები მხოლოდ უვიცებად გამოჰყავს. კუკს კიდევ შერჩენია ილიუზიები ინგლისის გენსაბჭოს შესახებ. ინგლისელ მემაღაროეთა განადგურება, ინგლის-რუსეთის კომიტეტის გაუქმება, პროფკავშირების საწინააღმდეგო კანონისათვის მხარის დაჭერა, მონდიზმი (მოლაპარაკება მშვიდობიანობის შესახებ მრეწველობაში) და გენსაბჭოს სხვა მოქმედება კიდევ საკმაო საბუთი არაა კუკისათვის იმის დასამტკიცებლად, რომ ინგლისელი რეფორმისტები შეგნებულად ასრულებენ მოღალატეთა როლს.

კუკის პროექტი—იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მთლიან ფრონტში გააერთიანოს მუშათა მოძრაობის ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე ელემენტები ბავშური გულუბრყვილობის შთაბეჭდილებას სტოვებს. სიტყვები სხვა სახელმწიფოების შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ ამ ცოტა ხნის წინად გამოიყენა გენერალურმა საბჭომ ინგლის-რუსეთის კომიტეტის ჩასაშლელად. ომის წარმოება ფრაზებით არ შეიძლება. ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის—სამოქალაქო ომის გაჩაღების შემდეგ. როგორც ეს ჩაიდინეს რუსეთის მუშებმა და გლეხებმა 1917 წლის. იმპერიალისტები ცდილობენ მოატყუონ მასები ისეთი ახალი პაციფისტური მანევრებით, როგორიცაა კონფერენცია განიარაღების შესახებ, კელოგის პაქტი და სხვ. ერთად-ერთი ქვეყანა, რომელსაც ნამდვილად სურს მშვიდობიანობა,—საბჭოთა კავშირია. საბჭოთა მთავრობამ თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე წამოაყენა მშვიდობიანობისა და განიარაღების პროგრამა. ამ პროგრამამ გამოხატულება ჰპოვა ლიტვინოვის მიერ ჟენევაში გაკეთებულ წინადადებასა და საბჭოთა მთავრობის მიერ პოლონეთისათვის მიცემულ წინადადებაში".

შეკერტმა გაილაშქრა კუკის იმ თვალსაზრისის წინააღმდეგ, თითქოს რეფორმისტების ლიდერები მხოლოდ სულელები არიან, რომლებმაც არ იციან, თუ სით მიჰყავთ მუშები. ისინი აშკარა მოღალატეებზე უფრო საშიშარნი არიან.

„სესიამ გარკვევით უნდა აღნიშნოს—განაგრძო ორატორმა,—რომ ლიგაში გაერთიანებულ უნდა იქნან ისეთი ელემენტები, რომლებიც ნამდვილად ცდილობენ იმპერიალიზმის დამხობას და კოლონიალური ხალხების განთავისუფლებას".

მელნიჩანსკის და შეკერტის საპასუხოდ კუკმა განაცხადა, რომ მას სრულებითაც არ სურს წითელ ინტერნაციონალად გადააქციოს ლიგა. (ადს).

საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

სპარსეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

სადილი თეირანის პრესის პატივსაცემად

თეირანი, 16 იანვარი. ამ დღეებში საბჭოთა კავშირის ელჩმა სპარსეთში ამხ. დავთიანმა თეირანის პრესის პატივსაცემად სადილი გამართა. სადილის დროს ამხ. დავთიანმა პრესის წარმომადგენლებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც განაცხადა:

„დიდის კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, რომ განვლილი წლის განმავლობაში უფრო განმტკიცდა და უფრო მეგობრული გახდა ჩვენი ურთიერთობა პრესის წარმომადგენლებთან, იმ პრესისა, რომელიც სპარსეთის საზოგადოებრიობის ინტერესებს გამოხატავს.

ამასთან ერთად მაგრდება და ფართოვდება ურთიერთობა სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. კერძოდ, დიდი წარმატებაა მიღწეული ვაჭრობის დარგში. გეცოდინებათ, რომ შარშან საქონლის ბრუნვამ სპარსეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დაახლოვებით 140.000.000 მანეთს მიაღწია. ეს დიდი წარმატებაა. მაგრამ, როგორც თვითონ თქვენ გესმით, საქმე მარტო ვაჭრობა არ არის. საბჭოთა კავშირის და სპარსეთის ინტერესები ყველა დარგში ერთმანეთს ეთანხმებიან. უნდა ვეცადოთ, რომ უფრო განმტკიცდეს და განვითარდეს ჩვენი პოლიტიკური ურთიერთობაც".

საპასუხო მეგობრული სიტყვა მთელი პრესის სახელით წარმოსთქვა „შეფაგ სორხ"-ის რედაქტორმა (ადს).

კ. ლიბკნეხტისა და რ. ლიუქსემბურგის ხსოვნის აღსანიშნავად

დემონსტრაციები ჩეხო-სლოვაკიაში

პრაღა, 16 იანვარი. ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მოკვლის ათი წლის თავის გამო პრაღაში გაიმართა მუშა-ახალგაზრდობის დემონსტრაცია. კომუნისტმა დეპუტატმა გრუშკამ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ხაზი გაუსვა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის როლს ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მკვლელობაში.

პოლიცია მზად არ იყო დემონსტრაციისათვის, ამიტომ დემონსტრაციას ვერ მოუსწრო (ადს).

დემონსტრაციები ბერლინში

ბერლინი, 16 იანვარი. 15 იანვარს საღამოთი ლიბკნეხტისა და ლიუქსემბურგის მოკვლის ათი წლის თავის გამო, მუშა-ახალგაზრდობამ, რიცხვით 1.500 კაცმა, პოლიციის აკრძალვის მიუხედავად, გამართა დიდი დემონსტრაცია. მოედანზე, სადაც „ფორვერტს"-ის რედაქცია იმყოფება, წარმოთქმულ იქნა სიტყვები. „ფორვერტს"-ის შენობიდან აცნობეს პოლიციას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოცხადდა და რეზინის მათრახები დაუშინა დემონსტრანტებს. დაშავდა რამდენიმე კაცი. დააპატიმრეს 20 დემონსტრანტი. პოლიციის მიერ გაფანტული დემონსტრანტები შემდეგ მაინც შეგროვდნენ და კვლავ განაგრძეს დემონსტრაცია. დემონსტრანტები მღეროდნენ რევოლუციონურ სიმღერებს (ადს).

ჟერომსკის კანდიდატურა

პარიზი, 16 იანვარი. სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადასტურა სოციალისტური პარტიის სენის დეპარტამენტის ორგანიზაციის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც პიუტოში დამატებითი არჩევნების დროს არ იქნას წამოყენებული ვექილი ანრი ტორესის კანდიდატურა. გადაწყვეტილია წამოაყენონ მეორე კანდიდატი, ასეთ კანდიდატად დასახულია ჟერომსკი.

სოციალისტები, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ სოციალისტების ოფიციალურ დეპუტატს და მხარს დაუჭერენ ტორესს, პარტიიდან გამოირიცხებიან.

პიუტოს არჩევნები გამოიწვია იმან, რომ დეპუტატთა პალატამ გააბათილა ამ ოლქში კომუნისტის მენეტრიეს, როგორც „შპიონაჟისათვის" დასჯილის, არჩევა. დამატებით არჩევნებზე კომპარტიის კანდიდატად დასახელებულია მარტი.

სოციალისტური პარტიის ცეკამ ოფიციალურად არ დაამტკიცა ტორესის კანდიდატურა იმ აღშფოთების გამო, რომელიც გამოიწვია ტორესის საქციელმა: ტორესმა იკისრა დაცვა „გაზეტ დიუ ფრანკ"-ში ჩარეული ბანკირი ბლოკისა და ფინანსთა ყოფილ მინისტრის კლოტელისა, რომელსაც სიყალბე ბრალდება (ადს).

უმუშევართა დემონსტრაცია

ბერლინი, 16 იანვარი. 15 იანვარს ჰინდენბურგში (ზემო სილეზია) ქალაქის საბჭოს სხდომაზე მოხდა არაჩვეულებრივი სცენები, რაც გამოიწვია უმუშევართა დემონსტრაციის გამოცხადებამ სხდომის დარბაზში. საბჭომ უარჰყო კომფრაქციის წინადადება, რომლის თანახმადაც საბჭოს დაუყოვნებლივ უნდა განეხილა უმუშევართა დახმარების საკითხი. ამაზე დარბაზში მყოფმა უმუშევრებმა პროტესტი განაცხადეს. გამოწვეულ იქნა პოლიცია, რომელმაც ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიების ხმოსანთა დახმარებით უმუშევრები დარბაზიდან გაიყვანა.

მღელვარე სცენები გაგრძელდა უმუშევართა გაყვანის შემდეგაც. ერთის მხრივ კომუნისტ ხმოსნებსა, ხოლო მეორეს მხრივ ბურჟუაზიულ და სოც.-დემოკრატიულ ხმოსნებს შორის მოხდა რამდენიმე შეტაკება, რის გამო კვლავ იქნა გამოწვეული პოლიციელთა რაზმი (ადს).

მუშურ-გლეხური პრესის დევნა ლატვიაში

რიგა, 16 იანვარი. მთავრობის განკარგულებით დაიხურა სეიმის მუშურ-გლეხური ფრაქციის ორგანო „დარბს უნ გაიზე". მუშურ გლეხური ფრაქციის მიერ გამოშვებულ ბიულეტენში ნათქვამია:

„რეაქციას უნდა ჩაახრჩოს რევოლუციონური პროლეტარიატის ფრაქცია სეიმში. ფრაქცია მოუწოდებს მშრომელთ ერთსულოვან წინააღმდეგობისაკენ. 20 იანვარს მთელს ლატვიაში გაიმართება მასიური საპროტესტო დემონსტრაციები მუშათა პრესისა და მუშათა ორგანიზაციების დევნის წინააღმდეგ (ადს).

ხულიო მელიას მკვლელობის გამოძიება

მექსიკო, 16 იანვარი. მელიას მკვლელობის გამოძიება ყალბი გზით მიმდინარეობს: პოლიცია ვილაც ქალს—მოდოტის (რომელიც მელიასთან იყო მასზე თავდასხმის დროს) აბრალებს, რომ მან გააბა მელია მახეში. პოლიცია ცდილობს დაამტკიცოს, რომ რევოლვერი, რომლითაც მელია მოჰკლეს, პირველად მოდოტას ეკუთვნოდა.

ქალაქში აშკარად ლაპარაკობენ, რომ კუბის ელჩმა მოისყიდა საიდუმლო პოლიციის უფროსი (ადს).

მერსეს გამორიცხვა პროფინტერნიდან

მოსკოვი, 13 იანვარი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ მოიწონა მონღოლეთის პროფკავშირთა კონგრესის გადაწყვეტილება მერსეს გამორიცხვის შესახებ პროფინტერნის რიგებიდან.

მონღოლეთის პროფკავშირების წარმომადგენელმა პროფინტერნის მეოთხე კონგრესზე—მერსემ, რომელიც არჩეულ იქნა პროფინტერნის ცენტრალურ საბჭოს წევრად, უღალატა პროლეტარიატის საქმეს და გადავიდა მონღოლეთის მუშათა მტრების მხარეზე.

მონღოლეთის პროფკავშირების კონგრესმა, რომელიც ოქტომბერში შესდგა ულან-ბატორში, გამოარკვია, რომ ბარგში 1928 წლის მომხდარ აჯანყების შემდეგ მერსე გაემგზავრა მუკდენში და გახდა იქ იაპონიის იმპერიალიზმის და ჩინეთის რეაქციის აგენტი. ამჟამად მერსე კონტრ-რევოლუციონურ პოლიტიკას ახორციელებს მონღოლეთის მუშათა მოსისხლე მტრების ინტერესების სასარგებლოდ.

კონგრესმა მერსე გამორიცხა მონღოლეთის პროფმოძრაობის რიგებიდან (ადს).

საბჭოთა კავშირში

დარბაზობა ამხ. რიკოვთან

მოსკოვი, 17 იანვარი. 14 იანვარს ამხ. რიკოვმა მიიღო გერმანიის ელჩი ფონ-დირკსენი. 16 იანვარს ამხ. რიკოვმა მიიღო ავღანისტანის ელჩი გულიამ-ნაბი—ხანი (ადს).

გერმანული ტეხნიკის კვირეული

მოსკოვი, 17 იანვარი. ლენინგრადში მოსკოვიდან ჩავიდა „გერმანული ტეხნიკის კვირეულის" სამი მონაწილე—პროფესორები მატჩესი, გესი და ცანდერი. ლენინგრადში მათი მონაწილეობით იწყობა „გერმანული ტეხნიკის კვირეული".

გერმანელი პროფესორები ლენინგრადში წაიკითხავენ სპეციალურ მოხსენებებს. გერმანელი მეცნიერები ეწვევიან მეცნიერებათა აკადემიას და ინახულებენ აკადემიკოს კარპინსკის.

დნეპროსტროის მთავარი ინჟინერის მოადგილის მოხსენება

ზაპოროჟიე, 17 იანვარი. დნეპროსტროის მთავარი ინჟინრის მოადგილემ რეტორტმა დნეპროსტროის მშენებელთა საწარმოო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება 1927—28 საოპერაციო წლის სამუშაოთა შესრულებისა და 1928—29 წლის პერსპექტივების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ჰიდრო-სადგურზე, 1927—28 წლის ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, განზრახული იყო სამუშაოთა 4 პროცენტის შესრულება, ხოლო შესრულებულ იქნა 4,4 პროცენტი, ფარების სამუშაოზე განზრახული იყო 3,6 პროცენტის შესრულება, შესრულდა 4,3 პროცენტი და სხვ. ამგვარად, წლიური პროგრამის შესრულებაში დნეპროსტროიმ გეგმას გაუსწრო (ადს).

ახალი ქალაქი

ნიჟნი-ნოვგოროდი, 17 იანვარი. რასტიაპინის მუშათა რაიონი გუბერნიის დიდ ინდუსტრიალურ ცენტრად ხდება. მთავრობის დადგენილებით, პატარ-პატარა უბნების ნაცვლად, გაშენებული იქნება მთლიანი მუშათა ქალაქი. მშენებლობა დაჯდება 4.630.000 მანეთამდე. მუშები შუამდგომლობენ ახალ ქალაქს ძერჟინსკი ეწოდოს (ადს).

ამხ. პოგრებნიაკის მოკვლა

დნეპროპეტროვსკი, 13 იანვარი. სოფ. ნიკოლაევკაში (ვასილკოვსკის რაიონი) ადგილობრივმა კულაკებმა მოჰკლეს სამანქანო ამხანაგობის თავმჯდომარე ძველი პარტიზანი ამხ. პოგრებნიაკი. ამხ. პოგრებნიაკი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა კამპანიაში, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ატარებდა სოფლად.

მკვლელობის ადგილზე გაემგზავრნენ საოლქო საგამომძიებლო ორგანოების წარმომადგენლები (ადს).

დახმარება დაზარალებულ მუშაკებს

მოსკოვი, 17 იანვარი. ბელორუსიის ურთიერთ დამხმარე კომიტეტების ცეკამ დაადგინა, შექმნას სპეციალური ფონდი იმ სოფლელ აქტივისტების დასახმარებლად, რომელნიც დაზარალდნენ კულაკების შურისძიებისაგან. უკვე ეძლევა დახმარება დაზარალებულ სოფლელ საზოგადოებრივ მუშაკებს (ადს).

კოლმეურნეობათა საკავშირო საბჭოს წინადადება

მოსკოვი, 17 იანვარი. კოლმეურნეობათა სრულიად საკავშირო საბჭომ წინადადება მისცა კოლმეურნეობების რესპუბლიკანურ ცენტრებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ გაზაფხულის თესვის კამპანიის მზადებას. კოლმეურნეობების საოპერაციო გეგმები უნდა დამზადდეს იმ სუბსიდიებთან შეფარდებით, რომლებიც საკავშირო მთავრობამ დაამტკიცა. კოლმეურნეობების სრულიად საკავშირო საბჭოს საკავშირო, სახელმწიფო საგეგმო კომისიის დირექტივების მიხედვით, განზრახული აქვს გაადიდოს კოლმეურნეობების სათესი სივრცე, წარსულთან შედარებით, 60 პროცენტით.

1928—29 წელს კოლექტიურ მეურნეობებში წმინდა ჯიშის თესლით დათესილი მიწების პროცენტი გადიდებულ უნდა იქნას 25 პროცენტით. კოლმეურნეობების სრულიად საკავშირო საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახ. კომისარიატებს მიმართა თხოვნით—უზრუნველყონ კოლექტიური მეურნეობები წმინდა ჯიშის თესლით.

სამხრეთ უკრაინაში, ჩრდილოეთ-კავკასიაში, ქვემო ვოლგის რაიონში, ყირიმში, ყაზახსტანში და ციმბირში გამოყოფილ უნდა იქნას სპეციალური კოლმეურნეობები, რომელნიც დაამზადებენ წმინდა ჯიშის თესლს. ტეხნიკური კულტურების ნათესი 100 პროცენტით უნდა დაკმაყოფილდეს მინერალური სასუქით. (ადს).

სახელგამის პერიოდული გამოცემათა სექტორის გამოკვლევა

ხარკოვი, 17 იანვარი. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა მოახდინა სახელგამის პერიოდულ გამოცემათა სექტორის მუშაობის გამოკვლევა. სექტორში აღმოჩნდა აშკარა ბოროტმოქმედება. სექტორის მთავარი კანტორის გამგე ნამორაძე მასთან კარგ განწყობილებაში მყოფ მოსამსახურეებს აძლევდა უკანონო პრემიებს და ჰონორარებს და ამით ჰფარავდა საავანსო თანხების დანაკლისს. ნამორაძე გორსკის ფსევდონიმით ათავსებდა წერილებს სხვადასხვა ჟურნალებში და რედაქციის სახელით სთხოვდა მთავარ კანტორას მიეცა ავანსები გორსკისათვის. ამ ავანსებს ნამორაძე თვითონვე იღებდა თავისი ხელის მოწერით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის კოლეგიამ წინადადება მისცა სახელგამის გამგეობას—სასწრაფოდ მოახდინოს სექტორის რეორგანიზაცია. ნამორაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. მას ბრალდება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ანგარების მიზნით, პროტექციონიზმი და ის, რომ არ შეასრულა მთავრობის დირექტივა ადმინისტრატიულ-სამეურნეო ხარჯების 25 პროცენტით შემცირების შესახებ. (ადს)

21 კულაკის საქმე

არტემოვსკი, 17 იანვარი. საოლქო სასამართლოს საგანგებო სესია შვიდი დღეა არჩევს სოფელ ნიუნის (პაპასნიანის რაიონი) 21 კონტრ-რევოლუციონური კულაკის საქმეს.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ ლუდორვაის საქმე მკრთალი ჩრდილია ნიუნის საქმესთან შედარებით. 1921 წლიდან წარსულ წლამდე კულაკებს ხელმძღვანელი თანამდებობანი ეჭირათ სასოფლო საბჭოში და კოოპერაციაში. მათ დაშინებული ჰყავდათ გლეხობა. თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად, ისინი მკაცრად უსწორდებოდნენ აქტივისტებს. „საეჭვო" გლეხებს სცემდნენ, ხოლო „ურჩების" წინააღმდეგ იარაღს ხმარობდნენ.

გამოირკვა, რომ თეთრ-ბანდიტებმა მოჰკლეს 8 ღარიბი წითელარმიელი. ნიუნის გლეხები იმდენად იყვნენ დაშინებულნი, რომ 1923 წელს, როცა საგამომძიებლო ორგანოებმა კონტრ-რევოლუციონური ჯგუფების მეთაურების წინააღმდეგ საქმე აღძრეს, ღარიბებმა უარი განაცხადეს თავიანთ საჩივარზე. ამის შემდეგ კონტრ-რევოლუციონერები ეკონომიური შევიწროების საშუალებით ებრძოდნენ ღარიბებს. მათ ჩაშალეს მიწათმოწყობა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სიმძიმე ღარიბ გლეხობაზე გადაიტანეს (ადს).

რა ხდება უცხოეთში

გერმანელი მენშევიკები და ომი

ბერლინში გაიმართა დისპუტი საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, რომელიც მოაწყო ჟურნალ „სოციალისტიშე მონატსხეფტე"-ს—გერმანიის სოციალ-დემოკრატიის მემარჯვენე ფრთის თეორეტიულ ორგანოს მეგობართა საზოგადოებამ.

მომხსენებლად გამოვიდა კარლ მაიერი, გენერალური შტაბის ყოფ. მაიორი, პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. მისი მოხსენება თავიდან ბოლომდე წარმოადგენდა მომავალი იმპერიალისტური ომის პროპაგანდას. მაიერის სიტყვით, სოციალ-დემოკრატები კარგად მოიქცნენ, როცა 1914 წ. 4 აგვისტოს რეიხსტაგში ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს. მათ ახლა არაფერი დარჩენიათ თუ არ ის, რომ შესაფერი დასკვნა გააკეთონ ამ ფაქტიდან, რადგან განიარაღების საქმე წინ არ მიიწევს და ამიტომ საჭირო არის მზადება ომისათვის. თავისი სიტყვის დასასრულს მაიერმა (რომელიც სხვათა შორის გერმანიის ს.-დ. პარტიის ცეკას იმ კომისიის წევრია, რომელიც გერმანიის თავდაცვის საკითხებს ამუშავებს) სასტიკად გაილაშქრა ბურჟუაზიულ პაციფისტების წინააღმდეგ. მენშევიკ მაიერს ბურჟუაზიული პაციფისტებიც კი „საშიშ რევოლუციონერებად" მიაჩნია.

მემარცხენე სოციალ-დემოკრატი ზეიგერი, რომელიც მაიერის წინააღმდეგ გამოვიდა, მიმართავდა ცრუ მემარცხენეთათვის დამახასიათებელ ჩვეულებრივ არგუმენტებს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ზეიგერის იმ განცხადებამ, რომ „იუნკერსის ქარხნებში, დესაუში, ისეთი ამბები ხდება, რომელთა შესახებ მას აკრძალული აქვს ლაპარაკი".

სოციალ-დემოკრატ კლუგე-რეისის გამოსვლის შემდეგ, რომლის სიტყვა სავსე იყო ჭორებით და ცილისწამებით საბჭოთა კავშირზე, სიტყვა მიეცა მარაუნს ნაციონალისტურ ახალგაზრდა გერმანელთა კავშირის—„იუნგ-დეიტჩერ-ორდენ"-ის მეთაურს. მან განაცხადა, რომ მაიერის სიტყვებმა განცვიფრებაში მოიყვანა იგი. „როცა ამ კრებაზე მოვდიოდი,—განაცხადა მარაუნმა,—მე მეგონა, რომ მოვისმენდი მოხსენებას სოციალ-დემოკრატიისა და პაციფიზმის შესახებ. ამის მაგიერ მე სიამოვნებით მოვისმინე მოხსენება გენერალური შტაბის ოფიცრისა, რომელსაც ომის გამოცდილება აქვს. ამ მოხსენებას მე ვეთანხმები მთლიანად".

უკანასკნელად ილაპარაკა მუცენბეხერმა, რომელიც მაიერთან ერთად მუშაობს გერმანიის თავდაცვის საკითხების დამმუშავებელ კომისიაში. ის იძულებული შეიქნა ეღიარებია, რომ ომის საკითხში სრული ერთსულოვნება არსებობს სოციალ-დემოკრატ მაიერსა და ნაციონალისტურ-ფაშისტური ორგანიზაციის ხელმძღვანელს შორის.

ა. ვ.

პარტიაში

თბილისის კომიტეტის მე-10 პლენუმი

გუშინ, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში ამხ. ლ. სუხიშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მე-10 პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1) უჯრედთა ბიუროების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის და რაიონული პარტკონფერენციების შედეგები; 2) საინფორმაციო ცნობა თბილისის პარტკონფერენციის მოწვევის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ასრიბეკოვმა. ამხ. ასრიბეკოვის მოხსენების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღო შემდეგმა ამხანაგებმა: გუდავაძემ, ჯაფარიძემ, ბუდილიოვმა, ბელელაძემ, კუდრიავცევმა, ბურცევმა, სირაძემ, ფირალოვმა, ლუჩანსკაიამ. ლ. სუხიშვილმა და გიორგი სტურუამ.

ამხ. ასრიბეკოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა ერთხმად მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

დღის წესრიგის მეორე საკითხის შესახებ პლენუმმა დაადგინა: თბილისის პარტკონფერენცია მოწვეულ იქნას 28 იანვარს. პლენუმმა დაამტკიცა კონფერენციის შემდეგი დღის წესრიგი: 1. პარტიის თბილისის კომიტეტის ანგარიში და კომკავშირის თბ. კომიტეტის თანამოხსენება; 2. სარევიზიო კომისიის ანგარიში; 3. საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის მოხსენება; 4. მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე; 5. სოფლად მუშაობა და 6. არჩევნები.

დღის წესრიგში დასმულ საკითხების ამოწურვის შემდეგ პლენუმი დამთავრდა. დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ ნომერში მოვათავსებთ.

კომკავშირში

კომკავშირის თბილისის სამაზრო-საქალაქო მე-16 კონფერენცია

მესამე სხდომა

კონფერენციის მესამე სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ახუნდ-ზადეს მოხსენების გარშემო.

კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ლაბარტყავამ, ლეკვეიშვილმა, მიხაილოვმა, ქორიძემ, გუსევმა, პანიევმა; ბაკურაძემ; აბრამიანმა; ასლამაზოვმა; ბაქიძემ, ბეჟანიშვილმა, ნიჟარაძემ და ბარათაშვილმა.

კამათში გამოსული ამხანაგები ეხებოდნენ სოფლად კოლექტიურ მეურნეობაში კომკავშირელების სუსტ მონაწილეობას, სოფლის კომკავშირელების მოუმზადებლობას, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების კამპანიას და სხ. მათ შემოიტანეს პრაქტიკული წინადადებები შემჩნეულ ნაკლულოვანებების აღმოსაფხვრელად.

კამათის დასრულების შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ახუნდ-ზადეს საბოლოო სიტყვა.

მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა კამათში გამოსულ ამხანაგებს და მათ მიერ აღძრულ საკითხებს.

დასასრულ საქ. კომკ. ა. კ. საოლქო კომიტეტის მიერ აღებული პოლიტიკური ხაზი კონფერენციამ სცნო სწორად, ხოლო მუშაობა მოიწონა.

სათანადო რეზოლიუციის შემუშავება მიენდო კონფერენციის პრეზიდიუმს.

მეოთხე სხდომა

ამხ. ზ. აზარაშვილის მოხსენება

კონფერენციის მეოთხე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ზ. აზარაშვილის მოხსენება კომკავშირის თბილისის კომიტეტის მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში—ამბობს მომხსენებელი,—მთავარი ყურადღება ექცეოდა მუშა-ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების საკითხს, წარმოების რაციონალიზაციას, ბრძოლას ბიუროკრატიზმთან და სხვა.

ჩვენი ყურადღება მიპყრობილი იყო ორგანიზაციის პოლიტიკურ მდგომარეობის გამოჯანსაღებაზე; წარსულ წლებში ორგანიზაციის ზოგიერთ წევრებს შორის ადგილი ჰქონდა მერყეობას, გადახრებს, რაც აღმოფხვრილ იქნა. ამჟამად ჩვენი ორგანიზაცია მთლიანია, ის ლენინურად გამობრძმედილი მოვიდა მე-15 კონფერენციაზე.

კომკავშირის ორგანიზაციამ გაამართლა ის იმედები, რომელსაც მასზე ამყარებდა პარტია. ის ფაქტი, რომ ჩვენს ორგანიზაციაში ოცი ათასზე მეტი კომკავშირელია, მოწმობს იმას, რომ ჩვენ დღითი დღე ვიზრდებით. ჩვენი ორგანიზაცია გარდაიქცა მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მასიურ ორგანიზაციად, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს 19.128 წევრს. მე-15 კონფერენციაზე ჩვენს კავშირში ითვლებოდა 13.374 კაცი. ამრიგად, საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია გაიზარდა 5.754 კაცით.

ორგანიზაციის ასეთი ზრდის მთავარი საბაბი გახდა დუშეთის მაზრის გაუქმება და მისი ორგანიზაციის ჩვენთან შემოერთება.

დუშეთის ორგანიზაციის შემოერთებამ გამოიწვია მუშათა რიცხვის 42.5 პროცენტიდან 39,9 პროცენტამდე შემცირება, თუ ქალაქის ორგანიზაციას ავიღებთ მთლიანად, დავინახავთ, რომ ორგანიზაცია გაზრდილა მუშების ხარჯზე. თუ წინად ქალების პროცენტი ორგანიზაციაში იყო—14.9 პროც., ეხლა გვყავს—15,9 პროც.

ქალაქად საწარმოო უჯრედები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წარმოების რაციონალიზაციაში. კ. კ. უჯრედების წინადადებით მთელ რიგ წარმოებებში დადგმულ იქნა ახალი მანქანა-იარაღები, შეკეთებულ იქნა ბინები და სხვა.

სოფლის უჯრედები აწყობენ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს, არტელებს და იღებენ ზომებს სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლას. ჩამოყალიბებულ იქნა „მსუბუქ კავალერიის" 35 ჯგუფი, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან.

მომხსენებელი ვრცლად ჩერდება სასკოლო უჯრედების მუშაობაზე, აღნიშნავს უმაღლეს სასწავლებლების მუშაობის მთელი რიგ დეფექტებს, აქტივის მომზადებას, მუშა-ახალგაზრდობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, პრესის გავრცელებას, პიონერთა შორის მუშაობას და სხვა.

მე დარწმუნებული ვარ,—ამბობს მომხსენებელი,—რომ მიმდინარე კონფერენცია ჯამს გაუკეთებს განვლილ მუშაობას ბოლშევიკური თვითკრიტიკით მიუდგება ყველა საკითხებს, მიუდგომლად შეაფასებს ჩვენს მუშაობას და დასახავს მომავალ მუშაობისათვის სათანადო გზებს.

კომკავშირის ლენრაიკომის პირველი პლენუმი

12 იანვარს, ლენრაიკომის ბინაზე შესდგა კომკავშ. ლენინის რაიკომის ახალ შემადგენლობის პირველი პლენუმი.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა მხოლოდ ორი საკითხი: პრეზიდიუმის გამოყოფა და პრაქტიკულ მომუშავეების არჩევა.

პლენუმმა რაიკომის პრეზიდიუმში წევრებად გამოჰყო ამხ. ფანცულაია, გიორგობიანი, ტატანაშვილი, დანილევიჩი, პანიევი, სანაკოევი, ჩაროევი, პავლიანოვი, თათარიგი, ნერსესოვი, ლეკვეიშვილი, შანცილოვი, მანუკოვი, ვასილევი, ისაპოვი, ანახარიძე და პუგაჩოვი, კანდიდატებათ: ამხ. ჩალაძე, კოჯამანი, იზმაილოვი და ადამაშვილი.

რაიკომის პასუხის მგებელ მდივნად პლენუმმა ერთხმად აირჩია ამხ. გ. გიორგობიანი, ორგ-ორგანიზატორად—ამხ. ტატანაშვილი, აგიტპროპ-ორგანიზატორად—ამხ. დანილევიჩი, შრომისა და განათლების დარგში მომუშავედ—ამხ. პანიევი და ნ. პ. რაიბიუროს თავმჯდომარედ—ამხ. სანაკოევი.

ამის შემდეგ პლენუმი დაიხურა.

საქართვ. კომპარტიის (ბ) ცეკა სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ

ც. კ.-მა მოისმინა სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. ა. ჯატიევის მოხსენება და ც. კ.-ის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. თ. კორსაველის თანამოხსენება სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის მუშაობის შესახებ და აღნიშნა პარტიული და საბჭოთა მშენებლობის განსაკუთრებული სიძნელეები მენშევიკების მიერ განადგურებულ სამხრეთ-ოსეთში: სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა, მოსახლეობის მეტის-მეტად დაბალი კულტურული დონე, ყოფა-ცხოვრების ტრადიციების თვალსაჩინო გავლენა და მომზადებული აქტივის საკმაო კადრების უქონლობა.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში ხდება ეროვნული მშვიდობიანობის შემდგომი განმტკიცება, მუშაობის ერთგვარი გარდატეხა კულტურულ ფრონტზე, მშენებლობის გაძლიერება სკოლების საავადმყოფოების და გზების დარგში, ხოლო სოფლის მეურნეობის ხაზით—განსაკუთრებით მესაქონლეობისა, მებაღეობისა, აგრეთვე მემინდვრეობის დარგში.

მაგრამ ამ მიღწევათა მიუხედავად, ც. კ. აღნიშნავს რომ პარტიის საოლქო კომიტეტმა საკმაოდ არ გამოიყენა არსებული საშუალებანი და შესაძლებლობანი სუსტ მეურნეობათა უფრო სწრაფი განვითარებისათვის. სოფლის კულაკური და შეძლებული ფენების გაძლიერება, ღარიბი გლეხების მეურნეობათა განვითარების მეტის მეტად ნელი ტემპი, სუსტი სამეურნეო დახმარება ღარიბი გლეხობისათვის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის, ღარიბი და საშუალო გლეხების მეურნეობათა კოოპერატიულად გაერთიანებისა და განსაკუთრებით მათი კოლექტივიზაციის სუსტი ტემპი,—ყველა ეს ძირითადი დეფექტები უმთავრესად შედეგია პარტიული ხელმძღვანელობის სისუსტისა სოფლის სამეურნეო განვითარების საქმეში, რომელიც უნდა სწარმოებდეს პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილებათა და საკავშირო კომპარტიის ც. კ.-ის პლენუმების შემდგომ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ამასთან ერთად ც. კ. საჭიროდ სცნობს საგანგებოდ აღნიშნოს საოლქო კომიტეტის არასაკმაო მუშაობა და ცენტრალური ორგანოების (საბჭოთა, კოოპერატიული) ყურადღების სისუსტე საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის (ბ) ც.-კ.-ის იმ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში, რომლებიც გამოტანილი იქნენ სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციის მოხსენებათა გარშემო (1925—28 წ. წ.).

1. საოლქო კომიტეტმა უახლოეს დროში მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს იმას რომ მთელ პარტორგანიზაციას განემარტოს პარტიის მე-15 ყრილობისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებანი სოფლად მუშაობის შესახებ. საჭიროა სისტემატიური ბრძოლა იმის წინააღმდეგ, რომ პარტორგანიზაციის ზოგიერთი საფეხურების მუშაობაში ადგილი აქვს კულაკობის არსებობის უარყოფას, სოფლად წარმოებული სოციალური პროცესების შეუგნებლობას და მიფუჩეჩებას, ღარიბი გლეხობის ორგანიზაციისა და პატრიარქალურ-საყოფაცხოვრებო ნაშთებთან ბრძოლის საჭიროების შეუგნებლობას. იმ ფაქტმა, რომ წარსულში კულაკურმა ელემენტებმა ერთგვარი მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ-ოსეთის მშრომელი მასების ბრძოლაში მენშევიკური უღლის წინააღმდეგ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, არ უნდა გამოიწვიოს მათი როლის მიფუჩეჩება და კლასობრივი ბრძოლის სუსტად შეფასება სოფლად.

ც. კ. აღნიშნავს რომ ღარიბი გლეხობისათვის კრედიტების მიწოდება შედარებით სუსტად სწარმოებს, რომ ღარიბი გლეხობისათვის დაწესებული შეღავათების (ღარიბ გლეხთა ფონდები, მანქანების მოხმარება, სათესლე მასალა და სხვ.) გამოყენება დროიანად არა ხდება (ზოგჯერ კი არა დანიშნულებისამებრ), რომ არსებობს სხვადასხვა სერიოზული დეფექტები სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემაში (საშუალო გლეხების გადაჭარბებით დაბეგვრა სხვადასხვა რაიონებში—ცხინვალში და შეძლებულების სუსტად დაბეგვრა—როკში და კუდაროში), რომ სუსტად სწარმოებს ბრძოლა მიწის ყიდვა-გაყიდვასთან და სხვა. ც. კ. წინადადებას აძლევს საოლქო კომიტეტს, მომავალში გააძლიეროს ხელმძღვანელობა ქვემო პარტიული, საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოების მიმართ და მკაცრად კლასობრივი ხაზი გაატაროს მუშაობაში.

2. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და მისი განვითარების შედარებით ნელი ტემპი სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციას ამოცანად უსახავს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერებას და საშუალო გლეხების, განსაკუთრებით კი ღარიბი გლეხების მეურნეობათა უყოველმხრივ გაძლიერებას. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საფუძვლად არსებითად უნდა წარმოადგენდეს მესაქონლეობის (მეტადრე მერძეობის) პროდუქციისა და შემოსავლიანობის გადიდება, მემინდვრეობის მოსავლიანობის გაძლიერება, მებაღეობის გაფართოვება და ამავე დროს გლეხობის ძირითადი მასების ფართოდ გაერთიანება კოოპერაციაში და, პირველ ყოვლისა ღარიბი გლეხების ჩაბმა კოლექტიურ გაერთიანებებში.

ც. კ.-ს სოფლის მეურნეობის განვითარების ნელი ტემპის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნია მეტის-მეტად სუსტი განვითარება მრეწველობისა ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის დამუშავების საქმეში, განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემაში (ერბო-ყველის ქარხნები, ხილის სახმობი ქარხნები); ც. კ. ავალებს საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამხრეთ-ოსეთის სამეურნეო ორგანოებთან ერთად, დაუყოვნებლივ შეუდგნენ მრეწველობის განვითარების გეგმის შედგენას სოფლის მეურნეობის ნედლეულისა და ხე-ტყის დამუშავების საქმეში.

ამავე დროს საოლქო კომიტეტი უნდა ცდილობდეს წვრილი, ოლქის პირობებთან შეფარდებული, ყველის ქარხნების ქსელის განვითარებას; ამ მიზნით გლეხები ფართოდ უნდა გაერთიანდნენ კოოპერაციაში მათ გარშემო.

პარტიული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს პრაქტიკულ ამოცანას შეადგენს ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ჩაბმა ყველა სახის კოოპერაციაში. ამასთან უახლოესი ამოცანას შეადგენს კოოპერაციაში ჩაბმული მოსახლეობისა და საპაიო კაპიტალის პროცენტის აყვანა საქართველოში არსებულ საშუალო ნორმამდე. წინადადება მიეცეს „ცეკავშირს", „სოფლის კავშირსა" და სასოფლო სამეურნეო ბანკს—ერთი თვის განმავლობაში დასახონ ღონისძიებანი სამხრეთ-ოსეთის კოოპერაციის ფინანსიურად და ორგანიზაციულად განსამტკიცებლად, კერძოდ, დაამუშაონ საკითხი პირველი საფეხურის ქსელის დიფერენციაციის შესახებ.

ცეკა წინადადებას აძლევს საოლქო კომიტეტს—ქვემო პარტორგანიზაციებისა და კოოპერატიული ორგანოების მთავარი ყურადღება მიაქციონ იმას, რომ მათ ყოველმხრივ გააძლიერონ მუშაობა კოლმეურნეობათა მშენებლობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ძირითად პრაქტიკულ ამოცანად ცეკას მიაჩნია მერძევეთა არტელების ქსელის შექმნა, ამხანაგობების მოწყობა საქონლის კოლექტიურად მოვლისა და კვებისათვის მიწის საზოგადო დამუშავება და სხვ. ფართოდ უნდა განვითარდეს მუშაობა პირველ რიგში უმარტივეს საწარმოო გაერთიანებათა (სამანქანო, მესაქონლეობისა და სხვ.) მოსაწყობად.

დაევალოს საქართველოს კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრს—გააბას კავშირი სამხრეთ-ოსეთის კოოპერატიულ და საადგილ-მამულო ორგანოებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას [illegible] ამ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად.

ცეკა, აღნიშნავს რა აგროზოოტეხნიკური დახმარების სისუსტეს, წინადადებას აძლევს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, სამხრეთ-ოსეთის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატთან ერთად და სახოს სხვადასხვა ღონისძიებანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის გაძლიერებას. კერძოდ, წინასწარ გადასწყვიტოს საკითხი ჯიშიანი საქონლის მეურნეობისა და მერძეობის ფერმის მოწყობის შესახებ, საკითხი აგრონომზოოტეხნიკოსების საჭირო კადრით სოფლის მეურნეობის უზრუნველყოფისა, აგროპუნქტების გაფართოვებისა. მიწათმოწყობის გაძლიერებისა და საძოვრების საკითხის მოგვარების შესახებ. „სოფლის კავშირ"-სა და საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ გააძლიერონ ღარიბთათვის სასოფლო-სამეურნეო იარაღების (რკინის გუთნების, სეპარატორების და სხვ.) მიწოდება.

3. კულტურული მშენებლობის დარგში პარტიულმა ორგანიზაციამ მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს სკოლებისა და, საერთოდ, სახალხო განათლების მთელი საქმის ხარისხობრივ გაუმჯობესებას, მასიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გაღრმავებას, წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას და გადამჭრელ ბრძოლას ტრადიციულ-საყოფაცხოვრებო ნაშთებთან.

მიენდოს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს, სამხრეთ-ოსეთის განათლების კომისარიატთან ერთად, ერთი თვის განმავლობაში შეისწავლოს სასკოლო მშენებლობის განვითარების მდგომარეობა და პერსპექტივები და დასახოს პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ სახალხო განათლების სისტემაში არსებული დეფექტების გამოსწორებას.

უმაღლეს სასწავლებლებში მივლინების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმ პირთა სოციალურ მდგომარეობას, რომლებიც სწავლის მისაღებად იგზავნებიან. კადრების გეგმაშეწონილად მომზადების საკითხი უფრო მჭიდროდ იქნას დაკავშირებული ოლქის საჭიროებებსა და მოთხოვნილებებთან (მომზადება აგრონომებისა, პედაგოგებისა, ტყის მცოდნეთა, ზოოტეხნიკოსთა, ვეტერინარულ ექიმთა და სხვ.) არასაკმარისად იქნას ცნობილი მასიურ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა არსებული ქსელი.

გაძლიერებულ იქნას მუშაობა სკოლების ნაციონალიზაციის დარგში. აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობას არ შეუსრულებია ცეკას დირექტივები ოსურ ენაზე სახელმძღვანელოთა მინიმუმისა და მასიური სასოფლო ლიტერატურის გამოცემის შესახებ. წინადადება მიეცეს ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილებას—დაამუშაოს ღონისძიებანი სამხრეთ-ოსეთისათვის სათანადო ლიტერატურის გამოცემის შესახებ და იმის შესახებ რომ უზრუნველყოფილ იქნას გაზეთ „ხურზარინ"-ისა და ჟურნალ „ფიდიოგი"-ს გამოცემა.

4. საბჭოების მუშაობაში ადგილი აქვს ბევრ დეფექტს (საბჭოებში შეძლებული ელემენტების მონაწილეობა მათი ჩამოშორება მასებს, ადმინისტრატიული ზეგავლენის მეთოდების ხშირად გამოყენება, სუსტი ანგარიშგება მასების წინაშე), რომლებიც აფერხებენ მათ მუშაობაში მშრომელთა ფართო ფენების ჩაბმას და მათ გარშემო ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის შემჭიდროებას.

გამოდის რა აქედან, ცეკა წინადადებას იძლევა—საბჭოების გადარჩევის დროს მიღწეულ იქნას ღარიბი ელემენტების ხელმძღვანელი როლის გაძლიერება, მშრომელი მასების აქტივობის მაქსიმალურად აწევა, კულაკების წინააღმდეგ საშუალო შეძლების გლეხობასთან მუშათა კლასისა და სოფლის ღარიბი გლეხების კავშირის შემდგომი განმტკიცება. დაუშვებელია, რომ საბჭოებში მოჰყვნენ ელემენტები სოფლის ზედა ფენებიდან. საბჭოებში გაყვანილ უნდა იქნან სოფლის მოჯამაგირეების, ღარიბი გლეხებისა და მოწინავე საშუალო გლეხების კანდიდატები. ფართოდ აეხსნას მთელს პარტორგანიზაციას ძირითადი ლენინური ხაზი სოფლად მუშაობის დარგში.

აღინიშნოს, რომ სახელმწიფო აპარატში ბევრია უცხო ელემენტი და მრავალ ორგანოს მუშაობაში ადგილი აქვს კლასობრივი ხაზის გამრუდებას, ამიტომ დაუყოვნებლივ დაწყებულ იქნას უცხო ელემენტებისაგან საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების გაწმენდა; და ამ ელემენტების ნაცვლად სახელმწიფო აპარატში ჩაბმულ უნდა იქნან მუშები გლეხები და ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი, რომელსაც გავლილი აქვს საბჭოთა და საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა.

საჭიროა აგრეთვე დაწყებულ იქნას მოსამზადებელი მუშაობა იმისათვის რომ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებაში საქმის წარმოება გადაყვანილ იქნას ნაციონალურ ენაზე.

5. ცეკა აღნიშნავს, რომ ქალთა შორის მუშაობაში ადგილი აქვს დიდ დეფექტებს, რომლებიც უმთავრესად გამომდინარეობენ სუსტი პარტიული ხელმძღვანელობიდან და იქიდან, რომ არ სწარმოებდა მუშაობა საყოფაცხოვრებო პირობებისაგან ქალის განთავისუფლებისათვის. შემდეგში ცეკა წინადადებას იძლევა გაძლიერებულ იქნას მუშა და გლეხქალთა განყოფილების პარტიული ხელმძღვანელობა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საყოფა-ცხოვრებო პირობებისაგან ქალთა განთავისუფლებას, პირველ რიგში კი ამ ამოცანების შესრულებას კომუნისტებისა და კომკავშირელების მიერ. საჭიროა გაძლიერდეს ქალების ჩაბმა მერძევეთა არტელებში, ყველის მკეთებელთა მოსამზადებელ კურსებში, შინამრეწველთა არტელებში, წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში, საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ სამუშაოზე აქტივისტი ქალების სისტემატიურად დაწინაურების გზით.

კომკავშირის მუშაობაში უნდა გაძლიერდეს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდა პარტიული ხელმძღვანელობა პარტიული კადრების განმტკიცებისა და ღარიბ გლეხთა ფენების უფრო მეტად ჩაბმის საფუძვლებზე; არ უნდა იქნას დაშვებული სტიქიური ზრდა კომკავშირისა, ეს უკანასკნელი უნდა გაიწმინდოს სოციალურად უცხო ელემენტებისაგან.

6. ხსენებული ამოცანების შესრულება მოითხოვს უპირველესად ყოვლისა, პარტიულ ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას საოლქო კომიტეტის მხრივ, ქვემო პარტიული მუშაობის განმტკიცებას და პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატიურ შემოწმებას ორგანიზაციაში.

იმ მიზნით, რომ ორგანიზაციის ცხოვრებაში მოისპოს არანორმალური მოვლენები ([illegible] მონაწილეობა, ოჯახური და საყოფაცხოვრებო ნაშთების გავლენა და სხვ.) ცეკა წინადადებას აძლევს საოლქო კომიტეტს—გააძლიეროს პარტიულ-აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები პოლიტსკოლების გაფართოვებისა, პროგრამებისა, წიგნებისა და პარტიის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა ოსურ ენაზე გამოცემის საფუძველზე, აგრეთვე იმ გზით, რომ მახლობელი ორი წლის განმავლობაში ცხოვრებაში გატარებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას 1924 წლის 6 ოქტომბრის რეზოლიუცია კომუნისტების ტეხნიკური ანბანის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ.

ამავე დროს ცეკას საჭიროდ მიაჩნია გატარებული იქნას შეძლებული და უცხო ელემენტებისაგან ორგანიზაციის წმენდა.

ცეკა აღნიშნავს, რომ ქვემო პარტორგანიზაციები უყურადღებოდ ეკიდებიან პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხს, რის შედეგიც არის ორგანიზაციებში უცხო და პასიური ელემენტების მოკალათება; ამიტომ ცეკა წინადადებას აძლევს საოლქო კომიტეტს—ორგანიზაციის შემდგომი ზრდა აწარმოოს საკავშირო კ. პ. (ბ) ცეკას 1928 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ცეკა საოლქო კომიტეტის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა ბრძოლა არსებულ ნაციონალისტურ განწყობილებებთან, აგრეთვე წარსული კინკლაობის ნაშთებთან პარტორგანიზაციის ზოგიერთ ნაწილებში; ეს ბრძოლა უნდა განხორციელდეს ორგანიზაციის ბოლშევიკურად აღზრდის საფუძველზე, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებში მუშების მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების ჩაბმის გზით და თვითკრიტიკისა და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების გზით.

რადგან პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი აქვს უცხო და შეძლებულ ელემენტებს, რადგან ამ ორგანიზაციის ცალკე საფეხურები სათანადოდ არ აფასებენ კლასობრივ ბრძოლას და წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის ზეგავლენას, ამიტომ ცეკა წინადადებას აძლევს სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციას გააძლიეროს ბრძოლა მემარჯვენე საფრთხისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ, გააძლიეროს მემარჯვენე გადახრის შინაარსის ახსნა-განმარტება და ამავე დროს არ შეასუსტოს ბრძოლა ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევებთან.

ღონისძიებანი გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმის ჩასატარებლად

(საქ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს დადგენილება)

I

მოწონებულ იქნეს გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებანი:

ა) მარცვლეული კულტურების სათესი არის გაფართოვება 10 პროცენტით და კარტოფილის—20 პროცენტით 1927—28 წელთან შედარებით;

ბ) პურეული კულტურების მოსავლიანობის გადიდება 1 ნახ.—2 პროცენტით.

გ) მესაქონლეობისათვის საკვები ბაზის გაფართოება საკვები ბალახით 20 პროც. 1927—28 წ. ნათესებთან შედარებით;

დ) ტეხნიკური კულტურების (ბამბა, თამბაქო, კენაფი, შაქრის ჭარხალი) არეს გადიდება და მათი ახალ რაიონებში გავრცელება;

ე) სათესლე მასალის გაწმენდა მაქსიმალური რაოდენობით და ვ) პირველ რიგში მაქსიმალური აგროდახმარება კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობათათვის.

გეგმით გათვალისწინებულ ცალკე ღონისძიებათა და საჭირო თანხების შესახებ საჭიროდ იქნეს ცნობილი:

II. სათესლე მასალით დახმარების დარგში

1. უზრუნველყოფილ იქნეს მარცვლეულობის თესლით ყველა კოლექტიური და ღარიბი მეურნეობანი და აგრეთვე, 1927—28 წ. პურეულის ნაწილობრივი მოუსავლიანობის გამო—საშუალო მეურნეობათა ერთი ნაწილი კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობათა რიცხვის 50 პროცენტამდე—მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოანგარიშების თანახმად. თანხა, რაც საჭიროა თესლის დასამზადებლად (სიმინდი 645.462 ფ. და ხორბალი და ქერი—589.200 ფ.), „ხლებოპროდუქტი"-ს ფასების მიხედვით, განისაზღვროს 2.634,874 მან., ხოლო თუ დახმარება აღმოეჩინება მარტო ღარიბ და კოლექტიურ მეურნეობათ, რომლებისთვისაც საჭიროა 421.322 ფ. სიმინდი და 258.560 ფ. ხორბალი და ქერი—1.476.544 მან.

2. თესლის მომარაგებისათვის დაინიშნოს მთელი თანხა კრედიტისა, რაც გათვალისწინებულია საკრედიტო გეგმით მიმდინარე წელში ამ საჭიროებისათვის (550.000 მან.). გარდა იმ 129,000 მანეთისა, რაც უკვე დახარჯულია, ისე რომ ზემოაღნიშნული კრედიტის საერთო თანხიდან მეთესლეობისათვის გათვალისწინებული 150.000 მან. გამოყენებულ იქნეს დანიშნულებისამებრ. ამ ანგარიშით განისაზღვროს საკრედიტო გეგმის თანახმად, თესლის მომარაგებისათვის 271.000 მან., ხოლო მეთესლეობისათვის (თესლის მეურნეობათათვის კრედიტების მიცემა)—150.000 მან.

3. აღიძრას შუამდგომლობა ა. კ. სახკომსაბჭოს მეშვეობით სათანადო საკავშირო ორგანოების წინაშე, რათა თესლის მომარაგებისათვის დანაკლისი თანხა ერთ მილიონ მანეთამდე გამოსახულ იქნეს საკავშირო ფონდებიდან კოლექტიურ და ღარიბი მეურნეობათა თესლით უზრუნველსაყოფად.

III სათესლე ფონდი

1. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმა მარცვლეულის წმინდა ხარისხის თესლის წარმოების ორგანიზაციისა—სათესლე ფონდის დაარსების მიზნით მოწონებულ იქნეს.

2. დაინიშნოს ამ საჭიროებისათვის გრძელვადიანი კრედიტის მთელი თანხა—185.000 მან., რაც ამისათვის გათვალისწინებულია 1928—29 წლის საკრედიტო გეგმით.

3. სახალხო მამულების ტრესტის განკარგულებაში ქონებული 3.000 ფ. და სამაზრო აღმასკომების განკარგულებაში არსებული—600 ფ. წმინდა ხარისხის სიმინდის თესლი დანიშნულ იქნეს მხოლოდ კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობათათვის.

IV მარცვლეულთა კონტრაქტაცია

1. მარცვლეულის კონტრაქტაციის რაოდენობა საკონტროლო ციფრების მიხედვით, განისაზღვროს:

სიმინდი	35.000 ჰექტ.
ხორბალი	1.900 ჰექტ.
ქერი	3.500 ჰექტ.
სულ	40.400 ჰექტ.

2. ნათესების თვითეულ ჰექტარზე ავანსების რაოდენობა დაწესდეს შემდეგი:

სიმინდი: რიგ-რიგათ ნათესი	15 მ.
კოლექტიურ მეურნეობათათვის: ჩვეულებრივი	10 მ.
ჯგუფობრივი შენაერთებისათვის	10 მ.
ინდივიდუალურ მეურნეს	8 მ.
ხორბლის ნათესი საშუალოდ	15 მ.
ქერის ნათესი	12 მ.

მარცვლეულთა კონტრაქტაციისათვის 1928—29 წ. საკრედიტო გეგმით გათვალისწინებული 128.000 მანეთიდან 46.000 მანეთის დახარჯვის გამო, კრედიტის ნაშთი 82.000 მან. მთლად დაინიშნოს მარცვლეულის კონტრაქტაციისათვის და გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის, ხოლო გეგმის შესასრულებლად დანაკლისი 867.750 მან. გამოთხოვილ იქნეს „ხლებოსოიუზი"-ს სახსრებიდან სახ.-სამ. კრედიტის ხაზით.

V. ბალახის თესვა

1. ბალახის ნათესების არე 1927—28 წელთან შედარებით გადიდდეს 20 პროცენტით, ე. ი. 5.000 ჰექტ. 6.000 ჰექტარამდე.

2. მთელი თანხა 25.000 მან. გრძელვადიანი და 60.000 მან მოკლევადიანი კრედიტისა, რაც შეტანილია 1928—29 წ. საკრედიტო გეგმაში მეთესლეობის განსავითარებლად,—დაინიშნოს ამ საჭიროებისათვის.

VI. საკვები

1. რადგანაც ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს (საქართველოში) გეგმით საქართველოს მოთხოვნილებანი შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფილია შემოზიდული მაგარი და კონცენტრირებული საკვებით, კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობათათვის (პირველ რიგში) საკვების შესაძენად კრედიტების მიცემის მიზნით—დაინიშნოს მოკლევადიანი კრედიტის მთელი თანხა 200,000 მან., რაც გათვალისწინებულია 1928—29 წ. საკრედიტო გეგმით ისე რომ სამი მეოთხედი ამ თანხისა მოხმარდეს მაგარი საკვების შეძენას, ხოლო ერთი მეოთხედი, ე. ი.—50.000 მან.—საკვების კონცენტრირებას.

VII. მანქანების მომარაგება

1. წინად მოწონებული მანქანების მომარაგების წლიური გეგმის ანგარიშში გაზაფხულის თესვის კამპანიისათვის მეორე კვარტალში შემოსაზიდად დანიშნულ იქნეს მანქანა-იარაღების შემდეგი კონტინგენტი:

გუთანი	— გეგმის 50 პროცენტი	ე. ი. 2,520 ცალი	— 94.240 მანეთი
ფარცხი	— გეგმის 50 პროცენტი	ე. ი. 425 ცალი.	— 8.500 მანეთი
ტრაქტორები	— გეგმის 30 პროცენტი	ე. ი. 62 ცალი	— 221.0000 მანეთ
სათესი მანქანა	—გეგმის 50 პროცენტი	ე. ი. 140 ცალი	— 12.000 მანეთი
ტრიერები	— გეგმის 50 პროცენტი	ე. ი. 100 ცალი	— 1.800 მანეთი
კულტივატორები		200 ცალი	—6.000 მან.
		სულ.	343.848 მანეთი
		სულ.	343,540 მანეთი.

2. იმ 6 სარემონტო სახელოსნოდან, რომელთა მოწყობაც განზრახულია 1928—29 წელში, საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ მეორე კვარტალში მოეწყოს არა ნაკლებ 3 სარემონტო სახელოსნოსი (2 დასავლეთ საქართველოში და ერთი—აღმოსავლეთ საქართველოში), რისთვისაც გაღებულ იქნეს 75.000 მან.

3. აღნიშნულ ღონისძიებათათვის საჭირო სახსარი 330.840 მან. რაოდენობით—დაფარულ იქნეს იმ თანხებიდან, რაც გათვალისწინებულია მანქანების მომარაგებისათვის საკრედიტო გეგმით მიმდინარე წელში (საკრედიტო გეგმით გათვალისწინებულია გრძელვადიანი კრედიტი 580.000 მან.; მათ შორის 170.000 მან. ღარიბთა ფონდიდან და მოკლევადიანი კრედიტი—250.000 მან.).

4. ეთხოვოს ა.-კავკასიის სახკომსაბჭოს მიაქციოს „ზაკსელმაშ"-ის ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის მოთხოვნილებებზე არავითარ ინფორმაციას არ ღებულობდა გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმის დამუშავების პერიოდში.

VIII. გასაქირავებელი და მარცვლეულის საწმენდი პუნქტები

1. წლიური გეგმით მოსაწყობად გათვალისწინებული 15 გასაქირავებელი და 10 მარცვლეულის საწმენდი პუნქტების რიცხვიდან საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ა. წ. მე-2 კვარტალში მოეწყოს 10 გასაქირავებელი და 5 მარცვლეულის საწმენდი პუნქტი.

2. მე-2 კვარტალში შემოსაზიდავად გათვალისწინებული (XII, 3,1) 100 ტრიერიდან—50 ცალი მიეცეს კოლექტიურ მეურნეობებს და 50 ცალი—გასაქირავებელ და მარცვლეულის საწმენდ პუნქტებს.

3. კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობათა მარცვლის გაწმენდას გასაქირავებელი და მარცვლეულის საწმენდი პუნქტები აწარმოებენ უფასოდ.

4. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს ევალება იზრუნოს აღნიშნულ პუნქტებში ყველა მანქანა-იარაღის შესაკეთებლად ზამთარის პერიოდში.

5. იმ 124,000 მანეთიდან, რაც შეტანილია მიმდინარე წლის საკრედიტო გეგმაში გასაქირავებელი და მარცვლეულის გასაწმენდი პუნქტებისათვის, დაინიშნოს მე-2 კვარტალში გასაცემად 60.000 მან. 15 გასაქირავებელი და მარცვლეულის საწმენდი პუნქტების მოსაწყობად.

IX. ტეხნიკური კულტურები

ბამბა

1. ბამბის ნათესი არე 1929 წ. განისაზღვრის—9,000 ჰექტ., აქედან კონტრაქტაციაქმნილი არე უნდა უდრიდეს 8,000 ჰექტ.

2. დასავლეთ საქართველოში ბამბის ნათესებისათვის ავანსების გაცემა ცნობილი იქნეს არასავალდებულოდ.

3. ბამბის ნათესებისათვის ავანსების გაცემა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) საშუალო ფულადი ავანსი ერთ ნათეს ჰექტარზე განისაზღვრის 45 მან.; საჭირო რაოდენობა თესლისა—კილო 3 მ. 97 კაპ.

ბ) კოლექტიურ მეურნეობებს ძირითადი ავანსის—45 მან. ზევით მიეცეს 25 პროც. ნორმის მიხედვით.

გ) სასუქით გაპატივებული არე განისაზღვროს 750 ჰექტ.; აქედან 125 ჰექტ. სათესლე მეურნეობებში.

დ) სასუქი (სუპერფოსფატისა და კოფტონის ნარევი) მიეცეს მთესველებს ნისიად ჰექტარზე 665,2 კილო.

ე) წინასწარი მოხვნისათვის (ზამთრისა და შემოდგომის) ერთ ჰექტარზე მისაცემი ავანსი განისაზღვროს 15 მან. იმ პირობით, რომ აქედან 5 მან. ჩარიცხულ იქნეს ძირითადი ავანსის ანგარიშში. ასეთი ნათესების არე ორიენტულად განისაზღვროს—1.500—2.000 ჰექტარით.

ვ) ბამბის რიგ-რიგად ნათესზე გაიცეს დამატებითი ავანსი 10 მან. თითო ჰექტარზე და ბამბის რიგ-რიგად ნათესების არე განისაზღვროს 625 ჰექტ.

ზ) ბამბის ნათესების „ჩოჩიხაგან" მკურნალობისათვის გაიცეს 12 მ. თვითეულ ჰექტარზე 3 ფუთი გოგირდის ანგარიშით ჰექტარზე (გოგირდის ღირებულება 4 მან. ფუთი); სამკურნალო არე განისაზღვროს 40 პროც. ბამბის ნათესის მთელი არისა ე. ი. 3.200 ჰექტ.

4) წინა წლების მაგალითის მიხედვით მებამბეობის კამპანიისათვის კრედიტების გაცემა უნდა მოხდეს მებამბეობის მთავარი კომიტეტის ხარჯზე.

თამბაქო

1. საკონტროლო ციფრების თანახმად თამბაქოს ნათესების არე მიმდინარე წელს განისაზღვროს 16.700 ჰექტ., საიდანაც 14.500 ჰექტ. აფხაზეთში და 2.200 ჰექტ. საქართველოში; აქედან საკონტრაქტაციოდ დაინიშნოს აფხაზეთში 13.000 ჰექტ. და საქართველოში 2.100 ჰექტ.

2. საშუალო რაოდენობა საჭირო ავანსისა თვითეულ ჰექტარ თამბაქოზე განისაზღვროს აფხაზეთისათვის—400 მან. და საქართველოსათვის — 350 მან., რაც გაცემულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

30 პროც. როცა დარგვის დრო დადგება.
25 პროც. „ გაწმენდის დრო დადგება.
25 პროც. „ მოსავლის აღების დრო დადგება.
20 პროც. „ ფოთოლ თამბაქოს შეკერისათვის.

3. ამ ანგარიშით ავანსისათვის საჭირო თანხა განისაზღვროს 6.015,000 მან.

4. გათვალისწინებულ იქნეს თამბაქოს სანერგეების მოწყობა 2 ახალ პუნქტში: კახეთში და სამეგრელოში და აგრეთვე გაფართოება აფხაზეთში არსებული სანერგეებისა,

5. მეთამბაქოობისათვის 1928—29 წ. საკრედიტო გეგმით გათვალისწინებული თანხების მიხედვით ცნობილ იქნეს შესაძლებლად კრედიტების შემდეგი რაოდენობით გაცემა:

ა) სანერგეების მოსაწყობად და ავანსებისათვის საერთო თანხით 4.280,000 მან. ამავე დროს აღიძრას ა.-კ.-ის სახკომსაბჭოს მეშვეობით სათანადო შუამდგომლობა, რათა მრეწველობის სახსრებიდან გაღებულ იქნეს, თანახმად მე-8 მუხლისა, კიდევ 1.185.000 მან.

ბ) ფარდულების მოსაწყობად (გრძელვად. კრ.) — 880,000 მან.

გ) საწყობების ასაგებად თამბაქოს ფერმენტაციისათვის გრძელვად. კრ. — 120.000 მ.

დ) სასუქისათვის (გრძელვად. კრ.)—30.000 მან.

კენაფი

1. საკონტრაქტაციო არე განისაზღვროს 500 ჰექტ.

2. ავანსის რაოდენობა თვითეულ ჰექტარზე განისაზღვროს 100 მან. და კენაფის ფასი ფუთი—8 მან.

3. საკრედიტო გეგმის თანახმად დაინიშნოს:

ა) ავანსების მისაცემად მოკლევადიანი კრედიტი—50,000 მან.

ბ) სახ.-სამ. საკრ. ამხანაგობებთან რაციონალური ბასეინების მოწყობისათვის კენაფის დასახველებლად გრძელვადიანი კრედიტი—20,000 მან.

4. მოეთხოვოს სახ. „კენაფ"-ს გასცეს კრედიტი—24.000 მან. საბჭოთა მეურნეობებში კენაფის სათესლე ნაკვეთების ორგანიზაციისათვის.

შაქრის ჭარხალი

1. მოწონებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გეგმა ადგილობრივ მეურნეობებში ჭარხლის კულტურის გავრცელებისა—ნათესების კონტრაქტაციის გზით.

2. საკონტრაქტაციო არე განისაზღვროს 200 ჰექტ.

3. კონტრაქტაციისათვის საჭირო მოკლევადიანი კრედიტი 16.000 მან. (თვითეულ დეს. 80 მან. ანგარიშით), რაც საკრედიტო გეგმით გათვალისწინებული არ არის, გამოთხოვილ იქნეს საკავშირო წყაროებიდან ა.-კ.-ის სახალხო კომისართა საბჭოს მეშვეობით.

X. მუშა-საქონელი

1. მიზანშეწონილად იქნეს ცნობილი მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის წინადადება დასავლეთ საქართველოში სიმინდის ნაადრევი ნათესების გავრცელების შესახებ.

2. ვინაიდან გლეხის მეურნეობათა 33 პროცენტს არა ჰყავს მუშა-საქონელი, ღარიბ და კოლექტიურ მეურნეობათა მუშა-საქონლით მომარაგება მე-2 კვარტალში ჩაითვალოს გაზაფხულის თესვის კამპანიის ძირითად ამოცანად.

3. მუშა-საქონლისათვის საკრედიტო გეგმით გათვალისწინებული გრძელვადიანი სესხი—710.000 მან., რომელშიაც შედის 170,000 მან. ღარიბების ფონდიდან და 140.000 მან. კოლექტიურ მეურნეობათა ფონდიდან, მთლად დაინიშნოს მუშა-საქონლის შესაძენად, რომლის განაწილებაც დაეკისროს „სოფლის კავშირს".

XI. კოლექტიური მეურნეობანი

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი კოლმეურნეობათა გაზაფხულის ნათესების არის გადიდება 9,000 ჰექტარამდე, ე. ი. 45 პროცენტით 1927—28 წელთან შედარებით. ცალკე კულტურების მიხედვით ნათესების გადიდება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგნაირად: თამბაქო—900 ჰექტარამდე (ზრდა 330 პროც.); ბამბა—500 ჰექტარამდე (1,000 პროც.); კენაფი—150 ჰექტარამდე, შაქრის ჭარხალი—150 ჰექტ.; ხორბალი—900 ჰექტარამდე (ზრდა 12 პროც.); ქერი—1.725 ჰექტარამდე (ზრდა 88 პროც.) და სიმინდი—3.800 ჰექტარამდე (ზრდა 40 პროც.).

ამის გარდა ჩაის სანერგეების არე გადიდებულ იქნეს 1.600 ჰექტარამდე 1927—28 წლის 236 ჰექტართან შედარებით.

2. აწეულ იქნეს მოსავლიანობა კოლექტიურ მეურნეობებში: სიმინდის—20 პროცენტით, ხორბლისა და ქერის—15 პროცენტით და ტეხნიკური კულტურებისა—არა ნაკლებ 15 პროცენტისა.

3. კოლმეურნეობათა წარმოების ყველა საშუალებით მომარაგება და აგრეთვე აგროდახმარების აღმოჩენა ჩატარებულ იქნეს პირველ რიგში.

4. სიმინდის ხარისხოვანი მეთესლეობისათვის კოლმეურნეობებში გამოყოფილ იქნეს 1,200 ჰექტარი.

5. დაეკისროს კოლმეურნეობათა ცენტრს შეადგინოს მომავალ საგაზაფხულო კამპანიისათვის კოლმეურნეობათა საოპერაციო გეგმები და ამასთანავე გათვალისწინოს კოლმეურნეობებში მარტივ აგრიკულტურულ ღონისძიებათა გატარება, მათ შორის: ა) სასუქით გაპატივება მთელი მარცვლეული არის—15 პროცენტისა, ბამბის არის—50 პროცენტისა და თამბაქოს არის—50 პროცენტისა; ბ) სათესი არის მთელი 100 პროც. გაწმენდილი თესლით დათესვა; გ) სიმინდის არის არა ნაკლებ—75 პროცენტის რიგ-რიგად დათესვა; დ) მავნებლებთან ბრძოლის საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენება; ე) ყველა კოლმეურნეობაში სახნისის გუთნით შეცვლა.

6. კოლმეურნეობათა მოსამარაგებლად გამოყენებულ იქნეს (გარდა წვრილი სახ.-სამ. ინვენტარისა) სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შემდეგი კონტინგენტი: ტრაქტორი 40 ცალი, სათესი მანქანა—60 ცალი, ტრიერი—50 ცალი, კულტივატორი—100 ცალი, გუთანი—250 ცალი, ფარცხი—50 ცალი.

7. როგორც ძველი, ისე ახალი კოლმეურნეობის მუშა საქონლით დასაკმაყოფილებლად გათვალისწინებულ იქნეს კოლმეურნეობათათვის სათანადო კრედიტის მიცემა 1.000 სული მუშა-საქონლის შესაძენად.

8. დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მომავალი გაზაფხულის კამპანიისათვის ჩაატაროს მიწათმოწყობა 50—60 პროც. ყველა ძველი კოლმეურნეობებისა და აგრეთვე არა ნაკლებ 25 პროც. ახლად აღმოცენებული კოლმეურნეობებისა.

XII. აგროდახმარება

1. საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა აგროპერსონალმა პირველ რიგში აღმოუჩინოს დახმარება კოლმეურნეობებს და ღარიბ მეურნეობებს გაზაფხულის თესვის კამპანიის გეგმის მთლიანად შესრულების საქმეში.

2. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, „სოფლის კავშირს" და აგრეთვე ყველა აღმასკომს და სხვა სათანადო ორგანიზაციას დაევალება მიიღონ სათანადო ზომები, რათა დასახული გეგმა წარმატებით იქნეს შესრულებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების საანგარიშო კამპანია

საანგარიშო კამპანიის გაშლასთან დაკავშირებით ამოძრავდნენ ანტისაბჭოთა ელემენტები.—გოჩა-ჯიხაიშში კულაკები შეეცადნენ საანგარიშო კრების ჩაშლას.—ბორჩალოს მაზრაში საანგარიშო კამპანია სუსტად მიმდინარეობს.—ლიუქსემბურგში კულაკებმა ვენახები გაუჩეხეს საარჩევნო კომისიის წევრებს.—ხელმძღვანელ ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ კულაკების ასალაგმავად და მშრომელი მასების მჭიდროდ შეკავშირებისათვის საარჩევნო კამპანიის ირგვლივ

საბჭოთა კავშირის ცაკ-ს ცენტრ. საარჩევნო კომისიის დადგენილება

მოსკოვი, 17 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკთან არსებულმა ცენტრ. საარჩევნო კომისიამ განიხილა საბჭოთა არჩევნებში წვრილი წამოწყებათა წარმომადგენლობის საკითხი. კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ იმ წამოწყებებში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა საკმაო არ არის ერთი დეპუტატის არჩევისათვის, ხოლო სხვა წამოწყებებთან გაერთიანება გაძნელებულია სიშორის გამო, არჩევნები მოხდება იმ ნორმების მიხედვით, რომლებსაც სპეციალურად დააწესებენ საოლქო ან საგუბერნიო საარჩევნო კომისიები და რომლებსაც დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების ცაკები.

საბჭოების არჩევნების გამო მივლინებაში წასულთა ხარჯის დაფარვის საკითხის შესახებ კომისიამ დაადგინა: არჩევნებისათვის მივლინებაში წასულთა ყოველგვარი ხარჯის (დღიური და სამგზავრო) უნდა გაიღონ იმ ორგანიზაციებმა, რომელთა განკარგულებითაც მოხდება მუშაკების გაგზავნა (პარტკომი აღმასკომი). პროფკავშირთა ორგანიზაციები გაიღებენ მხოლოდ იმ მუშაკების მივლინების ხარჯს რომლებიც პროფ.კავშირების ინიციატივით იგზავნებიან, მუშაკებს, რომლებიც საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად მიდიან მივლინებაში, ხელფასი ენახება მათი მუშაობის ადგილას.

მუშაკების შერჩევა და გაგზავნა წამოწყებებიდან საბჭოების საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად ხდება საბჭოებისა ან აღმასკომების მიერ პროფესიონალურ და სამეურნეო ორგანოებთან შეთანხმებით. მუშაკების გაგზავნა უშუალოდ პროფ.კავშირების მიერ შეთანხმებულ უნდა იქნას საბჭოებთან და სამეურნეო ორგანოებთან.

შემდეგ საარჩევნო კომისიამ მოისმინა მოხსენება საარჩევნო კამპანიის მსვლელობის შესახებ ბელორუსიაში. როგორც მოხსენებიდან სჩანს, პირველი ცნობები არჩევნების მსვლელობის შესახებ სავსებით დამაკმაყოფილებელია.

სოფლის 80 საბჭოში საარჩევნო კრებებზე გამოცხადდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 55,9 პროც., შარშან კი გამოცხადდა 46 პროც. 27 ახლად არჩეულ საბჭოში ღარიბები შეადგენენ 49 პროც., საშუალო გლეხები—37 პროცენტს, მუშები—9 პროცენტს და მოსამსახურეები—5 პროც. (ადს).

თათბირი არჩევნების შესახებ

მოსკოვი 17 იანვარი. საკავშირო პროფსაბჭოში გაიმართა თათბირი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ მონაწილეობას იღებენ პროფორგანიზაციები საბჭოების გადარჩევის კამპანიაში. თათბირი გახსნა ამხ. დობროვოლსკიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ პროფ.კავშირის მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის კამპანიაში საკმაო არ არის. თათბირმა მოისმინა მელითონეთა; სასოფლო სამეურნეო მუშათა და სხ. კავშირების ც.კ.-ების მოხსენებანი კამპანიის მსვლელობის შესახებ ცენტრში და ადგილებზე. ამხ. დობროვოლსკიმ ჯამი გაუკეთა თათბირის მონაწილეთა სიტყვებს და აღნიშნა, რომ კულაკის შეტევას სათანადო პასუხი უნდა გასცეს არა მარტო სასოფლო-სამეურნეო კავშირმა, არამედ სხვა კავშირებმაც, რომელთა წევრების თითქმის 40 პროც. სოფლად იმყოფება. კავშირებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ საარჩევნო კამპანიის ჩატარებას სოფლად და უნდა გაგზავნონ სოფლებში საუკეთესო ძალები. საჭიროა არა ცირკულიარები და ზოგადი დირექტივები არამედ კონკრეტული მუშაობა ცალკე რაიონებში სადაც ეს მუშაობა საკმაოდ არ არის გაშლილი. კავშირებმა კულტმუშაობის ჩასატარებლად ფართოდ უნდა გამოიყენონ კლუბები, წითელი კუთხეები და ბიბლიოთეკები.

ანგარიშს აბარებენ ამომრჩევლებს

(თბილისის საბჭო ამომრჩეველთა წინაშე)

რას უნდა მივაქციოთ მეტი ყურადღება

თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანია ფართოთ გაიშალა. უკვე ჩატარდა მთელი რიგი კრებებისა, სადაც საბჭოს დეპუტატებმა ჩააბარეს ანგარიშები თავიანთ ამომრჩევლებს. ამ კრებების შედეგებიდან სჩანს, რომ შედარებით გასულ საარჩევნო კამპანიასთან, მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ამომრჩევლები; აძლევენ ზღვა შეკითხვებს საბჭოს დეპუტატებს სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე და გამოდიან კამათში საბჭოს მუშაობის ირგვლივ.

ლენინის რაიონის საანგარიშო კრებებზე ესწრება საშუალოდ ამომრჩეველთა 80 პროც., საბჭოს მუშაობის ირგვლივ გამართულ კამათში მხურვალე მონაწილეობას ღებულობენ მუშა-მოსამსახურენი. ა.-კ. წითელდროშოვან არმიის ლიტოგრაფიაში კამათში მონაწილეობა მიიღო 28 კაცმა. დაახლოებით ასეთივე სურათია თბ. დეპოში, მუშკოოპის ტრანსპორტში, და სხვა წარმოება-დაწესებულებებში.

მაგრამ მრავალ დადებით მხარეებთან ერთად საანგარიშო კამპანიას თან სდევს ნაკლიც. ეს ნაკლი იმაში გამოიხატება რომ ბევრ ადგილას კალენდარული გეგმის მიხედვით მოწვეული საანგარიშო კრება იშლება, რაც ჩვენის აზრით გამოწვეულია ადგილობრივი პროფორგანოების სუსტი მუშაობით. დღემდე საანგარიშო კრება თბილისში გადადებულა დაახლოებით 25 ადგილას.

გარდა ამისა ხშირად მომხსენებლები საკმაოდ ვერ აშუქებდნენ თბილისის საბჭოს მუშაობას; ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამომრჩევლების მიერ მიცემულ ნაკაზის შესრულებას, რის გამო ამომრჩეველს არა აქვს საშუალება გაიგოს რამდენად შეასრულა დეპუტატმა დავალება. ეს გარემოება გარდა იმისა, რომ არ გვაძლევს სწორ სურათს საბჭოს მუშაობისას, ამავე დროს ხელს უშლის ამ მუშაობის სათანადო შეფასებასაც. საჭიროა მომხსენებელმა მოკლედ შეეხოს საბჭოს საქმიანობას ყოველ დარგში და ამომრჩევს მისცეს სწორი წარმოდგენა საბჭოს საქმიანობაზე.

ადგილობრივ საარჩევნო კომისიებმა, პარტორგანიზაციებმა და პროფორგანოებმა ამ თავითვე უნდა მიაქციონ ყურადღება აღნიშნულ ნაკლს, უნდა მიიღონ ზომები იმისთვის, რომ დროულად და დაურღვევლად შესრულდეს საანგარიშო კრებების კალენდარული ცხრილი და ფართოთ გაიშალოს თვითკრიტიკა თბილისის საბჭოს მუშაობის ირგვლივ.

შ. ნ.

საბჭოს მუშაობა მოიწონეს

ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს და შავი ზღვის რკინის გზის სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა თბილისის საბჭოს წევრი ამხ. გვერდწითელი. კრებას დაესწრნენ აგრეთვე ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს ქვემდებარე დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 25-დე კაცმა. ორატორები იწონებდნენ საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობას და აღნიშნავდნენ, რომ საბჭოს მიღწევებთან ერთად ჰქონდა ნაკლიც. ასე, მაგალითად: ქალაქის საბჭო არ აქცევდა სათანადო ყურადღებას ქუჩებში მოძრაობის მოწესრიგების საქმეს, არ სწარმოებდა ქუჩების ქვაფენილებით მოგება გეგმაშეწონილად და სხვ.

კამათის დროს ორატორებმა შემოიტანეს მთელი რიგი წინადადებები, რომლებიც შეტანილი უნდა იქნეს ახალი შემადგენლობის საბჭოსათვის წარსადგენ ნაკაზში.

ამხ. სტალინის სახელობის ქარხანაში

შაბათს, 12 იანვარს, შესდგა რკინის გზის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სადურგლო საამქროს მუშების კრება, რომელზედაც საანგარიშო მოხსენება გააკეთა ამხ. კ. ნიჟეგოვსკიმ. კრებამ ერთხმად დაადგინა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში და ამასთანავე გამოიწვიოს ამავე ქარხნის ჩამომსხმელ საამქროს მუშები, რათა მათაც მთელი 100 პროცენტით მიიღონ მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში

სად შესდგება საანგარიშო კრებები

ლენინის რაიონში

ტრამვაის მუშათა კლუბში დღის პირველ საათზე დანიშნულია განათლების მუშაკთა კავშირის მეორე უბნის ადგილკომში შემავალ წევრების საერთო საანგარიშო კრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნება მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. საღამოს 6 საათზე შესდგება თბილისის საუბნო კომიტეტთან არსებულ უმაღლესი ტიპის სკოლის მსმენელთა საერთო კრება. კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ.

26 კომუნარის რაიონში

დღეს, 26 კომუნარის რაიონში საანგარიშო კრებები შესდგება შემდეგ ადგილებზე: ქალთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა მკერავი № 2-ში საღამოს 6 საათზე. მოხსენებას საბჭოს მუშაობის შესახებ გააკეთებს ამხ. ტერუნოვი, ტყავტრესტის მესამე ადგილკომში დღის 4 საათზე მომხსენებელი ამხ. ხაჩიკიანი. ტყავის ქარხანა № 3-ში დღის 3 ნახ. საათზე მომხსენებელი ამხ. აგაჯანოვი. განათლების მუშაკთა პირველი უბნის ადგილკომში დღის 3 ნახ. საათზე მომხსენებელი ამხ. ფანცულაია. ქიმიურ ქარხანაში დღის 3 ნახ. საათზე მომხსენებელი ამხ. ფირალოვი და მაცუკატოვი. რუსულ მუშფაკში საღამოს 8 საათზე, მომხსენებელი ამხ. პასიცკი.

ქალაქის რაიონში

დღეს, დღის 4 საათზე კოლოფების ქარხანაში დანიშნულია მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებაზე გაკეთებული იქნება მოხსენება თბილისის საბჭოს მუშაობის შესახებ. საღამოს 6 საათზე ავტოკლუბში (პლეხანოვის პრ., 123), შესდგება „ზაკავტოპრომტორგი"-ს მუშათა საერთო საანგარიშო კრება. ხელოვნების მუშაკთა კავშირის წევრთა საანგარიშო კრება შესდგება საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში. სოფლის კავშირის კოლექტიურ მეურნეობის ცენტრში (კომინტერნის ქუჩა) საანგარიშო კრება დანიშნულია საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა კავშირის მესამე ადგილკომში საღამოს 7 საათზე. ა.-კ. პოლიტსამმართველოს მერვე პოლკში (ტროცკის ქ.) საღამოს 6 საათზე. ა.-კ. ფინსახკომის შენობაში (ტროცკის ქ., 10). შესდგება ა.-კ. შრომის კომისარიატის, ა.-კ. დამზღვევ სალაროს, ზომა-წონის პალატის. ა.-კ. პროფსაბჭოს და შაჰ-პარონიანცის საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება.

უნდა გაძლიერდეს მასიური მუშაობა

16 იანვარს საღამოს, პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა პროფსაბჭოს ქვემდებარე ორგანიზაციების და ცალკე პროფესიონალური კავშირების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება რომელსაც დაესწრო 300-მდე კაცი.

საბჭოს წევრ ამხ. შ. ზერიძის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 9 ორატორმა. კამათში გამოსული მუშა მოსამსახურეები აღნიშნავდნენ მრავალი დეფექტებს თბილისის საბჭოს მიერ ჩატარებულ მუშაობაში. ორატორები ამბობდნენ, რომ მაშინ როდესაც თბილისის მოსახლეობას ტრამვაის ვაგონები არ ყოფნის და საჭიროა ვაგონების რიცხვის გამრავლება, ქალაქის საბჭო ამის მაგიერ იძენს კომფორტაბელურ ტრამვაის ვაგონებს და არსებულ მისაბმელ ვაგონებს აღარ უშვებს ხაზებზე. ორატორებს საჭიროდ მიაჩნიათ რომ ძვირფასი ვაგონების მაგიერ გამრავლებულ იქნეს იაფი, დახურული ვაგონების რიცხვი.

აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ თბილისის საბჭო არ უწევდა შესაფერ ხელმძღვანელობას მასიური ეკონომიური მუშაობის წარმოებას. მასიური ეკონმუშაობის გაძლიერებით კი შესაძლებელი გახდებოდა საბჭოს მუშაობაში შემჩნეული მრავალი დეფექტების გამოსწორება.

კრებაზე გამოითქვა აზრი, რომ მე-7 მოწვევის თბილისის საბჭოსათვის წარსადგენ ნაკაზში შეტანილ იქნეს ცალკე მუხლად მასიური ეკონომიური მუშაობის გაძლიერების შესახებ.

საანგარიშო კამპანია ადგილებზე

(საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილების მასალებიდან)

საქ. ცაკის საორგანიზაციო განყოფილებაში მიღებულია დეპეშები ადგილებიდან საანგარიშო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდიდან ამხ. ჯანაშია იტყობინება:

— თემებში გამოყოფილია საარჩევნო უბნები. ბადახკალის თემში გამოყოფილია 7 უბანი ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 1538 კაცს. საანგარიშო კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 98 პროცენტი. ახუთის თემში გამოყოფილია 6 უბანი 1381 ამომრჩევლით. შავ სიაში შეტანილია 32 კაცი, უმთავრესად ვაჭრები და თავად-აზნაურული ელემენტები. ხორგის თემში 8 საარჩევნო უბანია. ამომრჩეველთა რიცხვი ამ თემში უდრის 1252 კაცს. ხეთის თემში გამოყოფილია 14 უბანი, ანაკლიის თემში—4 უბ და კორცხელის თემში—7 უბანი.

შორაპნის მაზრაში

შორაპნის მაზრიდან რწმუნებული ამხ. ნიორაძე იტყობინება:

— კორბოულის თემში გამოყოფილია 15 საარჩევნო უბანი. ამომრჩეველთა რიცხვი უდრის 4.848 კაცს. შავი სიის შედგენა დამთავრდა. საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულთა რიცხვი უდრის 62 კაცს.

მოლითის თემში შესდგა საარჩევნო-საანგარიშო კრება, რომელსაც დაესწრო ადგილობრივ ღარიბ გლეხთა 80 პროცენტი. საანგარიშო კრებაზე სცადეს გამოსვლა ადგილობრივი კულაკური ელემენტების წარმომადგენლებმა, მაგრამ ისინი თვით ღარიბმა გლეხობამ ჩააჩუმა.

თემში სულ გამოყოფილია 11 საარჩევნო უბანი.

ქუთაისის მაზრაში

ბაღდათის თემში გაგზავნილი რწმუნებული ამხ. გ. მილიქაძე იტყობინება:

— თემში დაწყებული საარჩევნო-საანგარიშო კამპანია დიდის წარმატებით მიმდინარეობს. კრებებზე განსაკუთრებით დიდია მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების აქტივობა.

ქალთა აქტივობა სუსტია.

განათლების მუშაკთა კავშირში

შეჯიბრება განათლების მუშაკთა კავშირის სამაზრო განყოფილებებს შორის

განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ შემდეგი წერილით მიმართა ყველა სამაზრო განყოფილებებს, ქ. თბილისისა და მის მაზრის ადგილკომებს:

— საბჭოთა არჩევნების კამპანიის წარმატებით ჩატარებას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამ საქმეში განათლების მუშაკთა მასამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა, მოაწყოს სამაზრო განყოფილებათა შეჯიბრება იმის გამოსარკვევად, თუ რომელი განყოფილება უკეთ მიიღებს მონაწილეობას საბჭოთა არჩევნების კამპანიაში. ცენტრალური გამგეობა სამაზრო განყოფილებებიდან ყოველკვირეულად მიღებულ მასალების მიხედვით შეარჩევს სამ საუკეთესო სამაზრო განყოფილებას, რომელთაც საბჭოთა არჩევნებში აქტიური მონაწილეობისათვის მიეცემათ პრემია.

საანგარიშო კამპანია სუსტად მიმდინარეობს

(დუმანისის თემი, ბორჩალოს მაზრა)

საარჩევნო კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, საანგარიშო კრებებზე ასახელებენ მომავალ საბჭოს კანდიდატებს. ღარიბ გლეხთა კრებებზე საშუალო გლეხობის აქტივს არ იწვევენ. ეს გარემოება უკმაყოფილებას იწვევს საშუალო გლეხებში. საარჩევნო სიები ნაჩქარევად და არასწორადაა შედგენილი. ხმის უფლება დატოვებული აქვს ზოგიერთ ისეთ პირებს, რომლებსაც საარჩევნო უფლება წართმეული უნდა ჰქონდეთ, სათემო საარჩევნო კომისია უგეგმოდ მუშაობს, თემის მუშაკთა შორის ადგილი აქვს შემარიგებელ დამოკიდებულებას კულაკებთან, არის ისეთი შემთხვევები, რომ კულაკები აგიტაციას ეწევიან ღარიბ და საშუალო გლეხებს შორის. ღარიბი და საშუალო გლეხები შეკავშირებულნი არ არიან, პირიქით ხელმძღვანელი ორგანიზაციების უხეირო მიდგომამ გამოიწვია საშუალო გლეხების უკმაყოფილება. ადგილობრივი მუშაკები და სხვა ორგანიზაციები არავითარ მონაწილეობას არ იღებენ კამპანიაში. კამპანიას ხელმძღვანელობს და განკარგულებებს იძლევა მხოლოდ მაზრიდან მიმაგრებული ამხანაგი.

ლიუქსემბურგში შავი სიის გამოქვეყნების შემდეგ ხმააღმოართმეულებმა ვენახები გაუჩეხეს საარჩევნო კომისიის წევრებს. ლიუქსემბურგში ღარიბთა შორის სუსტი მუშაობისა და საარჩევნო კამპანიის ამოცანების არასაკმაოდ განმარტების გამო ამ საქმეს სათანადო ყურადღება არ მიაქციეს.

დუმანისში ღარიბმა გლეხებმა ცაკის ინსტრუქტორს სთხოვეს, ნუ წაართმევთ ხმას კულაკებს, ვინაიდან ეს უკანასკნელნი შემდეგ აღარ დაგვეხმარებიანო. საერთოდ მომაგრებული ამხანაგის—ცეკას და ცაკის რწმუნებულის ამხ. ტაგიევის ჩამოუსვლელობამ დიდი გავლენა იქონია საარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე მთელ მაზრაში.

კულაკები შეეცადნენ კრების ჩაშლას

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

გოჩა - ჯიხაიშში საანგარიშო კრების ჩატარების დროს ფარულად შემოპარულმა კულაკებმა ასტეხეს განგაში, შეეცადნენ კრების ჩაშლას, მაგრამ ღარიბ და საშუალო გლეხობის მიერ გაძევებულნი იქნენ კრებიდან, რის შემდეგ კრება, რომელზედაც ამომრჩეველთა 80 პროცენტი დაესწრო, ნორმალურად ჩატარდა.

მესხი.

აწყურის თემი

საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებით ამოძრავდენ კულაკები. მათ მოინდომეს ღარიბთა კრებების ჩაშლა ასეთ ფაქტს ადგილი ჰქონდა ოთხ სოფელში, მაგრამ მშრომელი გლეხობის აქტივობით, თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. განსაკუთრებით თავი ისახელა კულაკ მარტანენკომ სოფ. მაქცევში. ეს კულაკი თვითონ არ ცხადდება კრებებზე მაგრამ ღარიბ გლეხობას მუქარით უმასპინძლდებოდა, რომ ისინიც არ დასწრებოდნენ კრებებს. საზოგადოებრივი ორგანიზაციები საარჩევნო კამპანიაში ცხოველ მონაწილეობას იღებენ.

აწყურელი.

კამპანია გაცხოველდა

სენაკის მაზრაში

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა საანგარიშო კამპანია სენაკის მაზრაში გაცხოველებით მიმდინარეობს, უკვე გამოიდარა და მოსახლეობის დასწრებაც კრებებზე იზრდება. გეზატგულეთის თემში საანგარიშო კამპანია დასრულდა. პირველ უბანში გამოცხადდა ამომრჩეველთა 41 პროც. მეორე უბანში 55 და მესამეში 57 პროცენტი. ქალებიდან კრებაზე გამოცხადდა 35 პროცენტი. კამათში მონაწილეობა მიიღო 26 კაცმა და ორმა ქალმა, 19 გლეხმა, 4 მოსამსახურემ, 2 წითელარმიელმა, დანარჩენმა 2. გლეხები აღნიშნავდნენ, რომ საბჭომ ვერ მოაგვარა საფერშლო პუნქტისა და სამკითხველოს გახსნის საქმე, რომ ზოგან გზა და ხიდი გაფუჭებულია და სხვა.

საჭილაოს ხე-ტყის ქარხანაში კრებას დაესწრო მუშების 90 პროცენტი, ზოგან სოფლებში წინასწარი ცნობებით დასწრება 90 პროცენტზე მეტია.

ბ. უჩანეიშვილი.

გორის მაზრაში

თბილისში დაბრუნდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის რწმუნებული გორის მაზრაში ამხ. ა. ჯიჯაძე, რომელმაც ცაკის საორგანიზაციო განყოფილებას გადასცა მასალები გორის მაზრაში საარჩევნო-საანგარიშო კამპანიის მსვლელობის შესახებ.

ამხ. ჯიჯაძის ხელმძღვანელობით საარჩევნო-საანგარიშო კამპანია ჩატარებული ყოფილა ბორჯომში და მის თემში, წაღვერის თემში, ხაშურში და მის თემში და სურამის თემში.

ბორჯომში წელს გამოყოფილია 21 საარჩევნო უბანი. საანგარიშო კრებებზე ცხადდებოდა 89,7 პროცენტი მამაკაცებისა და 70,5 პროცენტი ქალებისა. ბორჯომის თემში გამართულ საანგარიშო კრებებზე ესწრებოდა გლეხობის 82 პროცენტი. კრებებზე ადგილი ჰქონდა გლეხთა გამოსვლებს სალი კრიტიკით.

წაღვერის თემში გამოყოფილია 6 საარჩევნო უბანი. საანგარიშო კრებებზე დიდ აქტივობას იჩენენ გლეხები და გლეხ-ქალები, დასწრების პროცენტი უდრის 83-ს, ქალებისა კი 73-ს. კულაკების გამოსვლას თემში არ ჰქონია ადგილი, გარდა სოფ. მზეთა-მზისა, სადაც ერთმა კულაკმა სცადა გადაებირებია ღარიბი გლეხობა.

ხაშურში გამოყოფილია 21 უბანი, ხოლო მის თემში 34 უბანი. საანგარიშო კრებებზე ესწრება მოსახლეობის 80 პროცენტი.

სურამის თემში შემავალ სოფ. ტეზერში ადგილი აქვს კულაკების აქტიობის ზრდას, კულაკები აგიტაციას ეწევიან გლეხებში გლეხთა კოლექტივების დაარსების წინააღმდეგ.

14 იანვარს ვიღაც საეჭვო პირებმა ამავე თემში მოკლეს ერთი მღვდელი. ღარიბი გლეხობა ამბობს, რომ ეს მღვდელი პროვოკაციის მიზნით, მოჰკლეს კულაკებმა. მკვლელების და საპატიმრებლად მიღებულია ზომები.

საერთოდ, გორის მაზრაში საანგარიშო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. კრებებზე ზღვამად ესწრებიან როგორც გლეხები, ისე გლეხ-ქალები.

აგიტპროპთათბირისათვის

პარტგანათლება ადგილებზე

მე-15 პარტყრილობის დირექტივების თანახმად გაძლიერებულ უნდა იქნას შეტევა კულაკის წინააღმდეგ, გაძლიერებულ უნდა იქნას შეტევა მთელ ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე.

პარტიულ ორგანიზაციამ უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა მუშურ-გლეხურ მასებს და გაიყვანოს ისინი სწორი ლენინური გზით სოციალიზმისაკენ, მარქსი ამბობს: „იმისათვის, რომ მასწავლებელმა სხვა აღზარდოს, პირველად ყოვლისა თვითონ უნდა იყოს აღზრდილი". მშრომელი მასები პროლეტარიატის ინტერესების მიხედვით, რომ აღზარდო და მათ კულტურული მშენებლობის და ბრძოლის დროს, რომ გაირკვე პრაქტიკულ საქმიანობის დროს საკითხებში, ლენინურად გადასჭრა ისინი და გაატარო ცხოვრებაში ამისათვის თვითონ უნდა იყო სათანადოთ მომზადებული თეორიულად და პრაქტიკულად.

პირველი საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, არის პარტგანათლების მნიშვნელობის შეუფასებლობა, არსებობს შეხედულება, თითქოს თეორიული ცოდნის გარდმავება მაინცა და მაინც აუცილებელი არაა თუ პრაქტიკული გამოცდილება გაქვს. ასეთი შეხედულება შემცდარია. ამ შეხედულებიდან გამომდინარეობს შეუფასებლობა სწავლისა, საერთოდ, და პარტიულ განათლებისა კერძოთ. ამ შეუფასებლობას აძლიერებს ის ყალბი შეხედულებაც, თითქოს იდეოლოგიის როლი და ზეგავლენა ეკონომიკაზე უმნიშვნელო იყოს. ჩვენს სინამდვილეში ადგილი აქვს საერთო, პარტიული და სპეციალური განათლების შეუფასებლობას. მართალია, ჩვენ მრავალი პოლიტსკოლა, პარტსკოლა და წრე გვაქვს, მაგრამ პარტიულ ამხანაგების ნაწილს დღემდე მაინც არ აქვთ შეგნებული პარტგანათლების უდიდესი მნიშვნელობა მასების ხელმძღვანელობის და სოც. მშენებლობის საქმეში.

1928—29 სასწ. წლის დასაწყისში ცენტრ. კომიტ. საგიტაციო-საპროპაგანდო ბეჭდვითი განყოფილებამ მისცა დირექტივა ადგილობრივ ორგანიზაციებს მოსამზადებელ მუშაობის ჩატარების შესახებ. ცხადია, სამაზრო სარაიონო და სათემო კომიტეტები და პარტუჯრედები შეუდგნენ ამ მუშაობის შესრულებას. მაგრამ ზოგან ამ მხრით არაფერი გაუკეთებიათ. აი, რას სწერს ერთ-ერთი პროპაგანდისტი ზუგდიდის მაზრიდან: „მიუხედავად სამაზრო კომიტეტის ცირკულიარებისა, არავითარი წინასწარი მუშაობა არ ყოფილა ჩატარებული ადგილობრივი უჯრედის მიერ. რამაც ხელი შეუშალა პარტიის წევრების და კანდიდატების პარტსწავლაში ჩაბმას". მეორე პროპაგანდისტი იმავე მაზრიდან იწერება: „პირველ ხანებში სკოლაში ირიცხებოდა 60 კაცი, შემდეგ იკლო და დავიდა 40 კაცამდე. დამრჩა კომკავშირლები და უპარტიოები, გაქრნენ პარტიულები. ამის მიზეზი იმაშია, რომ ისინი ცუდათ ეკიდებიან პოლიტიკურ მომზადებას და არჩევენ ქორწილებში სიარულს". არის ისეთი შემთხვევაც. „როცა უპარტიო მასწავლებლობა სკოლაში მეცადინეობს, კომკავშირელი მასწავლებლები რესტორანებში ქეიფობენ და სკოლის ავტორიტეტზე თავს არ იტკივებენ".

თუ ასე გულგრილად მოეკიდენ ადგილებზე პარტგანათლებას, მაშინ იქ სკოლა ან წრე თავის კვალს ვერ დასტოვებს. ამას კი სამწუხარო შედეგი მოჰყვება, თუ პარტიულებმა და კომკავშირელებმა არ იციან პარტიის პოლიტიკა, დირექტივები და მორიგი ამოცანები პარტიის, პოლიტიკას დაამახინჯებენ პრაქტიკაში, ამის მაგალითი კი ბევრია. აი, რას იწერება ქუთაისის მაზრის პროპაგანდისტი: „ეს ქვეყანა დღემდე აუღებელი ყოფილა. გასაბჭოება წელს იწყება ამ თემში, მიწის რეფორმა ახლა ტარდება. მაგ. ერთ-ერთი ცნობილი ქართველი მწერალს ახლა ჩამოერთვა 86 ქცევა მიწა. ძველი საბჭო კულაკებით არის სავსე და ნაწილობრივად ვაჭრებით". აქედან ცხადია თუ რა მუშაობას აწარმოებდა აქ პარტიული ორგანიზაცია.

ან კიდევ მეორე მაგალითი. ოზურგეთის მაზრიდან ასე იწერება პოლიტსკოლის ხელმძღვანელი:

„ჩემს ჩამოსვლამდე მოსამზადებელი მუშაობა არავის მოჰგონებია".

„აქაურ მუშაობას შემდეგი უარყოფითი მხარეები აქვს: თანამდებობის პირთა საქმისადმი გულგრილობა, სათანადო მოუმზადებლობა, ღვინის სმა და ძმა-ბიჭურად დროს ტარება, პარტიულ ორგანიზაციის წევრთა ნაწილობრივი მოდუნება, მასიურ მუშაობის სრულებით მივიწყება, პარტწევრთა რიცხვობრივად თანდათანი შემცირება. პარტიის წევრები და გლეხობა უკმაყოფილებას გამოსთქვამენ ხელმძღვანელ ამხანაგების მუშაობისადმი. თვითკრიტიკა ჩაკლულია. ძველ ყოფა-ცხოვრებასთან ბრძოლაზე ლაპარაკი ზედმეტია".

თუ გულგრილობა და დაუდევრობა პარტგანათლებისადმი არაა მასიური მოვლენა. სამაგიეროთ მასიურ მოვლენად უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებელი ამხანაგების პარტსწავლისაგან ჩამოშორება მათი დატვირთვის გამო. მათ დიდი სურვილი აქვთ ისწავლონ და შემდეგ უფრო ნაყოფიერად იმუშაონ, მაგრამ სკოლაში სწავლის გაგრძელებას მხოლოდ ერთეულები ახერხებენ, დანარჩენებმა კი თვითგანვითარებით უნდა იმეცადინონ. ამისათვის მათ დრო ნაკლებ აქვთ. ხშირია შემთხვევა, როცა ჟურნალ-გაზეთებსაც ვეღარ ადევნებენ თვალყურს, ამას კი ცუდი შედეგები მოსდევს: კულტურული ჩამორჩენილობა, პარტამოცანების უცოდინარობა ამა თუ იმ დარგში და მათი სუსტად ან ყალბად გატარება. აქედან გამომდინარეობს ორი ამოცანა: 1) აგიტაცია-პროპაგანდა პარტგანათლების მნიშვნელობის, ამოცანების, ფორმების და მეთოდების გარკვევ-ს შესახებ პარტიის შიგნით, კომკავშირში და უპარტიოთა შორის, 2) მეტად დატვირთულ ამხანაგების თეორეტიულ ცოდნის ამაღლებაზე ზრუნვა, მათი ნაწილობრივად განტვირთვით, მუშაობის დაგეგმვით, და რაციონალიზაციით და სხვა.

მეორე საკითხია—აგიტ-პროპმუშაკების მომზადება პარტგანათლების დარგში. ჩვენ გვესაჭიროება არა მარტო პარტგანათლებით დაინტერესება პარტიულ, კომკავშირელ და უპარტიო მასების და მათი ჩაბმა პარტგანათლების ქსელში, არამედ ამ ქსელის ე. ი. პარტგანათლების სხვადასხვა ფორმების (სკოლები, წრეები, თვითგანვითარება) მოწყობის და მათი ხელმძღვანელობის ცოდნა. პარტიული ორგანოები გამოჰყოფენ განსაკუთრებულ მუშაკებს აგიტპროპმუშაობის საწარმოებლად. მათი მოვალეობაა პარტგანათლების ორგანიზაციასა და მეთოდიკასთან კარგად გაცნობა. მათი თვითგადამზადება აუცილებელია, ვინაიდან ამ დარგში დიდი გაურკვევლობა და დაბნეულობაა დღემდე.

მესამე საკითხი, რომელიც ყურადღების ღირსია, არის პარტგანათლების სისტემის და ქსელის საკითხი. ერთხელ და სამუდამოთ უნდა ჩამოვაყალიბოთ პარტიულ სწავლის სისტემა და ფორმები. ყველამ უნდა იცოდეს: რა სკოლა და წრე არსდება პარტგანათლების ხაზით. სამწუხაროდ, ამ მხრით ყოველწლიურად ცვლილება ხდებოდა, რაც ხელს უწყობდა არევ-დარევას.

ამჟამად მიღებული პარტიულ სწავლის ფორმები უნდა დარჩეს არსებითად მომავალ წლებისთვისაც. ქსელი უნდა აეგოს იმის მიხედვით, თუ როგორი მასა გვყავს მომზადების მხრივ. ჩვენ გვყავს პარტიული, კომკავშირელი და უპარტიო მუშები, გლეხები და მოჯამაგირეები. სრულიად წერა-კითხვის უცოდინარნი არ უნდა იქნას მიღებული პარტქსელში, ის წერა-კით. უც. სალიკვიდაციო სკოლაში უნდა გაიგზავნოს ან ვინმესთან მიმაგრებულ იქნას, არც მცირე მცოდნენი უნდა იქნან მიღებული, როგორც ეს წელს მოხდა ზოგიერთ ადგილას, მიუხედავად დირექტივისა მათი არდაშვების შესახებ, ის მცირემცოდნეთა სკოლაში უნდა გაიგზავნოს. წერა-კით. უცოდინარებს და მცირემცოდნეებს პარტიულ ორგანიზაციაში და კომკავშირში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, შემდეგ უპარტიო მუშებს და მოჯამაგირეებს. სანამ მსმენელი, პოლიტიკურ ცოდნის მიღებას შესძლებს, მან საზოგადო ცოდნა უნდა მიიღოს. ამაზე ლენინი ამბობდა: „სანამ ჩვენში ადგილი აქვს ისეთ მოვლენას, როგორიც არის წერა-კითხ. უცოდინარობა, პოლიტიკურ განათლებაზე ლაპარაკი ძლიერ ძნელია. ეს არაა პოლიტიკური ამოცანა, მაგრამ ეს არის ის პირობა, ურომლისოდაც პოლიტიკაზე ლაპარაკი არ შეიძლება. წერა-კით. უცოდინარი კაცი პოლიტიკის გარეშე სდგას, მას ჯერ წერა-კითხვა უნდა ასწავლო. უამისოდ შეუძლებელია პოლიტიკის შესწავლა, უამისოდ მისთვის არსებობს მხოლოდ ჭორები, ხმები, ზღაპრები, ცრუმორწმუნეობა და არა პოლიტიკა".

პარტგანათლების ქსელში ჩვენ წერა-კითხვის მცოდნენი უნდა ჩავაბათ, მაგრამ ეს არ განთავისუფლებს წერა-კით. უცოდინარებსა და მცირემცოდნეებზე ზრუნვისაგან. ჩვენი ვალია მალე მოხდეს მათი უცოდინარობის ლიკვიდაცია და მიღებულ იქნან ისინი პარტქსელში, პარტიული, კომკავშირელი და უპარტიო მასებისათვის, რომლებსაც არა აქვთ ელემენტარული პოლიტიკური მომზადება, არსდება მთლიანი პარტიული სკოლები სხვადასხვა ვარიანტებით: გლეხებისათვის, მუშებისათვის, ჯარისათვის და კომკავშირელთათვის. მათთვის არსდება აგრეთვე მოკლე ვადიანი სკოლები სოფლად—კურსი-ყრილობები. წრეებს შორის მათთვის მისაღებია გაზეთის კითხვის წრე. იმ ამხანაგებისათვის, რომლებსაც მიღებული აქვთ დაწყებითი პოლიტიკური ცოდნა, არსდება საგნობრივი, მიმდინარე პოლიტიკის და თემატიური წრეები და საღამოს საბ. პარტიული სკოლები. ამავე პარტსწავლის ფორმებში ებმება სოფლის და ქალაქის დაბალი პარტიული აქტივი. პარტაქტივის საქმიანი და თეორეტიული კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობა პარტაქტივის კურსები მაზრებსა და თბილისში, სამაზრო-პარტაქტივისათვის ეწყობა კურსები. დილის საბჭოთა პარტსკოლები და კომუნივერსიტეტი სათემო და სამაზრო პარტიულ, პროფესიონალურ და კულტურულ მუშაკებს ამზადებს.

ასეთია ზოგადად პარტიულ განათლების მიმდინარე პრაქტიკული საკითხები.

დ. ორაგველიძე.

რა აბრკოლებს პარტგანათლების საქმეს

პარტიულ განათლების ქსელში გაერთიანებული მასები თავისი მომზადების მხრივ სამ ფენად იყოფა. პოლიტიკურად მოუმზადებელნი, პოლიტიკურ ოდნავად მომზადებულნი (დაბალი პარტაქტივის ჩართვით) და პოლიტიკურად მომზადებულნი (სამაზრო და საოლქო პარტაქტივის ჩართვით).

ქსელიც ამ სამ კატეგორიის საჭიროება-მოთხოვნილების მიხედვით უნდა აიგოს.

როგორაა დაყენებული თვითეული ამ ფენის პარტსწავლის საქმე?

პოლიტიკურად უცოდინართა ჩაბმის შემთხვევა პარტქსელში საკმაოზე მეტია. წელს უპარტიო მუშები, ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები წინა წლებთან შედარებით უფრო ჩაებენ პარტსწავლაში. გასულ წელთან შედარებით წელს ძირითადი პარტქსელი საშუალოთ 100 პროც. გაიზარდა. მას ჯერ ბევრი ნაკლი აქვს. პარტსწავლის შინაარსი, მისი თვისება და პარტაღმზრდელობა თავის სიმაღლეზე ვერაა, ამასთან ცუდათ არის მსმენელთა შერჩევა-შეკრების საქმეც. სოფლად მოჯამაგირენი და სასოფლო-სამეურნეო მუშები ჯერ-კიდევ სუსტად არიან ჩაბმულნი პარტგანათლების ქსელში, საშუალო ფენის პარტსწავლაში ჩაბმა უფრო სუსტია. მათთვის არსებობს თბილისში გარდა 11 საღ. პარტსკოლა, საგნობრივი, თემატიური და მიმდ. პოლიტიკის წრეები. დაბალი პარტაქტივის პარტსწავლა ძლიერ სუსტად არის დაყენებული. სკოლები და წრეები მათთვის საკმარისი არაა, თან ხელმძღვანელებიც არ ჰყავთ. პარტაქტივისთვის აუცილებელია საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით კურსები გვეწევიან დახმარებას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს კურსები იშვიათად ეწყობა, თან მათი შემადგენლობა მცირერიცხოვანია. პარტუჯრედის მდივნები ძლიერ დატვირთულნი არიან და ისინი თითქმის გადაუმზადებელი რჩებიან. ამჟამად ამ.-კავკ. კომ. უნივერსიტეტთან ეწყობა სპეციალურად პარტუჯრედების 85 მდივნისათვის დაუსწრებელი სწავლა. შემდეგ ისინი საზაფხულო გადასამზადებელ კურსებზე იქნებიან გამოწვეულნი.

დაბალი პარტაქტივისათვის თეორეტიულ და საქმიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად საჭიროა დაუსწრებელი სწავლის სისტემა ფართოდ გავრცელდეს ჩვენში, ის უნდა მოეწყოს ცენტრ. პარტიულ სკოლასთან, რომელშიაც შეიძლება ჩაბმულ იქნას რამდენიმე ასი ამხანაგი,

საჭირო პარტაქტივის გადამზადება ხდება ზაფხულის სამთვიან კურსებზე. ეს ცოტაა. საჭიროა მათთვისაც მოეწყოს დაუსწრებელი სწავლა კომუნისტურ უნივერსიტეტის პროგრამით ისე, როგორც ეს მოაწყო სვერდლოვის სახ. კომუნისტურ უნივერსიტეტმა.

როგორც სჩანს პარტიული აქტივის მომზადების საქმე უფრო ცუდათ სდგას, ვიდრე პოლიტიკურად სრულიად მოუმზადებელთა. ეს გარემოება გვავალებს გამოვნახოთ გზები პარტაქტივის მომზადების დონის ასაწევად და გადავსდგათ ამ მხრით პრაქტიკული ნაბიჯები.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ პროპაგანდისტთა კადრი მხოლოდ ახლა ყალიბდება, პარტიულ და კომკავშირელ მასების სამივე ფენისათვის საჭიროა პროპაგანდისტების მომზადება. დაბალი პარტქსელისათვის პროპაგანდისტების მთავარი მიმწოდებელი ცენტ. პარტიული სკოლაა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სკოლიდან საუკეთესო მსმენელების შერჩევა ხდება, მაინც უძნელდებათ მათ პროპაგანდისტის მოვალეობის შესრულება. მთავარი მათი ნაკლია საზოგადო ცოდნის სიმცირე. ეს მდგომარეობა გვიკარნახებს, რომ ცენტრ. პარტსკოლაში მიღებულ იქნას უფრო მომზადებული მსმენელები, ვიდრე აქამდე ხდებოდა. მაგრამ ვინაიდან ეს ადვილი საქმე არაა, ამიტომ მისაღებ მსმენელთა შერჩევა ერთი წლით ადრე უნდა ხდებოდეს, რომლებიც უნდა მოემზადონ ამ ხნის განმავლობაში და შემდეგ შევიდნენ პარტსკოლაში. ჩვენი მუდმივ პროპაგანდისტთა რაოდენობა 45 კაცამდე აღწევს არ შეიძლება ითქვას, რომ მათ საკმაო გამოცდილება ჰქონდეთ ამ დარგში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ყველაზე უკეთეს პროპაგანდისტებად ითვლებიან.

პროპაგანდისტთა კადრი არაა მკვიდრი, ის ცვალებადია. ამ სასწავლო წლის დასაწყისში ბევრი კარგი პროპაგანდისტი მოშორდა ამ საქმეს და სხვა სამუშაოზე გადავიდა. ეს გარემოება აიხსნება იმ მძიმე მდგომარეობით, რომელშიაც მათ უხდებათ მუშაობა ადგილებზე. ადგილობრივი ორგანიზაციები უმთავრესად იმაზე ზრუნავენ, თუ როგორ დატვირთონ პროპაგანდისტი, მაგრამ როცა დადგება საკითხი მისთვის დახმარების გაწევის შესახებ, პროპაგანდისტულ მუშაობის დარგში, ამაზე თავს არ იწუხებენ. ამხანაგურ დამოკიდებულებას და თანაგრძნობას დიდი მნიშვნელობა აქვს პროპაგანდისტებისათვის, თუ ჩვენი მუდმივი კადრის შემადგენლობა არაა დამაკმაყოფილებელი (ლაპარაკია მის უმრავლესობაზე), რაღა მდგომარეობა იქნება ადგილობრივი პროპაგანდისტებისათვის.

ადგილებზე პროპაგანდისტებს ნიშნავენ შეურჩევლად, მათი ცოდნის შეუმოწმებლად. „წადი და ამაცადინე", აი რა დავალებას ღებულობენ ისინი.

პროპაგანდისტების ასეთ წამოყენება-დანიშვნას ბოლო უნდა მოეღოს. ჯერ მათი ცოდნა-მომზადება არაა გამორკვეული, შემდეგ მათ აკლიათ გამოცდილება და მეთოდიური მომზადებაც. ამიტომ მათი შერჩევა ფრთხილად უნდა ხდებოდეს. შეიძლება ზოგიერთები განსაკუთრებულ კომისიაშიაც გატარდეს.

გვყავს თუ არა პროპაგანდისტთა კადრი პარტიულ მასის საშუალო მასისათვის, დაბალ პარტაქტივისათვის? აქ უფრო უარესი მდგომარეობაა. არც ერთი სასწავლებელი ჩვენ არ გვაძლევს დაბალ პარტაქტ. პროპაგანდისტებს. ასეთი მდგომარეობაა სამაზრო პარტაქტივის პროპაგანდისტებით უზრუნველყოფის დარგშიც. არც ერთი ფასიანი მუდმივი პროპაგანდისტი არ გვყავს. ადგილობრივი პარტორგანოები თვითონ უნიშნავენ პროპაგანდისტებს და ლექტორებს საღამოს პარტსკოლებს, საგნობრივ, თემატიურ, მიმდინარე პოლიტიკის წრეებს და მათი ვარგისიანობის შემოწმებასაც არ აწარმოებენ.

ეს გარემოება ძლიერ უშლის ხელს პარტაქტივის სწავლას და აყენებს ჩვენს წინაშე ამოცანას სათანადო პროპაგანდისტთა კადრის შექმნის შესახებ, ამრიგად პროპაგანდისტების მხრით ჩვენი პარტიული ქსელი ვერაა სათანადოთ უზრუნველყოფილი, არსებული პროპაგანდისტების დაბალი კვალიფიკაცია აფერხებს პარტგანათლების თვისებრივ დონის ამაღლებას.

ორ უკანასკნელ წელში მოეწყო თითო თვიანი გადასამზადებელი კურსები პროპაგანდისტებისათვის. მაგრამ ეს საქმეს არ შველის. ძირითად პარტქსელის პროპაგანდისტების უფრო მეტი რიცხვის გადამზადებაა საჭირო და უფრო ხანგრძლივ კურსებზე (არა ნაკლებ 2 თვისა). ეს ცოტაა, პროპაგანდისტების გადამზადება უნდა მოეწყოს დაუსწრებელი სწავლების შემოღებით, თვითგანვითარების გზით და სხვ. გადამზადება უნდა არა მარტო ძირითად პარტქსელის, არამედ პარტაქტივის სკოლებისა, კურსების და წრეების პროპაგანდისტებს. გადამზადება უნდა აგრეთვე წითელი ჯარის, კომკავშირის და ქალთა სადელეგატო კრებების პროპაგანდისტებს.

განსაკუთრებით სდგას საკითხი ნაცუმცირესობის პროპაგანდისტთა კადრის შექმნის შესახებ. წელს ნაცუმცირესობის მაზრებს პროპაგანდისტების მეტი რიცხვი დაეთმო, ვიდრე წინა წელში, მაგრამ საკმაოდ მომზადებული პროპაგანდისტები არ აღმოჩნდნენ და ნაცუმცილეთ. დიდი ნაკლებობაა ამ მხრით თურქი, ოსი, აფხაზი, აჭარელი, ბერძენი, ებრაელთა და სხვ. პროპაგანდისტებისა.

საჭიროა ნაცუმცირესობის პარტქსელისათვის პროპაგანდისტთა კადრის შექმნა, ეს გადაუდებელი ამოცანაა, ურომლისოდაც შეუძლებელია ჩამორჩენილ რაიონებში პარტიულ მუშაობის გაძლიერება.

პროპაგანდისტების მომზადებასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ აგიტატორების მომზადების საკითხიც. ამ მხრით ჩვენში ძლიერ ცოტაა გაკეთებული. არც არსებობს გარკვეული აზრი ამის შესახებ. აგიტატორთა წრე, არ კმარა აგიტატორების მოსამზადებლად. ჩვენ გვესაჭიროება აგიტაცია, მასიური მუშაობა, კამპანიების ჩატარება და სხვა. ამიტომ აგიტატორებიც საჭიროა. მართალია, ახლა ჩვენ პროპაგანდისტებს ვიყენებთ აგიტატორების ადგილზე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ისინი ვარგოდენ აგიტატორებათ. აგიტატორის ამოცანა და როლი ჩვენს აგიტპროპმუშაობაში განსაკუთრებულია, რომლის შესრულება ყველა პროპაგანდისტს არ შეუძლია. პროპაგანდისტთა გადასამზადებელ კურსებზე გამოირკვა, რომ 65 კაციდან მხოლოდ 5—10 კაცი თუ გამოდგებოდა აგიტატორად. ამიტომ ამ კადრის შექმნაზე ზრუნვა აუცილებელია.

პარტიულ განათლების საკითხებიდან ვერ გამოვყოფთ კომკავშირის პოლიტგანათლების საკითხებს. აქ საქმე ძლიერ სუსტად არის დაყენებული. კომკავშირს არა ჰყავს პროპაგანდისტთა კადრი. კომკავშირის აღზრდა ვერ დადგება თავის სიმაღლეზე, სანამ არ გაუმჯობესდება პოლიტგანათლების საქმე. წელს რუსულ ენაზე ძლიერ დაგვიანებით გამოვიდა კომკავშირის ქალაქის პოლიტსკოლების და სოფლის პოლიტკითხვის სახელმძღვანელოები. მაგრამ სახელგამმა ერთი თვით შეაჩერა სოფლის პოლიტკითხვის სახელმძღვანელოს გამოცემა იმ მოსაზრებით, რომ 1926 წელში გამოცემული სახელმძღვანელო გაესაღებინათ. ამან გამოიწვია კომკავშირის ქსელის დაგვიანებით გაშლა, პროგრამების შემოკლება და სხვა.

კომკავშირის პოლიტგანათლების საქმის გასაუმჯობესებლად დიდი დახმარების გაწევა შეუძლია გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტს", თუ ის ამ საკითხს მეტ ყურადღებას მიაქცევს. მაგრამ უმთავრესია პარტ. ორგანიზაციების ყურადღება, და დახმარება და ხელმძღვანელობის გაწევა. ამის გარეშე შეუძლებელია პოლიტსწავლის იმ ჩიხიდან გამოყვანა, რომელშიაც ის არის მოქცეული.

პროპაგანდისტი.

წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა

(აგიტპროპთათბირის გამო)

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას. გაცილებით უფრო საინტერესოა ვიკითხოთ რა მდგომარეობაშია ჩვენში ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან?

უკანასკნელი 1926 წლის აღწერის თანახმად საქართველოში (ავტონომიური ერთეულების გამოკლებით წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი (15—39 წლამდე) უდრის 311.000 კაცს. გარდა ამისა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხუთი წლის განმავლობაში მოზარდი თაობიდან ამ რიცხვს მიემატება 108.000 კაცი, მაშინ წერა-კითხვის უცოდინართა საერთო რიცხვი უდრება 420.000 კაცს. ამრიგად, რომ ხუთწლიანი გეგმის თანახმად სრულიად მოსპობილ იქნეს წერა-კითხვის უცოდინარობა, საჭიროა ყოველწლიურად გაიხსნას 8.362 სკოლა და წ.-კითხვა შეისწავლოს—110.000 კაცმა.

რა გვაქვს სინამდვილეში?

წერა-კითხვის უცოდინარობის საწინააღმდეგო მუშაობას აწარმოებს პოლიტგანათლების სამმართველო, საზოგადოება წერა-კითხვა და პროფკავშირების კულტ-განყოფილება. აღნიშნულ ორგანოების მიერ წელს გახსნილია—2.131 სკოლა, სადაც წერა-კითხვას შეისწავლის დაახლოებით 63.930 კაცი.

როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. ეს ტემპი დიდ იმედებს არ იძლევა. რაა სკოლების ასეთი სიმცირის მიზეზი? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ სათანადო სახსრის უქონლობა. მაზრაღმასკომები ადგილობრივ ბიუჯეტში ვერ ახერხებენ საკმაო თანხის გამონახვას (სენაკის მაზრაღმასკომმა წელს მხოლოდ 200 მანეთი გაიღო), ხოლო მთავარმმართველობას კი გარდა პროცენტულ (მაგარ სასმელების პატენტიდან) ანარიცხებისა რაც უნდა ვიფიქროთ, წელს მოგვცემს მხოლოდ 15—20 ათას მანეთს—არავითარი სხვა სახსარი არ გააჩნია, რაც შეეხება საზოგადოება წერა-კითხვას, თუმცა წელს მუშაობა შედარებით გასულ წლებთან საგრძნობლად გაცხოველდა, მაგრამ დიდ იმედებს ვერც მასზე დავამყარებთ.

ამ უკანასკნელ დროს, როგორც სჩანს, მდგომარეობას გაუმჯობესება დაეტყო. ამის დამადასტურებელია საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 18 დეკემბრის დადგენილება, რომელიც საგრძნობლად აუმჯობესებს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობის ფინანსიურ მხარეს. დადგენილებაში ნათქვამია: „წინადადება მიეცეს ყველა აღმასკომებს გამონახონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სახსარი მოსახლეობის თვითდაბეგვრის წესით".

საკავშირო ლენინურ კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ცეკას დადგენილება, რომ „ყოველმა წერა-კითხვის მცოდნე კომკავშირელმა უნდა მონახოს და წერა-კითხვა შეასწავლოს ერთ უცოდინარს". კულტურული ლაშქრობა და სხვა მოწმობს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა პოპულიარულ ლოზუნგად გადაიქცა.

მაგრამ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ყოველივე ეს მაინც არ არის საკმაო, საჭიროა საზოგადოების ყურადღების მობილიზაციასთან ერთად ფინანსიურ საშუალებათა მობილიზაცია.

საჭიროა შემდეგი ფაქტის აღნიშვნა რუსეთის სინამდვილიდან: სარატოვის უმაღლეს კომუნისტურმა სასწავლებელმა გამოიტანა გადაწყვეტილება მიმდინარე წელს წერა - კითხვა შეასწავლოს ქალაქში და მის რაიონში 70.000 წერა-კითხვის უცოდინარს.

ბაუმანის რაისაბჭომ (მოსკოვი) გამოაცხადა კულტ-ლაშქრობა და მიზნად დაისახა 1928—29 სასწავლო წელში რაიონში წერა-კითხვა შეასწავლოს ყველა უცოდინარს.

საჭირო და აუცილებელია ჩვენშიც კომუნისტურმა, ისე სხვა უმაღლეს სასწავლებლებმა და საბჭოებმა მიბაძონ ამ მაგალითს.

1929—30 წლისათვის უნდა შევსძლოთ სკოლების საჭირო რიცხვის გახსნა. ეს არის მთავარი ამოცანა. ამასთან დაკავშირებით ზედმიწევნითი ყურადღება უნდა მიექცეს ხელმძღვანელების მომზადება-გადამზადებას, განსაკუთრებით ჩამორჩენილ და მცირე-ეროვნებათა რაიონებისათვის. მაზრებში სპეციალური კურსები უნდა იქნეს გახსნილი—რათა დაძლეულ იქნეს ხელმძღვანელების კრიზისი.

საჭიროა მეტი პასუხისმგებლობა მუშაობაში, საჭიროა მშრომელთა ერთიანი ფრონტი კომპარტიის ხელმძღვანელობით, რომ კულტურულმა რევოლუციამ გაიმარჯვოს.

ვ. ხოზუა.

მასიურ ეკონომმუშაობის გამოკვლევა

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია რესპუბლიკანურ მუშგლეხინებთან ერთად შეუდგა მასიურ ეკონომიურ მუშაობის გამოკვლევას წარმოებებში, რომლის მიზანია გამორკვევა იმისა, თუ რამდენად არიან ჩაბმული მუშათა მასები წარმოების აღდგენა-განვითარების საქმეში და როგორ მონაწილეობას იღებენ მუშათა ცალკე ჯგუფები წარმოების რაციონალიზაციისაკენ მიმართულ მუშაობაში; გამოკვლევის პროცესში შესწავლილი იქნება აგრეთვე საწარმოო თათბირების, საწარმოო კომისიების და დროებით საკონტროლო კომისიების პრაქტიკა, მათი მუშაობის პირობები და ხელმძღვანელობა სათანადო პროფორგანიზაციების მხრიდან.

ამასთანავე გამორკვეული იქნება სამეურნეო ორგანოების დამოკიდებულება მასიურ ეკონომიურ მუშაობისადმი და ის, თუ რამდენად სრულდება საწარმოო თათბირების წინადადებები; გამოკვლევის დროს ყურადღება მიექცევა აგრეთვე იმას, თუ რა უშლის ხელს ამ წინადადებების განხორციელებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმის გამორკვევას, თუ რა როლს თამაშობენ კომპარტიის უჯრედები, კედლის გაზეთები, მუშკორები, პარტიული და პროფესიონალური პრესა, და აგრეთვე მუშგლეხინის ორგანოებს მასიურ ეკონომიური მუშაობისათვის ხელის შეწყობის საქმეში.

გამოკვლევაში, გარდა რესპუბლიკანურ მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ამიერ-კავკ. პროფსაბჭო, რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტი, რესპუბლიკების პროფსაბჭოები და ს.მ.უ. საბჭოები, კავშირების ცენტრალური გამგეობები, ფაბრკომები და პრესის წარმომადგენლები.

„ახალი სოფელი"

კვირაში ორჯერ გამოვა

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს

მშრომელი გლეხობის პოლიტიკური და კულტურული ზრდის და თვით გაზეთ „ახალი სოფლის" მკითხველთა მასიურ მოთხოვნის გამო, საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცკამ მიზანშეწონილად სცნო გაზეთ „ახალი სოფლის" კვირაში ორჯერ გამოცემა.

კვირაში ორჯერ გამოსვლით „ახალ სოფელს" გაცილებით მეტი შესაძლებლობა ექნება უფრო ფართოდ დააკმაყოფილოს მშრომელი გლეხობის გაზრდილი კულტურული მოთხოვნილებანი, გაზეთი „ახალი სოფელი" ერთად-ერთი მასიური საგლეხო გაზეთია საბჭოთა საქართველოში, იგი, როგორც თავისი ენის სიმარტივით, ისე შინაარსით ხელმისაწვდომია ყოველი მშრომელი გლეხისათვის.

„ახალ სოფელი" აცნობს გლეხობას პარტიისა და ხელისუფლების პოლიტიკურ და სამეურნეო ხაზს, ფართოდ აშუქებს სოფლის სინამდვილეს, გლეხობის ჭირვარამსა და მოთხოვნილებებს, გაბედულად ებრძვის ჩვენი სოფლის ორგანიზაცია-დაწესებულებების ნაკლსა და შეცდომებს, მზის სინათლეზე გამოაქვს ჩვენი სოფლის ყოველი ნაკლი და სიბინძურე, რაზმავს ღარიბებს და საშუალო გლეხობას კლასიური მტრის წინააღმდეგ.

„ახალ სოფელს" შეაქვს გლეხობაში აგრონომიული ცოდნა და კულტურა, განუწყვეტლივ იბრძვის დაქუცმაცებულ, წვრილ გლეხურ მეურნეობიდან მსხვილ კოლექტიურ მეურნეობაზე გადასასვლელად, სოფლის მეურნეობის ახალ ტეხნიკურ საფუძველზე გადასაყვანად, სოფლის მოსავლიანობის ასაწევად, ღარიბ და საშუალო გლეხობის გასაერთიანებლად კოოპერაციაში.

თავის დაუღალავი მუშაობით „ახალი სოფელი" დიდ დახმარებას უწევს პარტიას და ხელისუფლებას მათ ბრძოლაში ჩვენი სოფლის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე, სოფლის ეკონომიურ და კულტურულ ჩამორჩენილობის წინააღმდეგ და ხელს უწყობს სოფლის გარდაქმნას სოციალისტურ საფუძველზე.

კვირაში ორჯერ გამოცემით გაიზარდა გაზეთის ხარჯები და იმდენადვე მოიმატა ხელისმოწერის ფასმაც, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ პირველ დეკემბრიდან მკითხველი კვირაში ერთი ცალის მაგივრად მიიღებს ორ ცალს, ხელის მოწერის ფასი არსებითად უცვლელი რჩება.

ეს გარემოება დაწვრილებით უნდა განემარტოს გლეხობის ფართო მასებს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივად ხელი უნდა შეუწყონ გაზეთ „ახალი სოფლის" ფართოდ გავრცელებას მშრომელ გლეხობაში. ეს საკითხი უნდა დამუშავდეს პარტიის ძირითად ორგანიზაციებში. თემკომებში და სოფლის უჯრედებში; გაზეთის გავრცელების საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ სოფლის ყველა მოწინავე აქტიური მუშაკები.

საქართველოს კომ. პარ. (ბ) ცკ-ა დარწმუნებულია, რომ პარტიულ ორგანიზაციების აქტიურ დახმარებით „ახალი სოფლის" ტირაჟი გაცილებით გადააჭარბებს შარშანდელ ტირაჟს 60.000 და არც ერთი მშრომელი გლეხი არ დარჩება უგაზეთოდ.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანი: მ. კახიანი.

ც. კ. აგიტპროპგანყოფილების გამგე მამულია.

საქართველოს ექიმთა მე-5 სამეცნიერო კონგრესი

(საუბარი კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე პროფ. ალ. ნათიშვილთან)

ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა ექიმთა მე-5 კონგრესის მომწვევ საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარეს პროფ. ალ. ნათიშვილს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„საქართველოში უნივერსიტეტის გახსნის შემდეგ სამეცნიერო მუშაობამ და კერძოდ საექიმო დარგმა მკვიდრი ნიადაგი და ფართო ასპარეზი მოიპოვა. ამის დამამტკიცებელ მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ექიმთა სამეცნიერო კონგრესი. შედარებით მოკლე დროის განმავლობაში (1923—1929) უკვე 5 სამეცნიერო კონგრესი იკრიბება: ზედმეტია ლაპარაკი ამ კონგრესების უაღრეს მნიშვნელობაზე საზოგადოდ და საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების საქმეში კერძოთ. საკმარისია მოვიგონოთ წარსული კონგრესების გაცხოველებული მუშაობა და ის უდიდესი ინტერესი. რომელსაც საქ. ექიმთა ფართო მასები იჩენდნენ კონგრესებზე დასმულ სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებისადმი.

საქ. საექიმო კონგრესებზე კვლევა-ძიების და შესწავლის საგანს შეადგენს ისეთი დაავადებანი, რომელსაც ჩვენში ფართოთ აქვს გადგმული ფესვები და ფიზიკური გადაგვარებით ემუქრება ჩვენს ხალხს. სწორეთ ამიტომ პირველი კონგრესის საპროგრამო საკითხად გამოცხადებული იყო მალარია, რომელიც ჩვენში ერთ-ერთ სოციალურ სნეულებად ითვლება და რომლის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედაა აღიარებული. მეორე კონგრესზე ეს საკითხი განმეორებით იყო დასმული და გარდა ამისა მეორე საპროგრამო საკითხად დაემატა ტუბერკულოზი, რომელიც აგრეთვე ძალიან გავრცელებულია ჩვენში.

მესამე კონგრესის საპროგრამო საკითხები იყო კვლავ ტუბერკულოზი და ათაშანგი მეოთხე კონგრესის სამუშაო საგანს 5 საპროგრამო საკითხი შეადგენდა: 1) ამებიაზი, 2) საქართველოს მოსახლეობის კვება, 3) ალკოჰოლიზმი, 4) სიმსივნეები და 5) აბორტი (მუცლის მოწყვეტა).

გარდა საპროგრამო საკითხებისა აღნიშნულ კონგრესებზე მოსმენილი იყო მრავალი მოხსენება თეორიული და კლინიკური მედიცინის დარგიდან.

მომავალ მე-5 კონგრესზე, რომელიც ა. წ. 24 იანვარს გაიხსნება ქ. ბათომში, საპროგრამო საკითხებად გამოცხადებულია: 1) კუჭის წყლული, 2) კოლიტები (მსხვილი ნაწლავის დაავადებანი) და 3) საქართველოს მოსახლეობის მოძრაობა, პირველი ორი ავადმყოფობა ჩვენში საკმაოდაა გავრცელებული, რასაც ხელი შეუწყო ომიანობის დროს დაქვეითებულმა კვებამ და სხვადასხვა სოციალ-ეკონომიურმა ფაქტორებმა. ამიტომ ამ დაავადებათა შესწავლას აქვს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა. რაც შეეხება მესამე საპროგრამო საკითხს—საქართველოს მცხოვრებთა მოძრაობას, ეს საკითხი წარსულში მეცნიერულად არ ყოფილა შესწავლილი. ეს საკითხი იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო კონგრესები მომავალშიაც არა ერთხელ დაუბრუნდება ამ საგანს, ვინაიდან ფრიად საჭიროა გამოირკვეს ის მიზეზები რომლებიც აბრკოლებენ საქართველოს მოსახლეობის ზრდას.

აღნიშნული საკითხების გარდა განსაკუთრებით გამოყოფილია აჭარისტანში ჩიყვის გავრცელების საკითხი იმ მასალების მიხედვით, რომელიც შეკრიბა აჭარისტანის მთავრობის მიერ მოწყობილმა სპეციალურმა ექსპედიციამ. ამ საკითხზე მოსმენილი იქნება რამდენიმე მოხსენება.

ერთი სხდომა დაეთმობა აგრეთვე ტროპიკულ სნეულებებს, რომლის შესახებ მთელი რიგი ფრიად საინტერესო და საყურადღებო მოხსენებებია წარმოდგენილი.

დანარჩენი მოხსენებები არასაპროგრამო საკითხებზე ქირურგიის, თერაპიის, ჰიგიენის, მეანობა-გინეკოლოგიის და საზოგადოებრივი მედიცინის დარგებიდან მოსმენილი იქნება კონგრესის სხვადასხვა სექციებში.

როგორც წარსულ კონგრესებზე, ისე მომავალ მე-5 კონგრესზე მოხსენებათა დიდი უმრავლესობა წარმოდგენილია სახ. უნივერსიტეტის კლინიკებიდან და სამეცნიერო დაწესებულებებიდან. ამავე დროს რამდენიმე საინტერესო მოხსენებები ეკუთვნის აგრეთვე პროვინციაში მომუშავე ექიმებს.

დასასრულ სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-5 კონგრესი იკრიბება აჭარისტანის დედა-ქალაქში რაც საშუალებას მისცემს ცენტრში მომუშავე ექიმებს ადგილობრივ გაეცნონ აჭარისტანის სამკურნალო დაწესებულებების მუშაობის პირობებს და თავისებურებებს.

თათბირი ჩაის კულტურის შესახებ

მეოთხე დღე

გუშინდელ დილის სხდომაზე გაიმართა კამათი ამხ. სუბაკის და ცაგარელის მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღო 21 კაცმა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორები იშვიათად მიდიან ადგილებზე, საჭიროა უფრო ცოცხალი კავშირის დამყარება ადგილებთან. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სივრცე ჩაის გასაშენებლად ცოტა არის როგორც საერთოდ, ისე ზოგიერთ ცალკე რაიონებისათვის. ნათესი სივრცის ზრდასთან ერთად უნდა ხდებოდეს აგრონომების და ინსტრუქტორების რიცხვის გადიდება. საპერსპექტივო გეგმით თითო ინსტრუქტორზე მოდის 500 ჰექტარი, რაც ძალიან ბევრია; თვითეულ ინსტრუქტორზე უნდა მოდიოდეს არა უმეტეს 250 ჰექტარისა. კოლმეურნეობებზე განზრახულია კრედიტების 40 პროცენტის დახარჯვა, საჭიროა ამ პროცენტის გადიდება. არსებული დებულების მიხედვით კოლექტივის შედგენა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ კოლექტივი გააერთიანებს არა ნაკლებ 10 მეურნისა, ადგილობრივი პირობების მიხედვით საჭიროა გამონაკლისების დაშვება. ბევრი კოლექტივების განკარგულებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში მოქცეულია კერძო მეურნის მიწის ნაკვეთიც, რომელზედაც ის უარს აცხადებს გააშენოს ჩაი. ჩაის პლანტაციის შემოღობვის დროს კოლექტივს უხდება ამ კერძო მეურნის ნაკვეთის შემოღობვაც (რადგან იგი შუაშია მოქცეული). ასეთი ნაკვეთები კერძო მეურნეებს უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს კოლექტივს, გლეხს კი სამაგიეროთ მიწა მიეცეს სხვაგან. არის ისეთი კოლექტიური ჩაის პლანტაციები, რომელშიც გაერთიანებული არიან სხვადასხვა სოფლის გლეხები. მათ კრედიტი ეძლევა მარტო ჩაის პლანტაციებისათვის, მაგრამ მათი მუშაობა ბრკოლდება, რადგან დაშორებული არიან ამ პლანტაციიდან. საჭიროა მათ სესხი მიეცეთ მეტი რაოდენობით, რომ შესძლონ ადგილობრივად დასახლება და კოლმეურნეობის შექმნა. ჩაის პლანტაციები არ არიან უზრუნველყოფილი სასუქი მარაგით. საჭიროა საცდელმა სადგურებმა ამ მდგომარეობას ყურადღება მიაქციონ და დაამზადონ ასეთი. საჭიროა გადასახლების გამოყენება იმ ადგილებში, სადაც ჩაის გასაშენებლად კარგი პირობებია (ნიადაგი, ჰავა), მაგრამ მიწის სიმცირის გამო გლეხები მისდევენ არა ჩაის კულტურას, არამედ სიმინდის თესვას. ამასთანავე ის ადგილები, რომლებიც მისდევენ ჩაის გაშენებას, მაგრამ არ არიან უზრუნველყოფილი პურით, ასეთი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ, რომ არ დაიშალოს უკვე შექმნილი კოლექტივები, მით უმეტეს, რომ კულაკური ელემენტები ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ გლეხებში, რომ ამით წინააღმდეგობა გაუწიონ კოლექტივების შექმნას.

ერთ-ერთმა აფხაზელმა დელეგატმა გლეხმა ამ საკითხზე შემდეგი სთქვა: „რადგან ჩაის მოკრეფა დათესვიდან მხოლოდ 5 წლის შემდეგ შეიძლება, მანამდე კი ეს მიწა გამოუყენებელია, კულაკურ ელემენტები ეუბნებიან ღარიბ გლეხობას, რომელთაც კოლექტივის დაარსება სურთ: „მთავრობა იმიტომ გაძლევთ სესხს, რომ თქვენ დაამუშავოთ მიწა, ხუთი წლის შემდეგ კი თქვენს გაშენებულ ჩაის მთავრობა მოკრეფს, თქვენ კი არაფერი გერგებათ და შიმშილი მოგელითო. საჭიროა ადმინისტრატიული ღონისძიებების მიღება პროვოკატორების მიმართ და ამავე დროს კოლექტივებში გაერთიანების მსურველი გლეხების სათანადოთ უზრუნველყოფა როგორც სასოფლო-სამეურნეო იარაღებით, სესხით და სხვ., ისე პურით.

არის ისეთი კოლექტივები, რომლებიც აღრიცხული არ არიან. ეს აიხსნება იმით, რომ კოლექტივებს აუარებელ ფორმალობის გადალახვა უხდება, მანამ გაარჩევენ მის წესდებას და დაამტკიცებენ. საჭიროა შემცირებული იქნეს იმ ინსტანციების რიცხვი, რომლებშიც ტარდებიან დამტკიცებამდე კოლექტივები.

ამით დამთავრდა კამათი საქართველოში ჩაის კულტურის განვითარების და კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის შესახებ.

წითელი ყაზარმის დათვალიერება

როგორ მიმდინარეობს დათვალიერება

ადგილებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ წითელი ყაზარმის დათვალიერების კამპანია ფართოდ გაიშალა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ყველა ნაწილებში.

წითელარმიელების ინიციატივით თითქმის ყველა ნაწილებში ჩატარებული იქნა შაბათობა და კვირაობა.

№ საარტილერიო პოლკში წითელარმიელებმა შეათეთრეს და შეაკეთეს ყაზარმები.

№ სატრანსპორტო ასეულში წითელარმიელები აწყობენ სასადილოს.

№ მსროლელ პოლკში პოლკის სკოლის კურსანტებმა შეაკეთეს სკოლის შენობა. ამ მუშაობის ღირებულება უდრის 1.000 მანეთს.

№ რადიო-ბატალიონის კომკავშირელები ამ დღეებში საქართველოს ტყავის ტრესტის მუშებთან ერთად აწყობენ შაბათობას.

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხნის მუშებმა ამიერ-კავკ. ქვეითი მეთაურთა სკოლაში კურსანტებთან ერთად მოაწყვეს კვირაობა, რომლის დროს ჩაატარეს 1.000 მანეთის სამუშაო.

კვირაობის შემდეგ გაიმართა ამხანაგური სადილი, რომელსაც დაესწრნენ არმიის პარტკონფერენციის დელეგატები.

წითელარმიელი წერილს უშვებს დათვალიერების საკითხების ყუთში

პროფკავშირების მონაწილეობა დათვალიერებაში

საქართველოს პროფსაბჭომ ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

წითელი ყაზარმის დათვალიერება დაიწყო 1-ლ იანვარს და გაგრძელდება 25 თებერვლამდე. წითელი ყაზარმის დათვალიერებას უნდა მიეცეს მასიურ-საზოგადოებრივ-პოლიტიკურ კამპანიის ხასიათი.

კამპანიამ უნდა დაანახვოს როგორც წითელ არმიელებს, ისე მუშების ფართო მასებს წითელი ყაზარმის, როგორც ახალგაზრდა მუშების ბრძოლის და კულტურულ-პოლიტიკურ სკოლის მნიშვნელობა და როლი.

დათვალიერების მიზანია—საზოგადოებრივი აზრის შექმნა და წითელარმიელების და მეთაურთა შემადგენლობის თვითმოქმედების განვითარება სუფთა, კარგად მოწყობილ და კულტურული ყაზარმის შექმნის საქმეში.

პროფორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ დათვალიერებაში და ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ ჯარის ნაწილების [illegible] წითელი ყაზარმის დათვალიერების წარმატებით ჩატარებაში.

კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა, საკავშირთაშორისო ორგანიზაციებმა, კლუბებმა, წითელ კუთხეებმა და სხვა კულტურულ-განმანათლებელმა ორგანიზაციებმა უნდა გამოჰყონ სპეციალური კომისიები წითელი არმიის ნაწილებთან კავშირის დასამყარებლად, მოაწყონ შესაფერი ლექციები და მოხსენებები, კლუბების დადგმები გადაიტანონ მახლობელ ყაზარმებში, მოაწყონ მუშების ექსკურსიები ყაზარმებში და სხვა.

კერძოდ, განათლების და ხელოვნების მუშაკთა კავშირებმა უნდა გააძლიერონ მუშაობა წითელი არმიის კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ყველა ცენტრალური გამგეობები, სამაზრო პროფბიუროები და ავტონომიურ რესპუბლიკების პროფსაბჭოები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ აქ ჩამოთვლილ ღონისძიებათა განხორციელებას.

ქრონიკა

დელეგატის გაგზავნა ქალაქებისა და ბაღების საერთაშორისო კონგრესზე ლონდონში

ა.-კ. საბინაო კოოპერაციის საბჭომ მიიღო წინადადება გაგზავნოს ლონდონში თავისი წარმომადგენელი ქალაქებისა და ბაღების საერთაშორისო კონგრესზე. საბჭომ თავის წარმომადგენლად ლონდონში გაგზავნა საქართველოს საბინაო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გ. დვარელიძე.

საბინაო კოოპერაციის საკავშირო საბჭოში ა.-კ. რესპუბლიკების საბინაო კავშირების წარმომადგენლებათ არჩეული არიან ა.-კ. შრომის სახ. კომისარი ამხ. იაშვილი, ფილიპჩუკი, გრიგორიანი და დვარელიძე.

10 პროცენტიანი სესხის მორიგი ტირაჟი

20 იანვარს მოსკოვში დაიწყება 1927 წლის 10 პროცენტიანი სესხის მორიგი ტირაჟი. ტირაჟის მოახლოების გამო, საგრძნობლათ გაიზარდა მოთხოვნილება აღნიშნულ სესხის ობლიგაციებზე.

მუშა-ხელის მომზადება

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი მოლაპარაკებას აწარმოებს შრომის ცენტრალურ ინსტიტუტთან, რათა მომზადებული იქნეს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე 700 მუშა-მშენებელი უმუშევართა ჩამორჩენილ ჯგუფებიდან.

მოსამზადებელი ბაზები განზრახულია მოწყობილი იქნეს ბაქოში და თბილისში; თვითეულ ბაზაში მომზადებული იქნება 350 მშენებელი—მუშა.

ა.-კ. საფეიქრო მრეწველობა

მიმდინარე წელში ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობა გამოუშვებს 57 მილ. მანეთის ბამბეულ, მატყლის და აბრეშუმის ქსოვილებს (შარშან გამოშვებული იყო 27 მილ. მანეთის ქსოვილები).

საერთო თანხიდან ბამბეული ქსოვილები გამოშვებული იქნება 32.795.000 მანეთის, მატყლის ქსოვილები—2.780.000 მან. და აბრეშუმის ქსოვილები—21.460.000 მანეთის.

მუხურის მინერალური წყარო

საქართველოს ჯანსახკომის ლაბორატორიაში მოახდინეს მუხურის (სამეგრელოში) მინერალური წყაროს წყალის ანალიზი.

გამოირკვა რომ ქლორისტული კალციის შემადგენლობის მხრივ, ლიტერატურაში არსებული ცნობების თანახმად. მუხურის წყაროს ბადალი არ ჰყავს ევროპაში.

მარილების მოხერხებული კომბინაციის წყალობით, მუხურის წყალი, მცოდნე პირების აზრით, დიდ გავლენას მოახდენს სასუნთქი ორგანოების და ზოგიერთ კანის სნეულებათა მკურნალობის დროს.

1.000 მან. მოგება

16 იანვარს სახელმწიფო ბანკის თბილისის კანტორაში გამოცხადდა ერთი მოქალაქე, რომელსაც სურდა 1925 წლის მეორე საგლეხო სესხის სამი ობლიგაციის გაყიდვა. ეს სესხი ტირაჟში გამოვიდა სრულიად გასულ წელს. ბანკის თანამშრომლის ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ობლიგაციები სრულიად ახალი იყო და მოჭრილი არ ჰქონდა არც ერთი კუპონი. თანამშრომელმა წინადადება მისცა ობლიგაციის პატრონს გაესინჯა მოგებულ ობლიგაციების ნომრები. მაგრამ მან უარი განაცხადა. ბანკის თანამშრომელმა თვითონ გადასინჯა მოგებათა ცხრილი და აღმოჩნდა რომ ერთი ამ ობლიგაციათაგანს 1926 წელში მოუგია 1000 მან.

განათლების კომისარიატში

◆ **არდადეგები თბილისის სკოლებში.** თბილისის განათლების განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რომ ქალაქში ეპიდემიების გამო, თბილისის სკოლებში საზამთრო არდადეგები დაიწყოს 19 იანვრიდან.

◆ **საბავშვო მოედნების გამრავლების გეგმა.** განათლების კომისარიატმა დაამუშავა საბავშვო მოედნების რიცხვის გამრავლების 5 წლიანი გეგმა. წელს არსებული 24 საბავშვო მოედნის მაგიერ 5 წლის შემდეგ რესპუბლიკაში უნდა იქნეს 114 საბავშვო მოედანი.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **ჯანსახკომების საკავშირო თათბირი.** მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის სახალხო კომისართა თათბირი, რომელიც მოწვეული იყო მოსკოვში 23 იანვრისათვის, გადატანილია 20 მარტისათვის.

◆ **ჯანმრთელობის კომისარიატმა** კახეთის სამაზრო აღმასკომს გაუგზავნა ქირურგიულ ხელსაწყოების კომპლექტი თელავის საავადმყოფოსათვის.

◆ **ლაბორატორიის მოწყობილობა.** სენაკის სამაზრო საავადმყოფოსთან ლაბორატორიის გასახსნელად —კომისარიატმა გაგზავნა 1000 მანეთის მოწყობილობა და 1 მიკროსკოპი.

სხვადასხვა

◆ **სამეცნიერო მუშაკთა კრება.** პარასკევს, დილის 10 საათისათვის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში მოწვეულია უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო მუშაკთა საერთო კრება.

◆ **ჩაუბარებელი დეპეშები.** ყარაბულახადან—პანფილოვს, გორიდან—ნოდიას, ლენინაკანიდან—შახულიანცს, ნოვოსიმბირსკიდან—კორტერს, სტარი-ვედუგიდან—კოჩაძინას, კულაშიდან—მიქაბერიძეს, მოსკოვიდან— არისტაკოვს, აქეთიდან—სოფრომიძეს და ახალციხიდან—ლომელიძეს.

ქუთაისი

(ჩვენი კორესპონდენტისაგან)

ვეტერინარ ექიმთა სამაზრო თათბირი

12—13 იანვარს ქუთაისში მიმდინარეობდა ვეტერინარ ექიმთა სამაზრო თათბირი. თათბირს გარდა მაზრაში მომუშავე ექიმებისა დაესწრნენ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრების და ქალაქების ვეტ. ექიმები და სპეციალისტები. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება მიწ-სახკომის წარმომადგენლის—სავეტერინარო საქმე საქართველოში და მისი პერსპექტივები. 2) სავეტერინარო საქმე მაზრაში.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ზურიაშვილმა რომელმაც აღნიშნა რესპუბლიკის საგრძნობი მიღწევები ამ დარგში. მოსმენილ იქნა აგრეთვე სამაზრო ექიმის მოხსენება სავეტერინარო მდგომარეობის შესახებ მაზრაში.

ორივე მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 12-ამდე ექიმმა. მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ საგრძნობლად გაძლიერდა ვეტ-პროპაგანდა მაზრაში; სისტემატიურად ტარდება ლექციები, საუბრები სხვადასხვა გადამდებ ავადმყოფობაზე მესაქონლეობაში, მაგრამ ჯერ კიდევ მუშაობაში მრავალი დაბრკოლებები გვაქვს. მაგ. ძალიან მცირეა სპეციალისტთა პერსონალი მცირეა აგრეთვე სასაკლაოს პუნქტების რიცხვი მაზრაში, რაც ხელს უწყობს საქონლის სნეულებების გავრცელებას და მოითხოვდნენ მომავალში მუშაობის გაძლიერებას ამ მიმართულებით.

დასასრულ თათბირმა აღნიშნული დეფექტების გამოსასწორებლად მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი.

საბინაო-საიჯარო კოოპერაციის ჩამოყალიბება

სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ქუთაისში ჩამოყალიბდა საბინაო—საიჯარო კოოპერაცია. არჩეულ იქნა კოოპერაციის გამგეობა, რომელმაც ამ დღეებში ხელშეკრულება დასდო აღმასკომის კომუნალურ განყოფილებასთან. ხელშეკრულების ძალით გამგეობის ხელში იჯარით გადავიდა ქალაქის ყველა საბჭოთა სახლები საბინაო მშენებლობის და შეკეთებების საწარმოებლად. საერთოთ გამგეობას დაევალა ქალაქში საბინაო საქმის ხელმძღვანელობა. გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ივ. ახოიძე.

პროფბიუროს ახალი გამგე

ქუთაისის სამაზრო პროფკავშირების თავმჯდომარის ამხ. ალ. აფხაიძის აღმასკომის განათლების განყოფილების გამგედ გადაყვანის გამო, პროფბიუროს გამგის დროებით მოვალეობის ასრულება დაევალა ამხ. ლ. სხირელს.

ელექტრო-სადგურის გაფართოვება

ქუთაისის ქალაქის ელსადგურს გასულ წელში, გაფართოების მიზნით დაიდგა 200 ცხენის ძალიანი დინამო მანქანა. ხოლო ამ დღეებში ამავე მიზნით სადგურში დამატებით დაიდგმება კიდევ 200 ცხ. ძალის დინამო მანქანა.

გრ. სვანიძე.

ხელოვნება

„ტურანდოტი".—ოპ. პუჩინისა

ცნობილი კომპოზიტორი დჟაკომო პუჩინი დაიბადა იტალიაში (ქ. ლუკკაში) 1858 წ. 1884 წლიდან დაიწყო ოპერების წერა. მას ვერ აკმაყოფილებდა ძველი იტალიანური ოპერების სენტიმენტალური მიმართულება, რომელიც, მისი აზრით, ნიშნავდა მუსიკის დაშორებას ცხოვრების სინამდვილიდან. ამიტომ პუჩინი ჰქმნის თავის საკუთარ მიმართულებას მუსიკაში, იწყებს ნამდვილ რეალიზმს, და სცდილობს მუსიკალური ენით გამოსახოს ნამდვილი აკუსტიური მოვლენანი და შეაფარდოს აკუსტიური შეგრძნება სცენიურ მოძრაობასთან. ეს მიმართულება (ცნობილია „ვერიზმის" სახელით (იტალიანურად სიტყვა „ვერო" ნიშნავს სინამდვილეს).

თავის პრინციპების გატარებისათვის პუჩინი არ უარყოფს იტალიანურ სიმღერის მომხიბლავ ხასიათს, ან და მოხაზულობას მაგრამ ამ მოხაზულობას იყენებს იმგვარ მოხერხებით, რომ იტალიანური კანტილენა უკავშირდება მის ოპერებში დრამატიულ განსახიერებას, ხელოვნურად გამოყენებული ორკესტრი კი ალამაზებს და ორიგინალურად ამშვენებს საჭირო ადგილებს. ამ პრინციპის შენახვით დაწერილია მისი ოპერები „ბოჰემა". „ბატერფლეი", „ტოსკა" „დასავლეთის ქალი" და „ტურანდოტ". რომელიც პირველად დაიდგმება ჩვენი სახ. ოპერაში დღეს. „ტურანდოტი" ჩაითვლება პუჩინის უკანასკნელ თხზულებათ. გარდაიცვალა პუჩინი 1924 წ.

„ტურანდოტის" ლიბრეტოს საფუძველი უნდა ვეძებოთ მე-18 საუკუნეში, როდესაც ცნობილმა იტალიანურმა სატირიკოსმა კარლო გოცციმ დასწერა ამ სახელით ფანტასტიური ხასიათის ზღაპარი—პიესა, შემდეგში, განთქმული გერმანელი პოეტის შილერის მიერ ეს ზღაპარი გადათარგმნილ იქნა გერმანულ ენაზე. შილერს აინტერესებდა ამ ზღაპრის საფუძველში ჩადებული მისწრაფება ქალისა მონობიდან განთავისუფლებისაკენ. ლიბრეტო, რომელიც გამოიყენა პუჩინიმ თავის ოპერისათვის ბევრ ადგილებში გადასწორებულია. მაგრამ ძირითადი პრინციპები გოცცის ზღაპრის შენახულია ხელუხლებლად. ჩინეთის ხელმწიფის ქალი ტურანდოტი, გამსჭვალული შურისძიებით ყველა უცხოელის მიმართ, სარგებლობს თავისი სილამაზით უცხოელთა მოსახიბლავად, ყველა მსურველს უცხადებს სამ ამოცანას და ვინც გამოიცნობს ამ ამოცანებს—ქმრად გაუხდება ტურანდოტს, ხოლო თუ ვერ გამოიცნობს, ისჯება სიკვდილით. სპარსეთის მეფის ჩამომავალი თიმური და მისი შვილი კალაფი დაესწრებიან ერთ-ერთ მაძიებლის სიკვდილით დასჯას, დაინახავენ ტურანდოტის სიმშვენიერეს. კალაფი განიზრახავს სამ ამოცანის გამოცნობას, რაზედაც უცხადებს ტურანდოტს. კალაფი გამოიცნობს ტურანდოტის ამოცანებს, მაგრამ ტურანდოტს სძულს უცხოელი და არ სურს დამორჩილება. კალაფი იჩენს ტურანდოტის წინაშე სულის იმგვარ სიმაღლეს და ახდენს მაზე იმოდენად ღრმა შთაბეჭდილებას, რომ ტურანდოტის მკაცრ ფსიქიკაში მოხდება რადიკალური გარდატეხა, ის შეიყვარებს კალაფს და გაჰყვება მას ცოლად.

ოპერის დადგმის სამხატვრო ნაწილი დამუშავებული და გაფორმებულია დამსახ. არტისტ ბოგოლიუბოვის მიერ. დეკორაციები და ტანთსაცმელები შესრულებული არის მხატვარ იოანოვის მიერ. ოპერას ლოტბარობს დამს. არტ. პაგოლოვ-არბენინი. მთავარ როლებს ასრულებენ ჩვენი ოპერის საუკეთესო ძალები.

კოტე მელვინეთ-უხუცესი.

ხელოვნების ქრონიკა

— **მოწაფეთა კონცერტი.** 19 იანვარს სახ. კონსერვატორიის დარბაზში შესდგება მე-2 სახელმწ. მუსიკალური ტეხნიკუმის მოწაფეთა მეორე ღია კონცერტი.

— **მოძრავი თეატრი.** პროფსაბჭოს კულტგანყ. შეუდგა მოძრავი თეატრის მოწყობას. თეატრი წარმოდგენებს გამართავს სხვადასხვა მუშათა კლუბებში.

— **სომხური მუსიკის საღამო.** ჰაიარტუნის თეატრში კვირას, საღამოს შესდგება სომხური მუსიკის საღამო.

კინო

საქართველოს სახკინმრეწვში

● **„ღრუბლების თავშესაფარი".** დამთავრდა სურათ „ღრუბლების თავშესაფარის" მონტაჟი (რეჟისორი ზ. ბერიშვილი, ოპერატორი პოლიკევიჩი, სცენარი სულაკაურის). სურათის გადაღება სწარმობდა საქართველოს ერთ ულამაზეს კუთხეში—ზემო თუშეთში. სურათში დახასიათებულია სოფლის ძველი და ახალი ყოფა-ცხოვრების შეჯახება. მთავარ როლებში: მ. ტენაზი (მარინე), ალისა ჭაჭინაძე (საბედო), ალ. თაყაიშვილი (ზვიადა), დ. ძნელაძე (ჯამრიულ) და ზ. ტერიოდი (ერასტი).

● **„ტიკი".** ჟურნალისტი ვ. შვეიცერი (პესამისტი) რეჟ. კ. მარჯანიშვილთან ერთად შეუდგა სცენარ „ტიკის" დამუშავებას (თემა— ძველი და ახალი თბილისი, ორი ყოფა-ცხოვრების შეჯახება კომედიურ ფორმაში).

● **„მალარია".** თავდება სურათ „მალარიას" გადაღება (რეჟისორი პუშ. ოპერატორი ზაბოზლაევი). „მალარია" თბილისში პირველად ნაჩვენები იქნება იანვრის მეორე ნახევარში სამალარიო ყრილობაზე.

● **„კომკავშირელები".** დაწყებულია სურათ „კომკავშირელების" მონტაჟი (რეჟისორი მ. გელოვანი); სურათი მზად იქნება 1-ლ თებერვლისათვის.

● **საბჭინმრეწვის სურათები თბილისის ეკრანებზე.** „ჯანყი"-ს შემდეგ თბილისში ნაჩვენები იქნება სურათი „კომუნარის ჩიბუხი" (რეჟ. კ. მარჯანიშვილი, ოპერატორი ზაბოზლაევი). მთავარ როლებში: ზაბოზლაევი უშანგი ჩხეიძე, ვ. ანჯაფარიძე, თ. ჭავჭავაძე და სხვები.

„კომუნარის ჩიბუხი"-ს შემდეგ ნაჩვენები იქნება სურათი „ხოლტ"-ი (რეჟ. ლ. ესაკია).

● **„ჩინგის - ხანის შთამომავალი".** იანვრის ბოლოს სახკინმრეწვი თბილისის ეკრანებზე გამოუშვებს „სოვკინოს" დიდ სურათს „ჩინგის ხანის შთამომავალი" (რეჟ. ვ. პუდოვკინი. ამას გარდა იანვარშივე ნაჩვენები იქნება „ნორდ-ოსტი". „მოწყვეტილი მკლავები" და სხვ.

● **უკრაინის სახკინმრეწვის სურათები თბილისში.** ახლო ხანში თბილისში მიიღებული იქნება უკრაინის ფოტო-კინო სამმართველოს შემდეგი ახალი სურათები: „ლესია", „ქარიშხალის კანონები". „ქარიშხალი". „სისხლი და ცრემლები" „ქალი გემის ბაქანიდან" და სამეცნიერო სურათი „ჰონორეია".

სურამის ულელტეხილის ელექტრიფიკაცია

გადამცემი ხაზი საექსპლოატაციოდ გადაეცემა საქ. ს. მ. უ. საბჭოს

სურამის ულელტეხილის საელექტროფიკაციო ბიუროში მიღებული ცნობით, შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა ულელტეხილზე ელექტრონის ენერგიის გადამცემი ხაზი, საექსპლოატაციოდ გადაეცეს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს.

გადამცემი ხაზის საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემის შემდეგ შესაძლებელი გახდება ხაზის მახლობლად მდებარე დაბა-ქალაქების და სოფლების ელექტროფიკაცია. პირველად ელექტრონის ენერგიას მიიღებენ ქალაქები: გორი ხაშური და ზესტაფონი.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

გუშინწინ თავი მოიკლა ვაიია ნინიკასძე აბელ-ჯანიშვილმა (სოფ. გორის მცხოვრები). თავის მკვლელობის მიზეზი ირკვევა.

კაცის დაწვა

15 იანვარს, გიორგი იფახიძე მამისაშვილი (ბ სადგურის სამილიციო უბანში) მოულოდნელად ჩავარდა ანთებულ სანახშირე ორმოში და დაიწვა.

ქურდის დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა აოასი შედოიანცი (მცხ. რიყის ქ., № 32), რომელმაც მოქ. ალაპა აგამალიანს მოპარა ოქროს საათი.

ქურდობა

გატეხეს ოლღა მონტორის ბინა (რიგორიუსის ქ.);—წაიღეს 113 მანეთის ნივთები;—ქსენია ოსეჩკინს ბინიდან (სასამართლოს ქ. 29) მოიპარეს 717 მანეთის საოჯახო ნივთები.

სასამართლო

გ. ჯაფარიძემ მიიღო ღირსეული სასჯელი

როგორც ვსწერდით, თბილისის ცენტრალურ ამბულატორიის სამნეო ნაწილის გამგე გიორგი სიმონის ძე ჯაფარიძე დაპატიმრებული და პასუხისგებაში იყო მიცემული, როგორც გამფლანგველი.

ჯაფარიძე გაასამართლა თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით.

სასამართლო გამოძიებით დადასტურდა შემდეგი ფაქტები. გიორგი ჯაფარიძეს ცენტრალურ ამბულატორიის სამნეო ნაწილის გამგის თანამდებობაზე ყოფნის დროს 1927 წლის მარტიდან გასული წლის ივლისამდე მიუთვისებია სამნეო ხარჯებისათვის გამოწერილ ხარჯებიდან 673 მანეთი.

გარდა ამისა ჯაფარიძეს, რომელსაც ევალებოდა თანამშრომელთა ჯამაგირების გამოწერა და დარიგება, სისტემატიურად შეჰქონდა სიაში ისეთი თანამშრომლები, რომელთაც ამბულატორიიდან ჯამაგირი არ ეკუთვნოდათ. მათ მაგიერ ჯამაგირის მიღებაზე ხელს აწერდა ჯაფარიძე და გამოწერილ ფულსაც თვითონ ისაკუთრებდა. ასეთი სიყალბეების ჩადენის გზით ჯაფარიძეს მიუთვისებია—616 მანეთი.

გიორგი ჯაფარიძეს სასამართლომ მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით და სამოქალაქო უფლებების აყრა 2 წლის ვადით. ჯაფარიძის ქონებას დაედო ყადაღა იმ 1289 მანეთის ასანაზღაურებლად, რომელიც მას გაფლანგული აქვს.

—:—

აფერისტი ფოსტის მოლარედ

გასული წლის 25 იანვარს ქ. თბილისში ქ. კალაგერანიდან გადმოგზავნილი იყო 230 მანეთი, რომლის გამომგზავნს შეცდომით დავიწყებოდა ადრესატის სახელის და გვარის ჩაწერა ფულის ბარათში. როგორც შემდეგში გამოირკვა, ფული ეკუთვნოდა ვინმე დემუროვს.

არსებული წესის მიხედვით, ასეთი შეუვსებელი ფულის ბარათი ისევ უკან უნდა გაეგზავნოს ფულის პატრონს. მაგრამ ეს ასე არ მოხდა იმიტომ, რომ ცენტრალურ ფოსტის კანტორის მოლარემ გრიგოლ მაღრაძემ ამჯობინა „უპატრონო" ფულისათვის „თავშესაფარის" გამოძებნა.

მაღრაძემ მოიხმო თავისი უმუშევარი ყოფილი თანამოსამსახურე და ნათლია გრიგოლ კიკნაძე, კიკნაძემ მოიხმო თავისი მეგობარი ერმილე ტურაბელიძე, ტურაბელიძემ მოიხმო თავისი ძველი ნაცნობი გრიგოლ ჟვანია და შესდგა ამ ოთხი პირის თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ გამოეტანათ ეს უპატრონო ფული ფოსტის სალაროდან.

ფოსტის მოლარემ გააჩინა პირადობის მოწმობა ვინმე ვასილ ბაბუნაშვილის სახელზე. ფულის ბარათი შევსებულ იქნა ასე: „გომში, ვასილ ბაბუნაშვილს მოთხოვნამდე". ფული გადაიგზავნა გომის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების სახელზე. მაღრაძის დავალებით გომში მიემგზავრებიან ჟვანია და ტურაბელიძე, არდგენენ პირადობის მოწმობას ბაბუნაშვილის სახელზე და გამოაქვთ ფული. გამოტანილი ფულის განაწილება ხდება თანასწორად.

გადის დრო. ეს ბოროტმოქმედება არ რჩება შეუმჩნეველი. დაეძებენ ბოროტმომქმედს. მაღრაძე სწერს უსახელო წერილს, რომელშიაც აღნიშნავს, რომ თითქოს ეს ბოროტმოქმედება ჩაიდინა ფოსტის თანამშრომელმა ლოხიშვილმა. აპატიმრებენ ლოხიშვილს. მაღრაძე ფიქრობს, რომ სამუდამოდ დაფარა მის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების კვალი.

მაგრამ ერთი ბოროტმოქმედების მიფუჩეჩებამ წაახალისა მაღრაძე, რომელმაც ხელი მიჰყო ფოსტაში მიღებულ ფულების გამოტანას ყალბი საბუთების საშუალებით.

8 სექტემბერს ფოსტაში მიღებულ იქნა ლენინაკანიდან 230 მანეთი ვინმე ხაჩატუროვის სახელზე. მაღრაძე „გახაჩატუროვდა" და მიიღო ყალბი მოწმობით მისი ფული. გარდა ამისა მაღრაძემ კიდევ მიითვისა სალაროში შესატანი 148 მანეთი.

გრიგოლ მაღრაძე დაპატიმრებულია. მასთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემულნი: გრიგოლ კიკნაძე, გრიგოლ ჟვანია და ერმილე ტურაბელიძე, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს სხვისი კუთვნილი ფულის ყალბი საბუთით გამოტანაში.

აღსანიშნავია მაღრაძის ზნედაცემულობა. სისხლის სამართლის მილიციაში დაკითხვის დროს მაღრაძემ სცადა განყოფილების გამგე ჩიკოიძეზე გადაეტანა ბრალდება. თავისი თავის გადარჩენის მიზნით ერთხელ კიდევ მოიხდომა უდანაშაულო კაცის დაღუპვა. შემდეგ ის იძულებული იყო გამოტეხილიყო დანაშაულში.

საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

გერ.

რკინის გზაზე

მატარებლების რევიზია

ა.-კ. რკინის გზებზე შემოღებულია მატარებლების რევიზიის ახალი წესი. იმ მიზნით, რომ მგზავრები არ იქნენ შეწუხებული. შემცირებულია მატარებლებში რევიზიის წარმოება ღამით.

ამასთანავე მიღებულია მთელი რიგი გადაჭრელი ზომები უბილეთოთ მგზავრობასთან საბრძოლველად.

ზედმეტ ხარჯების თავიდან ასაცილებლად

თანამშრომელთა მივლინებების დროს ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად. ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ ცხოვრებაში გაატარა მთელი რიგი ზომები.

თითოეულ ცალკე განყოფილებას კრედიტები მივლინებისათვის ეხსნება ერთი თვით. ამ კრედიტიდან 20 პროცენტი ინახება სათადარიგოთ, გაუთვალისწინებელ მივლინებებისათვის.

კრედიტის ამოწურვის შემდეგ განყოფილებებს ახალი კრედიტი აღარ გაეხსნება შემდეგ თვემდე.

საწარმოო თათბირების მუშაობის შესამოწმებლად

მოსკოვის გაზეთი „პრავდა" საბჭოთა კავშირის ყველა საწარმოებში ატარებს საწარმოო კომისიების და თათბირების მუშაობის გამოკვლევას.

ა.-კ. რკინის გზებზე ამ დათვალიერებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. შექმნილია სპეციალური კომისია. გზის გამგეობის, საგზაო კომიტეტის, ინჟინერ-ტეხნიკოსთა და მუშა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლების შემადგენლობით.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 18 იანვარს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მედსექციიდან: ვერა აბრამიშვილი, ქეთევან მირიანაშვილი, ამბერკი გაბუნია, ლიდია მაჭარაძე, სონა მაჭარაძე, ელეხე ჯანუაშვილი, აქსენტი ზულინინი, თამარ კახაბერი, ივანე ჯაფარიძე, სოფიო დოსკოვსკაია, კლავდია კუციხკოვა, რაისა რენზინა, სუზანა ნინიძე, ბერტა გესსენი, მარიამ ჯაფარიძე, ევგენია ცუტერშტეინი, აიკანუშ ასლანიანი, სათენიკ ყორღანოვა.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ელენე დუმბაძე, ქსენია მიმინოშვილი, ელენე მეჯაუროვა, გიორგი თალაკვაძე, ივანე ბუკარიოვი, დომენტი ეძგვერაძე, ლიუბა უგრიუმოვა, ანნა პეტროსიანი, ალექსანდრე მარტიროსოვი, დავით ცაგარელი, სამსონ მაჭავარიანი.

მშენებელ მუშათა სექციიდან: პეტრე პონომარენკო, პროკოფი თოფურიძე, მარიამ კვირიკაშვილი, გიორგი ნონიევი, ვახტანგ გვერდწითელი, პროკოფი ქემოკლიძე, ოვანეს ნორაზიანცი, სამსონ ტედეევი, სერგო გოფერინთაშვილი, ვარლამ ქოხოხელიძე, რუბენ მალოიანი, ივანე ნადირაშვილი, პოლოსიანი, არშაკ ტეროგანეზოვი, გიორგი მაისურიანი, ისაკ გეორქიანი, ვაგაშ გადიანცი, ისაკ ზამრადაშვილი, ნერსესიანი.

შავ მუშათა სექციიდან: ელენე მაისურაძე, აგაფი ვასილიონოვი, ნადეჟდა ლებერუსტი, შუშნიკ ტერტეროვი.

თბილისის მუშკოოპში

სადუქნო კომისიების გამოკვლევის შედეგების განხილვა

თბ. მუშკოოპის სადუქნო კომისიების გამოკვლევის ცენტრალური კომისიის სხდომა, რომელიც უნდა შემდგარიყო 16 იანვარს, გადატანილია 21 იანვრისათვის.

დაწინაურებულთა კრება

19 იანვარს შესდგება მუშკოოპში მომუშავე დაწინაურებულების კრება. განსახილველია საკითხი, თუ როგორ პირობებში უხდებათ დაწინაურებულებს მუშაობა სამეურნეო დარგში.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 18 იანვარი

დღეს, 18 იანვარს, თბილისის [illegible] რადიო-სადგურიდან 1075 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება: საუბარი [illegible] ცაგარელის [illegible]; თურქულ ენაზე [illegible] რადიო-გაზეთი [illegible] საუბარი გლეხებთან [illegible] „ტურანდოტ"-ის მუსიკალური ახსნა: „ტურანდოტის" ტრანსლიაცია; ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია; ამინდის ბიულეტინი; 19 იანვრის პროგრამის გადაცემა.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 18 იანვარს, დღის 12 საათზე (ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება კომსოზრდის აკადემიაში კანდიდატების შემრჩევი კომისიის სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხ-ბი: ვარო ჯაფარიძე (ქალთა განყ.), ალნიაშვილი (სორგ. განყ.). მიქაძე (პროფს. კულტგანყ.). და ბუჯიაშვილი (კომკავშირის ცეკა).

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სოფლად მუშაობის განყოფილება იწვევს რომ დღეს, 18 იანვარს, დილის 11 საათზე, ამხ. არუტუნოვის კაბინეტში მოწვეული თათბირი.

სავალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება: ქურდაძე (მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი), ძამანაშვილი (მიწათმოქ. სახ. კომისარიატი), ნაფიტვარიძე (სოფლის კავშირი). კვირკველია (სოფლის კავშირი) წასიძე (სასოფლო-სამეურნეო ბანკი). (ჯაგარელი (კოლმეურნეობათა ცენტრ).

—:—

ცეკას აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება აცხადებს ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგების საყურადღებოთ რომ მათ ევალებათ გამოცხადდენ სახ. უნივერსიტეტის რექტორ მ. ტოროშელიძესთან 19 იანვარს დილის 10 საათზე: კობახიძე დავით, კორსაველი თედო, მახათაძე, ზვიადაძე, სურგულაძე, ბუჯიაშვილი, ნადირაძე, კოპლატაძე, დერმიჩევი და ჩერქეზიშვილი.

—:—

ამხ. ლენინის სახელობის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტთან—დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია კომუჯრედისა და კომკავშირის ბიუროს გაერთიანებული კრება.

კომუჯრედისა და კომკავშირის უჯრედის ბიუროს წევრებისათვის დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ 18 იანვრიდან იწარმოებს ოდონტოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტო კომკავშირელების აღრიცხვა ბიურო-კოლექტივის ოთახში ამხ. ი. ლორთქიფანიძესთან (1-ლი საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე).

აღრიცხვაში გატარება სავალდებულოა ყველა კომკავშირელისათვის.

დამწუხრებულ ი შვილები: სიმონი ცოლით ეკატერინით, ელენე, სოფიო, ანა და ეკატერინე ქუთათელაძეები; მარიამი და მიხეილი დოლიძე. შვილებით: თამარა ფატერინე ქუთათელაძეები; მარიამი და მიხეილი დოლიძე. შვილებით: თამარა ფატერინე ქუთათელაძეები; მარიამი და მიხეილი დოლიძე.

დამწუხრებულ ი შვილები: სიმონი ცოლით ეკატერინით, ელენე, სოფიო, ანა და ეკა ტერინე ქუთათელაძეები; მარიამი და მიხეილი დოლიძე. შვილებით: თამარა ფატერინე ქუთათელაძეები, ძმი წული ვარლამი ცოლით ნადეჟდათი, ელენე ლავასი, რძალი ლიდა კანდელაკისა, ძმი წული ვარლამი ცოლით ნადეჟდათი, ელენე და სერგო შარაძენიძენი აუწყებენ საზო ადოებას, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ეკატერინე თადეოზის ას. ქუთათელაძისა

დაკრძალვა 20 იანვარს, 1929 წლ. ქალ. ხონში. 164

ღრმად დამწუხრებულნი ძმები: მიხეილ, ვლადიმერ, და სოფიო და რძალი ივლიტა ჩხეიძე ბი, ბიძაშვილები: კონსტანტინე, ოლღა, ელენე, ნიკოლოზ და კლიმენტი სანიკიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ ბს, რომ ქალ. სოხუმში უეცრად გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ძმა და მამიდაშვილი

იოსებ გიორგის-ძე ჩხეიძე

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფ. სორტაში კვირას 20 იანვარს. 168

მარიამ ვახტანგი ასული ორ ელიაასისა აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 16 იანვარს. გარდაიცვალა მისი ნათესავი და დაუვიწყარი მეგობარი

მაკრინე (მაკო) იოსებ თარხან-მოურავის ასული წერეთლისა

გამოსვენება (კალინინის ქ № 66) კვირას, 20 იანვარს დღის 1 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე 166

ღრმად დაიწუხრე ული მშობლები: ერასტი სიმონის-ძე და ოლღა კონსტანტინეს ასული თუთბერიძეები შვილებით და სიძეებითურთ აუწყე ენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 20 იანვარს, 12 საათზე ქ. ქუთაისში ბაგრატის ტაძრის გვერდით მდებარე სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი უდროოდ დაღუპულ ქალიშვილის

თამარა თუთბერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად ნ. 2137

უსაზღვრო დამწუხრებული მშობლები: სილოვან იუსტინეს-ძე და სოფიო პეტრეს ასული ზუ ლაძეები, ქმარი პანტელეიმონ (იცივ ბიჭიკო) შარაბიძე, შვილი ლეილა; ძმები: ბიქტორ და შალვა, დები: მილიცა და ფელიცა შუბლაძეები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ელენე სილოვანის ას. შარაბიძისა

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება კვირას, 20 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე ქ. ქუთაისში ოლასკურის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 5 საათზე. ნ. 2 41

თბილისის მუშათა თეატრი

ქართული დრამის მსახიობთა კოლექტივის წარმოდგენა

პარასკევს იანვრის 18

ჯეკ ლონდონის **მგლები** თარგმანი ქილარჯიშვილი

მონაწილეობენ (ანბანით): ტასო აბაშიძე, ბ. ასათიანი, ე. ანდრონიკაშვილი, ო. ლექავა, მ. ქილარჯიშვილი, მ. ქართველიშვილი, ვალ. გუნია, გ. გორდაძე, გ. მელიავა, ა. კოტავა, ს. მაჩაიძე, გ. პაველიაშვილი, ს. რომანიშვილი, ა. ხ. ნთიძე, დ. ჩხეიძე.

დადგმა—ხ. ჭეჭურიშვილის მუსიკა— პანიევის

მთავარი მხატ.: ვ. სიდამონ-ერისთავი დეკორაციები—ნოვაკის

1—1

სახკინმრეწვის კინოთეატრები

განთიადი, არფასტო, სოლეი, აპოლო, პალასი

ისტორიული სურათი ორ სერიათ **ჯანყი**

დღეს მეორე სერია

რეჟისორი—ა. წუწუნავა. ოპერატორი—ვ. დილმელოვი.

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი

მინიონი — მხატვრული სურათი **კედელს იქით** ბუჩმას და კოშევსკის მონაწ.

დარბაზი — უცხოეთის მხატვრული ფილმი **მეორე ქორწინება**

პროლეტარი ავლაბარი — **ამერიკელი ქალის თავგადასავალი** 1 და 2 სერია ერთად

0—14

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

სენსაციური სანახაობა

3 განყოფილებად

ბელგიის უდიდესი ატრაქციონის გასტროლი

ადამიანი ცეცხლის რკალში

ე—რ—ო—ს

ეფექტიური სანახაობა

გასტროლიორთა მთელი დასი

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე

3—2 ნ. 2128

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიული განყოფილება

ამით აცხადებს ყველა სახლის პატრონებს, საბინაო ამხანაგობების და საბჭოთა სახლების კომენდანტების საყურადღებოდ რომ თბილისის საბჭოს დადგენილების თანახმად ა. წ. 20 იანვრიდან იწარმოებს არსებული საბინაო დავთრების გამოცვლა ახლებით; ეს მუშაობა უნდა დამთავრდეს სამი თვის განმავლობაში.

საბინაო დავთრების სისწორით, გარკვევით სუფთად და თავის დროზედ გადაწერის შესრულებაში პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს შრომის ბირჟასთან არსებულ კოლექტივთა გაერთიანების სამმართველოს, წერითი ბიუროების სახით. უკანასკნელივალდებულია მოაწყოს ყველა სამილიციო რაიონებში წერითი დამხმარე ბიუროები დავთრების გასაყიდად და გადასაწერად.

ზემოაღნიშნულის გამო ევალებათ ყველა ზევით დასახელებულ პირებს გამოსცვალონ არსებული დავთრები აღნიშნულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში დაჯარიმებულ იქნებიან, როგორც დამრღვევნი აღმასკომის სავალდებულო დადგენილებისა № 24.

თბილისის საბჭოს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსი: საჯაია.

საერთ. საად. ქ. განყოფილების უფროსი: ჯავახიშვილი.

ნ. 209 5—5 სამისამართო ბიუროს გამგე: თალაკვაძე.

მალე — **მონტე ბენას** (სურათი „ბედნიერების ნალი"-ს გმირი) ორიგინალურ კომედიაში **ნამდვილი ჯენტლ-მენი**

ნ. 2138

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს მსურველებს **ყველა საგანში** უნივერსიტეტისა და ყოველგვარი სკოლებისათვის

მისამართი: პლეხ. პრ. 117, მე-3 სართული

ნახვა შეიძლება დილის 9—3 საათ. და საღამოს 5—8 საათ.

3—3 14

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—11

გრძელდება ხელისმოწერა.—გამოიწერეთ საგლეხო გაზეთი **„ახალი სოფელი"**

გამოიწერეთ გაზეთი „ახალი სოფელი"

1 წლით . . . 2 მანეთი
6 თვით . . . 1—20 კაპ.
3 თვით . . . 70 კაპ.
2 თვით . . . 50 კაპ.
1 თვით . . . 30 კაპ.

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით

ხელის მოწერისათვის მიმართეთ: ქოხ-სამკითხველოებს, გლეხკომებს, სკოლებს, გლეხკორებს ან თვით რედაქციას

გაზეთის წლიურ ხელის მომწერლებს დროგამოშვებით დაურიგდებათ გაზეთის უფასო დამატება—სხვა და სხვა წიგნაკები.

გამავრცელებლებო, დააჩქარეთ სიების გადმოგზავნა!

რედაქციის მისამართი: თბილისი, ვოლოდარსკის ქ., № 11, „ახალი სოფლი"-ს რედაქცია და კანტორა ტელეფ. 15—38

ნ. 2139

საქ. პროფკავშირების კოოპერატიული გამომცემლობა

შრომა

აცხადებს, რომ ვინაიდან მან გააუქმა

პერიოდულ გამოცემებზე ხელისმოწერის მიმღები განყოფილება,

ამიტომ დასახელებულ გამოცემების ხელისმომწერლებში რომელთაც აქვთ ჩვენი გამომცემლობის ქვითარი გამოცემის მისაღებათ უნდა მიმართონ განყოფილების ყოფილ ხელმძღვანელს ამხ. ხერგეი სერგეის ძე ნასიბოვს „წიგნის მეგობრის" მაღაზიაში (რუსთაველის პროსპ., № 8)

ქ. ქუთ. 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 28 იანვარს დღის 12 საათზე, გოდოგნის თემში, ადგილობ ჭიშურაში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მეთოდე ივანეს-ძე ხინიძის ნახევარ უფლებას წისქვილზე, რომელიც შესდგება ერთი თვალი ქვიტკირის შენობისაგან, დახურულია ყავრით, სამთვალ მომუშავე წისქვილიდან, მისი ყოველივე მოწყობილობით—ღარებით, სალაგმეთი და სხვ. წისქვილი გაშენებულია მდინარე ჭიშურაზე. ნახევარი უფლება შეფასებულია 1500 მანეთად. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან. მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბუთები აღნიშნული სამოქ. საპ. კოდ. 310 მუხ. და საწინდარი 10 პროც. უფლება წისქვილზე იყიდება ბ. და სხვ. ხუჯაძეების დასაკმაყოფილებლად. ნ. 2140

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ლორთქიფანიძე

აცხადებს, რომ ის 1929 წ. 24 იანვარს დღის 2 საათზე სახლში № 9 დავიდოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ძინა ბრეგვაძის რვა საცხოვრებელი ოთახისაგან შემდგარ ორსართულიან სახლის ნახევარ უფლებას შეფასებულს 1.500 მანეთად, სახკვების კავშირის და სხვების ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 3 და 9 იანვარს 1929 წ. თარიღით, № 28—232 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. ვაჭრობა ჩატარდება ს.ს.ს. კოდექსის 311—312 მუხლების დაცვით. 170

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს რომ 30 იანვარს ნიკოლაძის ქუჩაზე დღის 2 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დანიელ გაბრიელის ძე იაკობიშვილის შენობას—ერთეროთ სართულიან ქვიტკირის სახლს, დახურულს თუნუქით, რომელიც შესდგება ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან, აივნით და საკუჭნაოთი, ამ სახლზე მიშენებულია ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის სახლი, დახურული კრამიტით, რომლის ქვედა სართული შესდგება ორი სამზარეულოსაგან, ორი საწყობისაგან და ერთი ხის ფარდულისაგან, ზედა სართული კი—სამი საცხოვრებელი ოთახისაგან შუშაბანდით და ერთი თვალი საკუჭნაოთი. ქონება შეფასებულია 3500 მანეთად.

ამავე დღეს იმავე ადგილას იყიდება იმავე დანიელ იაკობიშვილის მოძრავი ქონება შეფასებული 475 მანეთად, რომელიც გაიყიდება საჯაროთ. აღნიშნული უძრავ მოძრავი ქონებები იყიდება „მოსტორგის", „მოსკოგრუზის" და სხვა დასაკმაყოფილებლათ. ნ. 2140

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოუშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა.

პონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)

მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. 25—6

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი"**

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.

ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 109 25|1

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—3

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 21—1

ექიმი

ი. ვ. ახმეტელი

იღებს ქირურგიულ ავადმყოფებს 5—6 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 20, მესამე სართული.

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან.

ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილა-საღამოს.

ნ. 8 25—1

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 ნ. 6 25—1

ექიმი—ვენეროლოგი

ნინო მირიანაშვილი

იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)

საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

თვალის ექიმი

მალაევი

ღებულობს ავადმყოფებს

დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს

მისამართი: თვალის საავადმყოფო კლ. ცეტკინის ქ. ყოფ. ელისაბედისა № 47, ტელეფონი № 5—90.

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ. 25—1

ექიმი

ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.

კამოს ქ. 72 (ყოფილი დიდი-მთავრის)

მიღება { დილ. 8 ს.—9 საათ. საღ. 6 ს.—8 საათ.

დაკარგა: დაქირავებ სალაროს წიგნაკი № 488 ივანე აფციაურის სახელზე, ჩ. გ. 163

დაკარგა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 690 ეკატერინე ლევანის ასულის მაისურაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 2137

დაკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი, დამქირავებ სალაროს წიგნაკი № 1946 გიორგი ივანეს ძე ჯორჯიკიას სახელზე, ჩ. გ. 165

დაკარგა: მუშკოოპის წიგნაკი № 11952 არტემ სიხარულიძის სახელზე, ჩ. გ. 171

დაკარგა: მედსანშრომის კავშირის წიგნაკი გაცემული მიხეილ ვასილის ძე კიკნაძის სახელზე, ჩ. გ. 172

დაკარგა: განათლების მუშაკთა კავშირის წიგნაკი № 8563. გაცემული შო აპნის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირიდან მასწავლებელ მაკარი მიხეილის ძე ყანჩაველის სახელზე, ჩ. გ. 172